CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 12 დეკემბერი, 2008 წელი. №278 (2022) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

სოზარ სუბარი იუსტიციის მინისტრს ახალ რეკომენდაციას უგზავნის

A5

არეულობა საბერძნეთში

A8

"პრომეთე" წყალქვეშ და გამომძიებლის პირისპირ

A9

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

BORJOMI ბორჯომი

GRDC group

ჯი პი აი
ჩვენის საადაზღვეო ჯგუფი

რუსული აგრესიის შესაჩერებლად

AFP ' 2008

მარკ პერენ დე ბრიშამბოს თქმით, ამ ეტაპზე ეუთო-ში მანდატის გაგრძელების განხილვა მიმდინარეობს.

დიმიტრი ავალიანი

თბილისი კონფლიქტის ზონებში ეუთო-ს მისიის გაგრძელების მომხრეა. როგორც საქართველოში ვიზიტით მყოფი ორგანიზაციის გენერალური მდივანი აცხადებს, ეუთო საქართველოში საქმიანობის გაგრძელებით დაინტერესებულია, თუმცა ამისთვის ყველა წევრი ქვეყნის თანხმობაა აუცილებელი. წინააღმდეგ ერთადერთი წევრი - რუსეთი გამოდის. იმავდროულად, რუსეთის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ეუთო-ს დამკვირვებლებისთვის ცეცხლის გახსნის ფაქტმა ორგანიზაცია სერიოზულად შეაშფოთა.

საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფი ეუთო-ს გენერალური მდივანი მარკ პერინ დე ბრიშამბო გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს შეხვდა. ეუთო და საქართველო საქართველოში ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელებას მხარს უჭერენ, - ამის შესახებ გრიგოლ ვაშაძემ და მარკ პერინ დე ბრიშამბომ ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადეს. ბრიშამბოს თქმით, ამ ეტაპზე ეუთო-ში მანდატის გაგრძელების განხილვა მიმდინარეობს, რომელიც წლის ბოლოს დასრულდება.

"ეუთო საქართველოში ბევრს აკეთებს უსაფრთხოებისთვისაც და ნეგატიური მოვლენების პრევენციის თვალსაზრისითაც.

გაგრძელება A3 გვერდზე

საარჩევნო კანონმდებლობა შეიცვლება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე სპეციალური ჯგუფის შექმნას გეგმავს, რომელიც საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებათა პროექტს მოამზადებს. ბაქრაძემ ეს ინფორმაცია აშშ-ში, "ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტში" გამართულ შეხვედრაზე გაახმოვანა. "ხელისუფლებას აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული სურვილი, იმუშაოს ახლანდელი საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებაზე. "განიხილება ცვლილებები საარჩევნო კოდექსში, რასაც ჩვენ თვეების წინ ვგეგმავდით და ამას არაფერი აქვს საერთო ვადამდელ არჩევნებთან," - განაცხადა ბაქრაძემ.

ნათია მსხილაძე

გუშინ ცნობილი გახდა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის საკითხი პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და ანტიკრიზისული საბჭოს წევრებმა ორი დღის წინ გამართულ შეხვედრაზე განიხილეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

აშშ-ს სტრატეგია და საქართველო

აშშ-ს 4 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ბარაკ ობამას გამარჯვების შემდეგ მთელ მსოფლიოში გაჩნდა დიდი ინტერესი და მოლოდინი იმისა, თუ რა საგარეო კურსს აირჩევს ახალი ადმინისტრაცია, იქნება თუ არა იგი ბუშის პოლიტიკისგან სერიოზულად განსხვავებული და რა ქმედებებს განახორციელებს ობამას გუნდი ძველი და ახალი გამოწვევების საპასუხოდ. ეს საკითხები, რაღა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანია, თუ არა გადამწყვეტი ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის. ფართო საზოგადოებისთვის ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი აშშ-ს პრეზიდენტის დეტალური და ზუსტად გაწერილი საგარეო პოლიტიკური სტრატეგია. თუმცა, არსებობს საკმაოდ შინაარსიანი დოკუმენტი, რომელმაც სავარაუდოდ, უნდა განსაზღვროს ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები. ამ დოკუმენტის სახელია "ბარაკ ობამასა და ჯო ბაიდენის ამერიკის უსაფრთხოებისა და წამყვან პოზიციებზე დაბრუნების გეგმა". აღნიშნულ დოკუმენტსა და სხვა მასალებზე დაყრდნობით, შესაძლებელია გარკვეული ანალიზის ჩატარება იმის შესახებ, თუ რა ქმედებებს განახორციელებს აშშ-ს პრეზიდენტი და მთავრობა უახლოესი წლების განმავლობაში საგარეო ასპარეზზე.

გაგრძელება A4 გვერდზე

CMYK - 1

ბაჩო ახალაია თავდაცვის მინისტრის მოადგილეა

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელ ბაჩო ახალაიას თავდაცვის მინისტრის მოადგილედ წარდგენას სამინისტროში ოფიციალურად ადასტურებენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის უწყებაში განუცხადეს, მინისტრის მოადგილედ ბაჩო ახალაიაა წარდგენილი. კანონის თანახმად, თავდაცვის მინისტრის მოადგილეების დანიშვნის ბრძანებულებას პრემიერ-მინისტრი გამოსცემს. თუმცა, ახალაიას დანიშვნის ბრძანებულებისთვის პრემიერს ჯერ ხელი არ მოუწერია.

ინტერპრესნიუსი

სეპარატისტებმა ბელარუსს დამოუკიდებლობის აღიარება კიდევ ერთხელ სთხოვეს

აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებებმა დამოუკიდებლობის აღიარების თხოვნით ბელარუსს კიდევ ერთხელ მიმართეს.

როგორც გამოცემა "კავკაზსკი უზელი" იუწყება, მიმართვა ბელარუსის ეროვნული კრების წარმომადგენლობით პალატაში შევიდა.

წარმომადგენლობითი პალატის საერთაშორისო საქმეთა და დსთ-თან კავშირების კომისიის წევრ რომან კოროპის განცხადებით, ამ დროისთვის დაუდგენელია, როდის განიხილავს პარლამენტის ქვედა პალატა სოხუმისა და ცხინვალის მიმართვებს.

კომისიის თავმჯდომარე სერგეი მასკევიჩი კი ვარაუდობს, რომ ბელარუსის პარლამენტმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი შესაძლოა, 2009 წელს განიხილოს და განხილვისას საზოგადოების განწყობას გაითვალისწინებს.

"ეს სერიოზული საკითხია და მისი განხილვისას უნდა გვახსოვდეს, რომ ბელარუსი რუსეთის მოკავშირეა. ჩვენ გაგებით მივუდექით კავკასიაში აგვისტოში შექმნილი ვითარებისას რუსეთის ქმედებებს. სამხრეთ ოსეთის მიმართვა რამდენიმე დღის წინ მივიღეთ, აფხაზეთმა კი ადრეც მოგვმართა. ხელისუფლების არც ერთი ორგანო ამ საკითხს დამოუკიდებლად არ გადაწყვეტს. ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საზოგადოების განწყობის გათვალისწინებით უნდა მივიღოთ," - განაცხადა მასკევიჩმა.

ინტერპრესნიუსი

კონტროლის პალატის საქმიანობის შემმოწმებელი დროებითი კომისიის სხდომა

კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის შემმოწმებელმა საქართველოს პარლამენტის დროებითმა კომისიამ გუშინ პირველი სხდომა გამართა, სადაც საორგანიზაციო საკითხებზე იმსჯელეს.

სხდომაზე დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დავით ნადაშვილი, ხოლო კომისიის მდივნის თანამდებობაზე რამაზ თედორაძე აირჩიეს.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ბუცხრიკიძემ განაცხადა, მომდევნო სხდომაზე იგი კოლეგებს კონტროლის პალატაში შესამოწმებელ საკითხთა ნუსხას წარუდგენს, რომელიც საბოლოო სახეს კომისიის წევრების შენიშვნების და მოსაზრებების გათვალისწინებით მიიღებს.

შემდგომ ეტაპზე კი კომისია სამუშაო ჯგუფის შექმნას გეგმავს.

ბუცხრიკიძის თქმით, სამუშაო ჯგუფი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატის და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებული საბიუჯეტო ოფისის სპეციალისტებით დაკომპლექტდება. სამუშაო ჯგუფი კონტროლის პალატაში მუშაობას 2009 წლის თებერვლის პირველივე კვირას შეუდგება და ეს პროცესი სამ თვეს გასტანს.

საქართველოს კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის შემმოწმებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია პარლამენტის დადგენილებით შეიქმნა. კომისია ექვსი თვის მანძილზე იმუშავებს, კომისიის შემადგენლობა 9 წევრით განისაზღვრა. საქართველოს პარლამენტმა ასევე მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის შემმოწმებელ საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიას საქართველოს კონტროლის პალატის 2007 წლის საქმიანობის შემოწმებაც დაევალა.

ინტერპრესნიუსი

საარჩევნო კანონმდებლობა შეიცვლება

პირველი გვერდიდან

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილის განცხადებით, მომდევნო კვირაში შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც ახალ საარჩევნო კოდექსზე დაიწყებს მუშაობას.

როგორც კუბლაშვილმა გაზეთ "24 საათთან" საუბრისას განმარტა, ამ ეტაპზე ჯგუფის ფორმატი განსაზღვრული არ არის, თუმცა ის არ იქნება ჩაკეტილი და მასში შეეძლებათ მონაწილეობა როგორც საპარლამენტო და არასაპარლამენტო პოლიტიკურ ძალებს, ასევე დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. **"საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფის შექმნის დეტალებზე პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე მომავალ კვირას, აშშ-დან დაბრუნების შემდეგ ისაუბრებს. საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლაზე საუბარი ზაფხულიდან დაიწყო, თუმცა აგვისტოს მოვლენების გამო კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა ამ დრომდე ვერ მოხერხდა. საუბარია ახალი კოდექსის მიღებაზე, სადაც ნებისმიერი თემა იქნება მსჯელობის და მეტ-ნაკლებად კონსენსუსის მიღწევის საგანი. რაც მთავარია, პროცესი გამჭირვალედ უნდა წარიმართოს,"** - აღნიშნა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ.

რაც შეეხება ამ საკითხის მიმართ არასაპარლამენტო ოპოზიციის პოზიციას, "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთ ლიდერ მამუკა კაციტაძის მტკიცებით, დავით ბაქრაძემ საარჩევო კანონმდებლობაში ცვლილებების განსახორციელებლად სპეციალური ჯგუფის შექმნის შესახებ განცხადება საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლით გააკეთა.

კაციტაძის თქმით, საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს მთავრობისაგან არათუ საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლას მოითხოვს, არამედ ასევე აქტიურად დგას დღის წესრიგში ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების საკითხი.

"ეს არ არის ბაქრაძის დამოუკიდებელი განცხადება, რომელიც მან საკუთარი ნება-სურვილით გააკეთა. დღეს მსოფლიო საქართველოს ავალდებულებს, რომ დაიწყოს მსჯელობა არა მარტო საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლაზე, არამედ რიგგარეშე არჩევნების საკითხი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის მთავარი განხილვის თემა გახდეს. ხელისუფლებას მოუწევს კომპრომისზე წასვლა არა მარტო საარჩევნო კოდექსის საკითხზე. მე ვფიქრობ, ხელისუფლება იძულებული გახდება, ჩაატაროს ვადამდელი არჩევნები და კონსტიტუციური გზით შეიცვალოს მთავრობა," - აღნიშნა მამუკა კაციტაძემ.

ირაკლი ალასანიას რჩევები

ნინო დალაქიშვილი

საქართველოს ყოფილმა ელჩმა გაერო-ში ირაკლი ალასანიამ კონფლიქტების მოგვარების საკუთარი გეგმა წარმოადგინა. აშშ-ში გამართულ ბიზნესსაბჭოზე სიტყვით გამოსვლისას, ყოფილმა დიპლომატმა განაცხადა, რომ "აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები მხოლოდ მოლაპარაკებების გზით უნდა მოგვარდეს."

რაც შეეხება რუსეთთან მოლაპარაკებების აღდგენას, ალასანიას აზრით, მანამდე აუცილებელია, რომ რუსულმა მხარემ მიღწეული შეთანხმებები სრულად შეასრულოს და თავისი საჯარისო შენაერთები 7 აგვისტომდე არსებულ პოზიციებზე დააბრუნოს. ალასანიას გეგმა რუსეთთან, აფხაზეთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის აღდგენას გულისხმობს. მისივე განცხადებით, საქართველოს მთავარი პრობლემა უსაფრთხოებისა და გადაწყვეტილებების მიღების სისტემის არარსებობაა, რაც აგვისტოს მოვლენებმაც დაადასტურა. **"საქართველოს ხელისუფლებამ ახალი სამხედრო, ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგია უნდა შეიმუშაოს. ტერიტორიული კონფლიქტები მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს და მხარეებს შორის დიალოგი უნდა აღდგეს. ამასთანავე, ოფიციალურმა თბილისმა რუსეთთან მოლაპარაკებები მაშინ უნდა დაიწყოს, რაც მოსკოვი სრულად შეასრულებს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას, მისი ჯარები 7 აგვისტომდე არსებულ პოზიციებს დაუბრუნდებიან და კონფლიქტის ზონებში უცხოელი დამკვირვებლები განლაგდებიან,"** - მიიჩნევს ალასანია.

მან შეხვედრაზე იმის შესახებაც ისაუბრა, რომ საქართველო დღემდე დემოკრატიის დეფიციტს განიცდის და დასავლეთის ქმედითი ღონისძიებების გარეშე ამ მხრივ წინსვლა არ იქნება. **"კარგი იქნება, თუ ვაშინგტონი საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას მეტ ყურადღებას მიაქცევს. იმედი მაქვს, ობამას ახალ ადმინისტრაციას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და დემოკრატიული პროცესები მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ექნება. ჩვენმა ხელისუფლებამ, პირველ რიგში, სამხედრო, ენერგეტიკული, ეკონომიკური უსაფრთხოების ახალი სტრატეგია უნდა შეიმუშაოს. ასეთ საკითხებში მთავრობისა და პარლამენტის მეტი კოორდინაციაა საჭირო. ვფიქრობ, თეთრი სახლი ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერას მომავალშიც გააგრძელებს,"** - განაცხადა ყოფილმა ელჩმა.

ირაკლი ალასანიას საქართველოში ჩამოსვლის შესახებ ინფორმაცია ქართულ საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო მზარდი ინტერესის საგანი ხდება. "ახალი მემარჯვენეების" განცხადებით, ალასანია თბილისში 15 დეკემბერს ჩამოვა.

ცხინვალის რეგიონიდან დევნილებს სტატუსი მიენიჭებათ

იანვრის ბოლოსთვის ცხინვალის რეგიონიდან დევნილებს დევნილთა სტატუსი მიენიჭებათ.

ამის შესახებ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" წევრებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, სადაც დევნილთა წინაშე არსებულ პრობლემებზე და მათი მოგვარების სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

კობა სუბელიანის თქმით, დევნილთა სტატუსს იანვრის ბოლოს, დაახლოებით, 24 ათასი დევნილი მიიღებს და მათზე ყოველთვიური დახმარება, სულზე 22 ლარი იქნება.

რაც შეეხება დევნილთა დასახლების პროცესს, სუბელიანის თქმით, დევნილთა შესახლება დასრულდა, გაზაფხულზე კი აღმოიფხვრება ყველა ხარვეზი, რაც ზამთრისთვის ვერ მოხერხდა.

შეხვედრას, კობა სუბელიანთან ერთად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი, განათლების მინისტრის მოადგილე არჩილ გაგნიძე და შიდა ქართლის გუბერნატორი ვლადიმერ ვარძელაშვილი ესწრებოდნენ. შეხვედრაზე დევნილთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პრობლემებზე საუბრისას ალექსანდრე კვიტაშვილმა განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში დევნილთა დაზღვევის მიზნით, მათი ვაუჩერიზაცია მოხდება, მანამდე კი უფასო სამედიცინო მომსახურება შეუნარჩუნდებათ.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს დევნილთა დასაქმების პრობლემებზეც. ვარძელაშვილმა განაცხადა, რომ შიდა ქართლში მომავალი წლის აგვისტოში ხეტყისა და ხილის გადამამუშავებელი ქარხნები გაიხსნება, სადაც 300 დევნილი დასაქმდება.

ინტერპრესნიუსი

ლილოს ბაზრობაზე ხანძარი ლოკალიზებულია

ამის შესახებ გუშინ ჟურნალისტებს საგანგებო სიტუაციათა თბილისის საქალაქო სამსახურის უფროსმა თემურ გიორგაძემ განუცხადა.

სახანძრო სამსახურში შეტყობინება გუშინ 08.35 საათზე მიიღეს. მათ ადგილზე ხანძრის სამი კერა დახვდათ. ცეცხლი, დაახლოებით, 1000 კვადრატულ მეტრზე იყო გავრცელებული.

კომენტარი გააკეთა ლილოს ბაზრობის დირექტორმა გია კვარაცხელიამაც. მისი ინფორმაციით, შედგება სპეციალური კომისია და დადგინდება ზარალის ზუსტი ოდენობა. მანვე ისაუბრა ხანძრის გამომწვევ შესაძლო მიზეზზე - ერთ-ერთ მოვაჭრეს შემოტანილი ჰქონდა საახალწლო საქონელი. ელექტროგამათბობელის ჩართვის შემდეგ, შესაძლოა, მოვაჭრეს მასზე დაუვარდა ფოიერვერკი, რომელიც აფეთქდა. ხანძრის კერა სწორედ ის განყოფილება იყო, სადაც საახალწლო სათამაშოები იყიდება.

ინტერპრესნიუსი

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

რუსული აგრესიის შესაჩერებლად

პირველი გვერდიდან

ეუთო საქართველოში აქტიურობის გაგრძელებით კვლავაც დაინტერესებულია. ჩვენ ვცდილობთ, ეუთო-ს ყველა წევრი ქვეყნის მხრიდან მხარდაჭერა მივიღოთ," - აღნიშნა ბრიშამბომ.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა გრიგოლ ვაშაძემ, თავის მხრივ, მადლობა გადაუხადა ეუთო-ს, რომელიც, მინისტრის თქმით, **"რუსული აგრესიის შესაჩერებლად ბევრს აკეთებს."**

"სამწუხაროდ, რუსეთი ეუთო-ს მანდატის გაგრძელებით დაინტერესებული არ არის, ჩვენ რუსეთის გადარწმუნების მცდელობა გვრჩება," - განაცხადა ვაშაძემ.

მან აღნიშნა, რომ **"საქართველო საკუთარ ტერიტორიაზე - როგორც აფხაზეთში, ისე სამხრეთ ოსეთში - ეუთო-ს ყოფნით დაინტერესებულია."**

მარკ პერენ დე ბრიშამბო გუშინ საქართველოს სახალხო დამცველს სოზარ სუბარსაც შეხვდა და ადამიანის უფლებების, მათ შორის კონფლიქტით დაზარალებულთა უფლებების საკითხებზე ესაუბრა. შეხვედრაზე ეუთო-ს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ეუთო დაინტერესებულია ქვეყანაში ადამიანის უფლებებით და გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას.

"საუბრისას ჩვენ განვიხილეთ ყველა თემა, მათ შორის სიტყვის თავისუფლება და პოლიტიკური დევნის პრობლემა, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა," - განაცხადა შეხვედრის შემდეგ სოზარ სუბარმა.

ვიზიტის ფარგლებში, რომელიც 13 დეკემბრამდე გასტანს, ასევე დაგეგმილია ეუთო-ს გენერალური მდივნის შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, პრემიერ-მინისტრ გრიგოლ მგალობლიშვილთან, შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილთან და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილთან. ეუთო-ს გენერალური მდივანი გორის რაიონსაც ეწვევა.

მარკ პერენ დე ბრიშამბომ გუშინ **"აბსოლუტურად მიუღებელი ძალადობრივი აქტი"** უწოდა 10 დეკემბერს საქართველოში ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის მანქანის დაცხრილვის ფაქტს. მისი თქმით, ამ ფაქტის განხილვის მიზნით გუშინ ვენაში ეუთო-ს წევრი ქვეყნების ელჩები შეიკრიბნენ.

"საქართველოში სადამკვირვებლო ფუნქცია ჩვეულებრივი ფუნქციაა და ეუთო-ს ეს ფუნქცია ეუთო-ს 56 წევრი-ქვეყნის გადაწყვეტილებით მიენიჭა," - აღნიშნა ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ აღნიშნა, რომ **"ამ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება და დამნაშავეები უნდა დაისაჯონ."**

მანამდე დამკვირვებლებზე თავდასხმის ფაქტი საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა ტერი ჰაკალამ დაგმო. მან მომხდარი **"უიარაღო დამკვირვებლებზე სერიოზულ თავდასხმად"** შეაფასა და აღნიშნა, რომ **"ამ მიუღებელი ინციდენტის დეტალები გამოძიებული იქნება."**

"ეს ინციდენტი შეგვახსენებს, რომ მდგომარეობა რეგიონში უსაფრთხოების თვალსაზრისით გამოსწორებას საჭიროებს," – აღნიშნა ჰაკალამ.

ეუთოს პატრულის მიმართულებით განხორციელებულ თავდასხმას ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობამაც დაგმო.

ამის შესახებ საუბარია ევროკავშირის თავმჯდომარეობის საგანგებო განცხადებაში, რომელიც დღეს საქართველოში საფრანგეთის საელჩომ გაავრცელა.

"ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობა გმობს ეუთოს დამკვირვებლების მიმართ 10 დეკემბერს, სოფელ ქვემო ხვითთან განხორციელებული თავდასხმის ფაქტს. იგი კიდევ ერთხელ მოუწოდებს კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარეს, შეასრულონ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმებები, თავიდან აიცილონ პროვოკაციული ქმედებები და გაუადვილონ საერთაშორისო დამკვირვებლებს მისიის შესრულება, რომელთაც მანდატით გათვალისწინებულ ზონებში უსაფრთხოდ გადაადგილების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ," - ნათქვამია განცხადებაში.

აქვე ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობა იმედს გამოთქვამს, რომ მხარეები ითანამშრომლებენ 10 დეკემბრის ინციდენტის გარემოებების გამოსაძიებლად.

"აღნიშნული ინციდენტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ აუცილებელია ინციდენტების აღკვეთისა და მხარეებს შორის ურთიერთნდობის აღდგენის მექანიზმების შემუშავება," - ნათქვამია განცხადებაში.

იმავდროულად, ცხინვალის ხელისუფლება კონფლიქტის ზონაში ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის ავტომობილის დაცხრილვის ფაქტთან კავშირს უარყოფს. როგორც სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილემ იბრაგიმ გასეევმა განაცხადა, სოფელი ქვემო ხვითი ე.წ. საზღვრიდან კილომეტრნახევარში მდებარეობს. **„საუკეთესო იარაღის სამიზნე მანძილი კი 800 მეტრს არ აღემატება."**

თავის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის გუშინდელ განცხადებაში აღნიშნა, რომ სოფელ ნიქოზთან და სოფელ ხვითთან მომხდარი ინციდენტები კიდევ ერთხელ ცხადყოფს კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების არამდგრადობას და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების საქმიანობის აუცილებლობას.

„გამუდმებული პროვოკაციები და ეუთო-ს მისიის სამხედრო ოფიცრებისა და ევროკავშირის მონიტორთა წინააღმდეგ განხორციელებული სიტყვიერი ან ფიზიკური თავდასხმები ადასტურებს, რომ რუსეთის ფედერაციასა და მის მარიონეტულ რეჟიმებს არ მოსწონთ ტრანსპარანტულობისა და მიუკერძოებელი მონიტორინგის ჩატარების იდეა ოკუპირებულ რეგიონებში, სადაც რუსეთის სამხედრო პერსონალისა და სამხედრო ტექნიკის რაოდენობა ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა," - აღნიშნულია განცხადებაში.

დროებითი საპარლამენტო კომისია მუშაობას ასრულებს

გიორგი ასანიშვილი

აგვისტოს მოვლენების შემსწავლელ დროებით საპარლამენტო კომისიის უფლებამოსილების ვადა ორ კვირაში იწურება. გუშინ გამართულ სამუშაო შეხვედრაზე კომისიის წევრები უკვე იმ დეტალებს აზუსტებდნენ, რომელთა გათვალისწინება საბოლოო დასკვნის შედგენის დროს ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია. მიუხედავად იმისა, რომ მაღალჩინოსნების დაკითხვის მომქანცველი, ორთვენახევრიანი "მარათონი" დასრულდა, დეპუტატებს წინ მაინც საკმაოდ შრომატევადი სამუშაო ელით - 22 პერსონისგან (პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის ჩათვლით) მიღებული ინფორმაცია უნდა გაანალიზონ და ხელისუფლებას კონკრეტული რეკომენდაციები შესთავაზონ.

დასკვნითი დოკუმენტის შედგენაზე მუშაობის დაწყების წინ, კომისიის თავმჯდომარე პაატა დავითაია ამტკიცებს, რომ დროებითი საპარლამენტო კომისიის საქმიანობა ფუჭი არ ყოფილა და მის ერთ-ერთ ხელშესახებ შედეგს მთავრობაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები წარმოადგენს.

რაც შეეხება კომისიის დასკვნას, დავითაიას თქმით, მასში საუბარი იქნება არა მხოლოდ საომარი მოქმედებების დღეებში განვითარებულ მოვლენებზე, არამედ იმ მიზეზებზეც, რამაც რუსეთი და საქართველო საომარ დაპირისპირებამდე მიიყვანა.

პაატა დავითაია ასევე აცხადებს, რომ კომისია შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც რეაგირებისთვის ხელისუფლებას გადაეცემა.

"მიმდინარეობს იმ ინფორმაციის შესწავლა და გაანალიზება, რომელიც კომისიამ ცალკეული უწყებებისა და თანამდებობის პირებისგან მიიღო. კერძოდ, საუბარია ვიდეომასალებზე, სატელეფონო ჩანაწერებზე და ა.შ. მაგალითად, ტაქტიკური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით კომისიამ მოიპოვა კოსმოსური თანამგზავრიდან გადაღებული სურათები, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რომელი ობიექტები განადგურდა ამ იარაღით," - აცხადებს პაატა დავითაია.

დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნას, სავარაუდოდ, მისი ყველა წევრი მოაწერს ხელს, მათ შორის, ოპოზიციის კვოტით არჩეული ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი ბოლო დრომდე აცხადებდა, რომ ამას მხოლოდ მას შემდეგ გააკეთებდა, როდესაც კომისიის წევრთა შეკითხვებს კიდევ რამდენიმე პერსონა (კერძოდ, ნინო ბურჯანაძე და ირაკლი ალასანია) უპასუხებდა. მართალია, ვეფხვაძემ ეს "ულტიმატუმი" უკან წაიღო, მაგრამ ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ახლა უკვე სხვა მოთხოვნას აყენებს: ვეფხვაძის აზრით, მას შემდეგ, რაც საერთაშორისო საგამოძიებო კომისია თავის დასკვნას გამოაქვეყნებს, ანალოგიური კომისია საქართველოს პარლამენტშიც უნდა შეიქმნას.

"რაც არ უნდა მძიმე იყოს ტალიავინის კომისიის დასკვნა, ანალოგიური გამოძიება საქართველოს პარლამენტმაც უნდა აწარმოოს. ვისი თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დამდგარიყო, მართალია, ფაქტობრივად, აღარც ერთი აღარ არის თანამდებობაზე, მაგრამ ამაზე არ უნდა შევჩერდეთ. ასევე აუცილებელია, რომ კონკრეტული დამნაშავე პირების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყოს," - აცხადებს ლევან ვეფხვაძე.

მისი პოზიცია, გარკვეულწილად, ემთხვევა კომისიის კიდევ ერთი წევრის გოკა გაბაშვილის მოთხოვნას. ამ უკანასკნელის თქმით, უნდა გაკეთდეს მიმართვა მთავარი პროკურორის სახელზე, რომ დაიწყოს მოკვლევა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ყოფილ ელჩ ეროსი კიწმარიშვილის განცხადებებსა და გამონათქვამებთან დაკავშირებით.

"გარდა იმისა, რომ მოვისმინეთ ეროსი კიწმარიშვილის მოსაზრებები ომის დაწყების შესახებ, ყოფილმა ელჩმა საგულისხმო რამ თქვა იმის თაობაზეც, თითქოს არსებობდა რაღაც ჯგუფი, რომელიც ამერიკის პოზიციაზე საქართველოს ხელისუფლების დეზინფორმირებას ახდენდა. ამის შესახებ შეკითხვები დავუსვით პრეზიდენტს, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს, აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს, მაგრამ მათ ეს ინფორმაცია არ დაადასტურეს. ამიტომ, პროკურატურამ დამატებითი მოკვლევა უნდა ჩაატაროს," - ასეთია გოკა გაბაშვილის არგუმენტაცია.

კომისიის წევრი ხათუნა გოგორიშვილი კი, ისევე როგორც კომისიის თავმჯდომარე პაატა დავითაია, მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმას, რომ დასკვნიდან ნათლად ჩანდეს, თუ რა მოვლენები უძღოდა წინ საომარი მოქმედებების დაწყებას. გარდა ამისა, დეპუტატის თქმით, დასკვნაში უნდა ჩაიწეროს ისიც, ომის პერიოდში როგორ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობებს ამა თუ იმ თანამდებობის პირმა...

ზემოთ აღნიშნულის გარდა, დოკუმენტში საუბარი იქნება აგრეთვე ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაზეც, რომელიც, სავარაუდოდ, პირველ რიგში, ეროვნული უშიშროების საბჭოს რეფორმირებას შეეხება. გარდა ამისა, დროებითი საგამოძიებო კომისიის ყველა წევრს მიცემული აქვს დავალება, შეიმუშაონ სხვა კონკრეტული წინადადებებიც და რეკომენდაციებიც, რომლებიც საბოლოო დასკვნაში აუცილებლად აისახება.

დროებითი საპარლამენტო კომისია შემაჯამებელ დოკუმენტს, დაახლოებით, ერთ კვირაში წარმოადგენს.

დღეს ექსპერტთა სემინარი გაიმართება

დღეს სოციალური კვლევისა და პოლიტიკური ანალიზის საერთაშორისო ცენტრი გამართავს ექსპერტთა სემინარს თემაზე: „სოციალური საბაზრო ეკონომიკა და საქართველოს ეროვნული კონკურენტულობა."

როგორც "ინტერპრესნიუსს" ცენტრიდან აცნობეს, სემინარი 12-13 დეკემბერს, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ჩატარდება. იგი კონრად ადენაუერის ფონდის მიერაა დაფინანსებული.

სემინარზე გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევები; ნეოლიბერალური ეკონომიკური მოდელის კრიტიკული ანალიზი; საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკული ანალიზი; ეროვნული და რეგიონული კონკურენტულობის სტრატეგია; ნაციონალური ეკონომიკური ინტერესები საქართველოს ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში და სხვა საკითხები განიხილება.

ინტერპრესნიუსი

"ქრისტიან-დემოკრატები" ახალაიას დანიშვნას აპროტესტებენ

"ქრისტიან-დემოკრატები" თავდაცვის მინისტრის მოადგილედ ბაჩო ახალაიას დანიშვნას გაუმართლებელ გადაწყვეტილებად აფასებენ.

როგორც "ქრისტიან-დემოკრატმა" გიორგი თარგამაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ახალაია არათუ უნდა ჩამოშორდეს სახელმწიფო სამსახურს, არამედ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას.

მიუხედავად კრიტიკული შეფასებისა, გიორგი თარგამაძე გადაწყვეტილების პოზიტიურ მხარესაც ასახელებს – ახალაია ჩაკეტილ სისტემას ჩამოშორდება.

როგორც თარგამაძე ამბობს, ახალ თანამდებობაზე ბაჩო ახალაია მეტ-ნაკლებად ყურადღების ქვეშ იქნება და ბევრის დაშავებას ვეღარ შეძლებს.

სასჯელაღსრულების სისტემის ხელმძღვანელად კი გიორგი თარგამაძეს ისეთი ადამიანი სურს, რომელიც ახალაიას თვისებების მატარებელი არ იქნება.

ლევან ვეფხვაძე აგვისტოს მოვლენებს იხსენებს, როდესაც ციხიდან პატიმრები გაიქცნენ. მისი თქმით, ეს საკითხი შესასწავლია, ბაჩო ახალაიამ კი საკუთარი მოვალეობა ყველაზე კრიტიკულ მომენტში ვერ შეასრულა.

ინტერპრესნიუსი

გია ცაგარეიშვილის აზრით, ევროპულ ქვეყნებში საქართველოს ელჩების უმეტესობა უნდა გათავისუფლდეს

ოპოზიციონერ დეპუტატ გია ცაგარეიშვილის აზრით, ევროპულ ქვეყნებში საქართველოს "ერთი-ორი" ელჩის გარდა, ყველა უნდა გათავისუფლდეს.

გია ცაგარეიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას იმ ელჩების ვინაობა არ დაასახელა, რომელთა მუშაობასაც დადებითად აფასებს, რადგან მიაჩნია, რომ ამის შემდეგ დღევანდელი ხელისუფლება, პირველ რიგში, მათ მოხსნის. დეპუტატის თქმით, საქართველოს 36 ქვეყანაში ჰყავს ელჩი, თუმცა აგვისტოს მოვლენების შემდეგ მხოლოდ ოთხმა ელჩმა იმუშავა კარგად, დანარჩენები კი უმოქმედოდ იყვნენ.

"რუსეთმა გამოგვიცხადა საინფორმაციო ომი, რომელსაც დიპლომატიური წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებს სხვადასხვა ქვეყნებში," – განაცხადა ცაგარეიშვილმა და დასძინა, რომ საქართველოს ელჩებს, რამდენიმეს გარდა, არანაირი საინფორმაციო კამპანია არ უწარმოებიათ.

"ყოველ შემთხვევაში, მათი ნამუშევარი არსად ჩანს, საინფორმაციო ომი წაგებული გვაქვს," - განაცხადა ცაგარეიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

ევროკომისიამ ორი მილიონი ევროს ღირებულების ჰუმანიტარული დახმარება გამოყო

ევროკომისიამ საქართველოსთვის დამატებით ორი მილიონი ევროს ღირებულების ჰუმანიტარული დახმარება გამოყო.

როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობიდან აცნობეს, დახმარება განსაზღვრულია, დაახლოებით, 145 000 ადამიანისთვის, ესენი არიან დევნილები და ის პირები, რომლებიც საქართველოსა და რუსეთის კონფლიქტის შედეგად დაზარალდნენ.

ორ მილიონ ევროს გაანაწილებს ევროკომისიის ჰუმანიტარული დეპარტამენტი, რომელსაც ევროკომისარი ლუი მიშელი კურირებს. ამ თანხის ფარგლებში გამოყოფილ პროექტებს არასამთავრობო ჰუმანიტარული ორგანიზაციები და გაერო-ს სპეციალიზებული სამსახურები განახორციელებენ.

პროექტების მიზანია, გადაუდებელი ჰუმანიტარული საჭიროების დაკმაყოფილება, განსაკუთრებით - ზამთრის პირობების გათვალისწინებით. პრიორიტეტი მიენიჭება საკვები პროდუქტების და შეშის მიწოდებას. დახმარება გაეწევა ასევე შემოსავლის მიღებაზე ორიენტირებულ საქმიანობას.

აგვისტოს მოვლენების შემდეგ ევროკომისია უკვე მესამედ გამოყოფს ჰუმანიტარულ დახმარებას. საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარების საერთო თანხა 8 მილიონ ევროს შეადგენს.

ინტერპრესნიუსი

აშშ-ს სტრატეგია და საქართველო

პირველი გვერდიდან

ლევან ნატროშვილი

ობამა-ბაიდენის გეგმა შემდეგი ნაწილებისგან შედგება: 1. პირველი ნაწილი ეხება იმ საკითხს, თუ როგორ უნდა დაასრულოს ღირსეულად აშშ-მ ომი ერაყში და როგორ უნდა გამოიყვანოს ჯარები ეტაპობრივად. 2. ირანი. 3. ამერიკის დიპლომატიის განახლება. 4. ბირთვული იარაღი. 5. მოლაპარაკებები და ღიაობა. 6. ისრაელი. 7. რუსეთის გამოცოცხლების შედეგად წარმოქმნილი ახალი გამოწვევები. 8. აფრიკა. 9. ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვისპირეთი.

როგორც ვხედავთ, აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ინტერესის არეალი ძალზე ფართოა და თითქმის მთელს მსოფლიოს მოიცავს. აქედან გამომდინარე, მისი ანალიზი ურთულესია და ერთი სტატია, რაღა თქმა უნდა, ვერ შეძლებს, ყოველივე მოიცვას. თუმცა, ჩვენი მიზანი ეს არც უნდა იყოს. საქართველოსთვის განსაკუთრებით საყურადღებო იქნება იმ საკითხთა კვლევა, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ ჩვენს რეგიონსა და სამეზობლოსთან ფართო გაგებით. ამ კუთხით ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ევროპა, რუსეთი, ახლო აღმოსავლეთი და ცენტრალური აზია. ამიტომაც მოლოდინი იმასა, თუ რა ქმედებებს განახორციელებს ზემოთაღნიშნულ რეგიონებში აშშ, დიდია.

თავდაპირველად, უნდა აღვნიშნოთ, რომ აშშ-ს პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან, ურთიერთგადაჯაჭვულია და დიდწილად ერთმანეთისგან გამომდინარეობს. ამიტომაც, ყოველ ქმედებასა თუ პოლიტიკას, რომელსაც აშშ განახორციელებს ევროპასთან, რუსეთთან, ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიასთან მიმართებით ძალზე დიდი მნიშვნელობა ექნება.

სანამ უშუალოდ ამერიკის შესაძლო საგარეო პოლიტიკური ქმედებების განხილვაზე გადავალთ, საჭიროა, მიმოვიხილოთ ის ძირითადი პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც ამ კუთხით აშშ-თვის არსებობს.

ევროპა

ევროპა აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი მოკავშირეა, თანამედროვე მსოფლიოში კი, სადაც მომსწრენი ვართ ახალი მძლავრი მოთამაშეების ჩამოყალიბებისა და საერთაშორისო წესრიგის საგრძნობი რყევებისა, განსაკუთრებით საჭირო ხდება სანდო და ძლიერი მოკავშირეების ყოლა, რომლებთანაც თანამშრომლობა უკვე ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისა და ინტერესების შემადგენელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, ევროპის სიძლიერე და ერთიანობა, რაღა თქმა უნდა, ამერიკისთვის პრიორიტეტად ითვლება.

ამჟამად ევროპის ძირითადი საგარეო პოლიტიკური პრობლემა ენერგო უსაფრთხოებას უკავშირდება. დღეს-დღეობით, გაერთიანების ბუნებრივი აირის მოხმარების დაახლოვებით 40%-ს რუსეთი აკმაყოფილებს. ექსპერტების ვარაუდით, მომავალ წლებში რუსულ გაზზე დამოკიდებულება კიდევ უფრო გაიზრდება. ასეთ პირობებში რუსეთს ევროპასთან მოლაპარაკებების დროს ყოველთვის დიდი კოზირი აქვს და გარკვეულწილად, შანტაჟის შესაძლებლობასაც აძლევს. გარდა იმისა, რომ ევროპული გაერთიანება დიდაა დამოკიდებული ბუნებრივი აირის ერთ მომწოდებელზე, ამ რესურსის რუსეთიდან ტრანსპორტირება ძირითადად ბელარუსსა და უკრაინის ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენების მეშვეობით ხდება, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ დაბრკოლებებს წარმოშობს. ბოლო ორი წლის განმავლობაში ჯერ რუსეთ-უკრაინის და შემდეგ რუსეთ-ბელორუსის კრიზისის მომსწრენი გავხდით, რომელთა დროსაც მნიშვნელოვნად დაზარალდა ევროპა. ამასთან, არავინ იცის როგორ განვითარდება მომავალში რუსეთისა და უკრაინის ურთიერთობები. ასეთი გაურკვევლობა კი, რაღა თქმა უნდა, ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების აღნიშნულ მარშრუტს მაღალი რისკის ქვეშ აყენებს.

ირანი

ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში აშშ-თვის განსაკუთრებით პრობლემატურია ირანი. როგორც ობამა-ბაიდენის გეგმაში ვკითხულობთ, გართულებული ურთიერთობების მთავარი მიზეზი ირანის ბირთვულ სახელმწიფოდ გადაქცევის სურვილს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ირანელი მაღალჩინოსნები მუდმივად ამტკიცებენ, რომ ბირთვული ინფრასტრუქტურის შექმნას ისინი მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის აპირებენ, ამის დაჯერება და მითუმეტეს, გაკონტროლება ძალზე რთულია. ეს კი, თავისთავად, საკმაო საფრთხეს წარმოშობს მთელი მსოფლიოსთვის, განსაკუთრებით, კი ამერიკელებისა და ახლო აღმოსავლეთში მათი უმნიშვნელოვანესი მოკავშირე ისრაელისთვის. ირანის პრეზიდენტი არაერთხელ დაემუქრა ისრაელს განადგურებით, რამაც ბირთვული იარაღის ფლობის შემთხვევაში შეიძლება კატასტროფული შედეგები გამოიწვიოს.

რუსეთი

რაც შეეხება რუსეთს, ობამა-ბაიდენის გეგმაში აღნიშნულია, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ წარმოქმნა ახალი გამოწვევა აშშ-სა და პარტნიორი ევროპის უსაფრთხოებისთვის. ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკა რუსეთის მიმართ მცდარი და არათანმიმდევრული იყო. ამის საპირისპიროდ, ობამა და ბაიდენი აღნიშნულ გამოწვევას დაუპირისპირებენ ახალ ყოვლისმომცველ სტრატეგიას, რომელიც დაიცავს ამერიკის ეროვნულ ინტერესებს ძირითადი პრინციპების არდათმობის ხარჯზე. როგორც ვხედავთ, ობამა და მისი გუნდი რუსეთს ახალი საფრთხის მატარებლად მიიჩნევენ.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოსთან ომის შემდგომ რუსეთმა კიდევ რამდენიმე ისეთი ნაბიჯი გადადგა, რომელიც სულ უფრო ახალ საფრთხეებს ქმნის აშშ-სა და მისი მოკავშირეებისვის. 5 ნოემბერს აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებიდან მეორე დღეს რუსეთის პრეზიდენტმა მშვენიერი "მილოცვა მიუძღვნა" ობამას, როდესაც კალინინგრადში რუსული სარაკეტო სისტემის "ისკანდერის" შესაძლო განთავსებაზე გააკეთა განცხადება. მისი თქმით, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი აშშ არ გადაიფიქრებს პოლონეთსა და ჩეხეთში თავისი რაკეტებისა და რადარის დაყენებას.

ამას ემატება რუსეთის გააქტიურება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სულ ახლახანს რუსეთისა და ვენესუელის პრეზიდენტებმა ხელი მოეწერას შეთანხმებათა პაკეტს, რომელიც მოიცავს თანამშრომლობას მრავალ სფეროში, მათ შორის, ატომური ენერგიის, გემთმშენებლობის, ნავთობისა და გაზის სექტორებში. მომავალში არ იქნება გასაკვირი, თუკი ვენესუელა რუსულ სამხედრო გემებსაც დაუთმობს თავის ტერიტორიულ წყლებს.

რუსეთმა გამოაცოცხლა ურთიერთობები აფრიკასთანაც. 2008 წლის 31 ოქტომბერს მოსკოვს ვიზიტით ლიბიის პრეზიდენტი მუამარ კადაფი ეწვია, რომელიც შეხვდა, როგორც პრეზიდენტ მედვედევს, ისე პრემიერ პუტინს. შეხვედრებზე ორ ქვეყანას შორის დაახლოებით ისეთივე შეთანხმებები იქნა მიღწეული, როგორც ვენესუელის შემთხვევაში.

აშშ-სა და მისი მოკავშირეებისთვის რუსეთისა და ირანისგან გამოწვეული საფრთხეები ზემოთ ჩამოთვლილით არ შემოიფარგლება. უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ორივე სახელმწიფოდან გამომდინარეობს.

გაზის OPEC-ი

წინამდებარე პრობლემა ობამა-ბაიდენის გეგმაში არ გვხვდება, თუმცა, მის შესახებ საკმაოდ ბევრი დისკუსია მიდის ამერიკულ და ევროპულ პოლიტიკურ-საექსპერტო წრეებში. საუბარია ბუნებრივი აირის OPEC-ის მსგავსი კარტელური გაერთიანების შესახებ. რაც შეიძლება კიდევ ერთ საფრთხეს წარმოადგენდეს ამერიკისა და განსაკუთრებით, კი ევროპისთვის.

ასეთი ტიპის გაერთიანების შექმნის იდეა 2001 წელს რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა წამოაყენა. თუმცა 2007 წლის იანვრამდე მას სერიოზული ქმედებები არ მოჰყოლია. იანვარში კი ირანის სულიერი ლიდერი აიათოლა ალი ხამენეი გამოვიდა იგივე ინიციატივით.

ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი 2008 წლის 21 ოქტომბერს გადაიდგა. როდესაც თეირანში რუსეთის, ირანისა და ყატარის წარმომადგენელთა შეხვედრის შემდეგ ოფიციალურად გაცხადდა კარტელური გაერთიანების შექმნის გეგმები. აღნიშნულ სამ სახელმწიფოს ბუნებრივი აირის ყველაზე დიდი მარაგები აქვს (მსოფლიო რეზერვების დაახლოებით 60%).

ამერიკელი და ევროპელი ექსპერტები დავობენ იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ასეთი ტიპის გარიგებამ ევროპისა და აშშ-ს ენერგო უსაფრთხოებაზე. ამ დარგის ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ გაზის OPEC-ის ჩამოყალიბება ისეთივე ეფექტის მომტანი ვერ იქნება, როგორც ნავთობის შემთხვევაში ხდება, რადგანაც ნავთობზე ფასებს ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია მოთხოვნა-მიწოდების რეგულირების ხარჯზე აწესებს. ამის გამო, ნავთობზე ფასები მოკლე დროშივე შეიძლება გამუდმებით შეიცვალოს. ხოლო რაც შეეხება ბუნებრივ აირს, მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის გრძელვადიანი, მრავალწლიანი კონტრაქტები იდება, რომელთა შეცვლაც ადვილი არ არის.

თუმცა, ზემოთ მოყვანილი არგუმენტების სიძლიერეში შეგვიძლია, ეჭვი შევიტანოთ, რადგანაც ფასებზე ზემოქმედება მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდების რეგულირების საშუალებით არ ხდება. ბუნებრივი აირის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ კარტელის წევრი ქვეყნები უბრალოდ მოილაპარაკებენ და მათთვის ხელსაყრელ ფასს დაადგენენ. მრავალწლიანი კონტრაქტების არსებობაც ვერ იქნება შემაფერხებელი იმ მიზეზით, რომ, მაგალითად, "გაზპრომი" ყოველთვის იტოვებს უფლებას თავის პროდუქტზე ყოველ წელს ახლიდან დაადგინოს ფასი.

ყოველივე ზემოთქმული აშშ-ს ენერგო უსაფრთხოებისთვის, ყოველ შემთხვევაში უახლოეს მომავალში, ნაკლებადაა რისკის შემცველი, რადგანაც ამ ქვეყანაში მოხმარებული ბუნებრივი აირის 80% ადგილობრივი წარმოებისაა, ხოლო ძირითადი იმპორტი კანადიდან ხდება. აქედან გამომდინარე, აშშ-ს ამ კუთხით ფაქტიურად არაფერი ემუქრება.

კარდინალურად განსხვავებული სიტუაციაა ევროპის შემთხვევაში. გაზის კარტელის შექმნა ამ რეგიონს ფაქტიურად მოუსპობს ალტერნატივებს და დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტად იქნება რუსულ გაზზე დამოკიდებულები. ეს ფაქტორი კი ევროპის უსაფრთხოებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ამასვე ადასტურებს ობამა-ბაიდენის გეგმაც, რომელშიც აღნიშნულია, რომ საჭიროა აშშ-ს მოკავშირეების რუსეთის ენერგო რესურსებზე დამოკიდებულების შესუსტება.

აშშ-ს სავარაუდო სტრატეგია

როგორც ვხედავთ, ზემოთ აღნიშნული პრობლემები ურთიერთგადაჯაჭვულია, სადაც ქვაკუთხედს ენერგო რესურსების მიწოდება და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხები წარმოადგენს.

როგორც ობამა-ბაიდენის გეგმიდან ჩანს, აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ევროპის რუსეთზე ენერგეტიკული დამოკიდებულების შემცირება იქნება. ამისთვის საჭიროა რუსული გაზის სრულფასოვანი ალტერნატივის მონახვა. ამ კუთხით კი ყველაზე რეალურია "ნაბუკოს" პროექტის განხორციელება.

"ნაბუკო" არის პროექტი, რომლის მთავარი მიზანი კასპიის ზღვის აუზში არსებული ბუნებრივი აირის კავკასიის გავლით ევროპაში ტრანსპორტირებაა. იგი აღიქმება, როგორც ევროპის გაზმომარაგების დივერსიფიკაციის საუკეთესო წყარო. გაზსადენის მშენებლობის სავარაუდოდ 2009 წელს უნდა დაიწყოს და 2013 წელს დასრულდეს. გაზსადენმა უნდა გაიაროს აზერბაიჯანის, საქართველოს, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთისა და ავსტრიის ტერიტორია. მისი მნიშვნელობა ევროპასა თუ ამერიკაში ძალზე მაღალია. დღესაც მიდის აქტიური დისკუსიები "ნაბუკოს" მომავალსა და მნიშვნელობაზე.

ა.წ. 27-29 ოქტომბერს ბუდაპეშტში გაიმართა მესამე საერთაშორისო ენერგეტიკული ფორუმი, სადაც კიდევ ერთხელ აღინიშნა "ნაბუკოს" საჭიროება. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ფორუმზე ჰადსონის ინსტიტუტის ევრაზიის ცენტრის დირექტორის ზეინო ბარანის გამოსვლა, რომელმაც განაცხადა, რომ "ნაბუკოს" გაზსადენი აშშ-თვის პოლიტიკური მნიშვნელობისაა და არა – ეკონომიკური. მისი თქმით, აუცილებელია ყველაფერი გაკეთდეს, რომ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ის ქვეყნები, რომლებზეც გაივლის "ნაბუკოს" გაზსადენი, რუსეთის გავლენის ქვეშ არ მოექცნენ.

ბარანმა, აგრეთვე, ხაზი გაუსვა თურქმენეთის გაზის მნიშვნელობას "ნაბუკოსთვის". მისი აზრით, აშშ მაქსიმალურად უნდა ეცადოს ამ პროექტში თურქმენეთის ჩართვას.

ბუდაპეშტის სამიტს წინ უძღვოდა ამერიკული და ავსტრიული დელეგაციების ვიზიტები აშხაბადში. შეხვედრებზე განხილული საკითხები საჯაროდ არ გახმოვანებულა, თუმცა, პრეზიდენტ ბერდიმუხამედოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ თურქმენეთი ღიაა ენერგეტიკის სფეროში დასავლეთთან თანამშრომლობისთვის, ბევრის მთქმელია. შუა აზიაში მდებარე ეს სახელმწიფო, ალტერნატიული მარშრუტების არარსებობის გამო, თავის გაზს რუსეთზე ყიდის გაცილებით დაბალ ფასში, ვიდრე ევროპა ყიდულობს ამ რესურსს. ამიტომაც. თურქმენეთისთვის "ნაბუკოში" ჩართვა ძალზე მომგებიანი იქნება, რადგანც მას შეეძლება ევროპას პირდაპირ მიჰყიდოს ბუნებრივი აირი საბაზრო ფასებში.

ბოლო დროს აშშ-სა და განსაკუთრებით, ევროპის "ნაბუკოს" პროექტით დაინტერესება რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა, თვალსაჩინოა კიდევ რამდენიმე მიზეზის გამო. ა.წ. 5-8 ნოემბერს ევროკომისარი ენერგეტიკის საკითხებში ანდრის პიბალგსი თურქეთსა და აზერბაიჯანს ეწვია. შეხვედრის დეტალები არ გახმაურებულა, თუმცა, პიბალგსის პრეს-სპიკერის ფერან ტარადელასის თქმით, ვიზიტის მთავარი მიზანი "ნაბუკოს" პროექტის მომავლის განხილვა იყო. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ევროკომისარი იგივე მისიით ეწვევა ყაზახეთსა და ეგვიპტეს. "ნაბუკოს" პერსპექტივები ერთ-ერთი მთავარი თემა იყო 13-14 ნოემბერს ბაქოში გამართულ ენერგეტიკულ სამიტზეც, რომელშიც 20-მდე ქვეყნის ოფიციალურმა პირმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის 6 სახელმწიფოს მეთაური იყო. სამიტზე 15 ქვეყანამ და ევროკომისიამ ხელი მოაწერეს დეკლარაციას, სადაც გამოხატეს მხარდაჭერა კასპიის ზღვის რეგიონის ნავთობისა და გაზის მეშვეობით ევროპის ენერგო მომარაგების დივერსიფიკაციის მიმართ.

თუმცა, ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, აქ გვხვდება ერთი პრობლემა. ექსპერტების აზრით, მხოლოდ აზერბაიჯანისა და თურქმენეთის ბუნებრივი აირი ვერ შეავსებს "ნაბუკოს" გაზსადენს. ამის გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ერაყისა და განსაკუთრებით, კი ირანის გაზის რეზერვებს. ბევრი მკვლევარი, მათ შორის ამერიკელიც, უკვე აქტიურად საუბრობს ირანთან ურთიერთობების აწყობის აუცილებლობაზე. თუ კარგად დავაკვირდებით, ობამა-ბაიდენის გეგმის ის ნაწილი, რომლიც ირანს ეძღვნება, სწორედ ამ სულისკვეთებითაა განმსჭვალული.

აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია კატეგორიული წინააღმდეგია ირანთან ომის დაწყებისა. ობამას აზრით, ირანს ბირთვული იარაღის შექმნისგან თავშეკავების სანაცვლოდ, უნდა შესთავაზონ მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში გაწევრიანება და ეკონომიკური ინვესტიციები, ხოლო თუ ისინი ამაზე უარს იტყვიან, მაშინ გახდება საჭირო ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციების დაწესება.

ისმის კითხვა, რატომ უნდა დათანხმდეს ირანი აშშ-სა და ევროპასთან ურთიერთობების დათბობას. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ძლიერი სახელწიფოებიდან დღესდღეობით ირანს ფაქტიურად მხოლოდ ერთი მოკავშირე ჰყავს რუსეთის სახით. თუმცა, ირანელები იმასაც კარგად ხვდებიან, თუ რამდენად არამყარია ეს კავშირი. რუსეთი ირანის საკითხს მუდმივად იყენებს დასავლეთთან, განსაკუთრებით, კი აშშ-თან სავაჭროდ. რუსები ხშირად აღნიშნავენ, რომ ნატო-ს არგაფართოების სანაცვლოდ ირანის ბირთვულ პროგრამას მხარს არ დაუჭერენ. მნიშვნელოვანი ფაქტორი რამაც შეიძლება რუსეთ-ირანის ალიანსი განამტკიცოს ალბათ გაზის OPEC-ის შექმნა თუ იქნება. თუმცა, ეს საკითხიც არ არის ერთმნიშვნელოვანი. ირანი რომ კარგი ცხოვრების გამო არ იყურება რუსეთისკენ, ეს ფაქტია. აშშ-ს მხრიდან დაწესებული ემბარგოსა და ამ მიზეზით, ევროპასთან პირდაპირი კავშირების არქონის გამო, ირანი უბრალოდ იძულებულია რუსეთთან დამეგობრდეს.

ირანს ბუნებრივი აირის დიდი მარაგები აქვს, თუმცა, ემბარგო, ინვესტიციების ნაკლებობა და სუსტი ინფრასტრუქტურა მას იმდენად უშლის ხელს, რომ გაზს თურქმენეთიდან ყიდულობს, ანუ ამ ენერგეტიკული რესურსის იმპორტიორია.

აქედან გამომდინარე, თუკი ირანი დასავლეთისგან მიიღებს მყარ გარანტიებს იმისა, რომ აშშ და ისრაელი სამხედრო ინტერვენციაზე აღარ იფიქრებენ, "ნაბუკოს" პროექტში ჩართავენ და ემბარგოს მოუხსნიან, დიდი ალბათობით ირანის მთავრობა დათანხმდება ბირთვული პროგრამის შეწყვეტასა და რუსეთთან კავშირების შედარებით შესუსტებაზე.

რა საკვირველია, რუსეთშიც უშვებენ მოვლენების ასეთი განვითარების შესაძლებლობას. ამიტომაც, მედვედევ-პუტინის გუნდი ძალებს არ იშურებს ახლომდებარე რეგიონებში ენერგეტიკული ბერკეტების მაქსიმალური მონოპოლიზაციისთვის.

ამრიგად, აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, სავარაუდოდ, ევროპის ენერგო უსაფრთხოების გაძლიერება და გამოღვიძებული რუსეთის დაშოშმინება იქნება. ეს კი ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან ურთიერთობების აწყობის ხარჯზე უნდა მოხდეს.

რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა დადებითად იმოქმედა აშშ-ევროპის პარტნიორობის გამყარებაზე, რადგანაც აღნიშნულ ომამდე ევროპა იმ დოზით ვერ აცნობიერებდა რუსეთისგან მომავალ საფრთხეს, როგორც ახლა. ევროპელები ნათლად ხედავენ, რომ აშშ-ს დახმარებით ენერგო უსაფრთხოების გაზრდა მათთვის სასიცოხლო ინტერესს წარმოადგენს.

რას უნდა ელოდოს საქართველო?

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საუბარი იმაზე, რომ ევროპა და აშშ საქართველოს მიმართ დამოკიდებულებას შეიცვლიან და რუსეთს შეგვატოვებენ, სრული უაზრობაა. დასავლეთისთვის საქართველოს მნიშვნელობა თუ არ გაიზარდა, ნამდვილად არ შემცირებულა. თუმცა, მოკლე ხანში არ უნდა ველოდოთ ევროპისგან პოზიციების კარდინალურ შეცვლასა და რუსეთთან დაპირისპირებას. რაც უფრო წინ წავა "ნაბუკოს" პროექტისა და ირანთან პარტნიორობის საქმე, მით უფრო ხისტი და პრინციპული გახდება ევროპა რუსეთთან, მანამდე კი შუალედურ პოზიციას დაიკავებს და ხელსაყრელ დროს დაელოდება. ერთადერთი რისკი რის წინაშეც საქართველო შეიძლება დადგეს, ეს არის "ნაბუკოს" მარშრუტის კორექტირება, მაგალითად, გაზსადენის გაყვანა ირანიდან პირდაპირ თურქეთში, ან კიდევ სომხეთის გავლით. თუმცა, ამის შანსი ფაქტიურად არ არსებობს, რადგანაც, როგორც გამოჩნდა, აშშ-თვის "ნაბუკო" უფრო პოლიტიკური პროექტია და მასში პარტნიორი ქვეყნების ჩართვა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. რაც შეეხება პროექტში სომხეთის მიერ ჩვენს ჩანაცვლებას, ეს ფაქტიურად შეუძლებელია, პირველ რიგში იმიტომ, რომ სომხეთზე რუსეთს უდიდესი გავლენა აქვს, რომლის შესუსტებაც ამ ეტაპზე თვითონ სომხების სურვილის შემთხვევაშიც კი შეუძლებელი იქნება. თუკი "ნაბუკოს" ისევ რუსეთი გააკონტროლებს მაშინ საერთოდ აზრი ეკარგება მის იდეას. მეორე მიზეზი კი, რაღა თქმა უნდა, აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტია, რომლის მოწესრიგებაც მხოლოდ ყარაბაღის აზერბაჯანელებისთვის გადაცემას თუ ძალუძს. ამას კი სომხეთი ძნელად თუ დათანხმდება.

ამრიგად, ობამას ადმინისტრაციას საგარეო ასპარეზზე ახალ გამოწვევებთან შესახვედრად წინ რთული გზა ელის. საქართველოსთვის კი დასავლეთთან დაახლოებისა და დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ნათელი პერსპექტივები კვლავ არსებობს. მათი გამოყენება კი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი უნდა იყოს.

სოზარ სუბარი იუსტიციის მინისტრს ახალ რეკომენდაციას უგზავნის

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი განსასჯელ დავით მანაშვილის საქმით დაინტერესდა. ომბუდსმენმა საქმე დეტალურად შეისწავლა და აცხადებს, რომ საქმეში მტკიცებულებები გაყალბებულია. "24 საათი" მანაშვილის საქმის ფალსიფიკაციის თაობაზე უკვე წერდა.

სოზარ სუბარი სამართალდამცველთა პასუხისგებაში მიცემას ითხოვს.

დავით მანაშვილი 16 წლის იყო, როცა სამართალდამცველებმა ბრალი დასდეს 2006 წლის 29 ივლისს, დაბა სურამში მომხდარ ირაკლი ჩაკვეტაძის მკვლელობაში. საქმეს იძიებდა შიდა ქართლის კრიმინალური პოლიციის სამმართველო და როგორც მანაშვილის ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი აცხადებს, საქმის ფალსიფიკაცია პირველივე საგამოძიებო მოქმედებიდან დაიწყო. გამომძიებელმა მკვლელობის პირველივე დღეებში ჩაატარა ამოცნობის პროცედურა და მოწმეებს იმ დროისთვის 16 წლის ეჭვმიტანილი იმ სურათზე ამოაცნობინა, რომელიც დავით მანაშვილს 12 წლის ასაკში ჰქონდა გადაღებული. აქვე აღსანიშნავია, რომ დაკავების შემდეგ, როცა დავით მანაშვილი უკვე 18 წლის იყო, გამომძიებელს არ გასჩენია სურვილი ამოცნობის პროცედურა რეალურად ჩაეტარებინა.

საქმის მასალებიდან ირკვევა ისიც, რომ ირაკლი ჩაკვეტაძემ გარდაცვალებამდე ხაშურის კრიმინალური პოლიციის უფროსს რამაზ გრიგალაშვილს მკვლელობის მონაწილე დაუსახელა - ვინმე "ტრინკელი". ეს ფაქტი ბრალდებულის ადვოკატისთვის მკვლელობიდან 2 წლის შემდეგ გახდა ცნობილი - მაშინ, როცა ადვოკატს საქმის მასალები გადაეცა გასაცნობად, სადაც გარდაცვლილის დედის ჩვენება იდო, რომელშიც ამ ფაქტზე იყო საუბარი. თუმცა, ხაშურის კრიმინალური პოლიციის უფროსმა გრიგალაშვილმა ეს ფაქტი დამალა. მოგვიანებით კი, მოკლულის დას და დედას ამოსაცნობად წარუდგინა სრულიად სხვა პიროვნება.

ომბუდსმენის განცხადებით, მკვლელობიდან 40 დღის შემდეგ, კანონის იგნორირებით ჩატარდა მკვლელობის იარაღის ამოღების პროცედურა.

დაკავებულის ოჯახის წევრებს გააჩნიათ ფარული ვიდეოჩანაწერი, სადაც ასახულია, თუ როგორ აიძულებენ პროკურორი და გამომძიებელი ექსპერტებს, რათა გამოძიებისთვის სასურველი დასკვნა დადონ. ამ ჩანაწერში, რომელიც "24 საათმა" უკვე შემოგთავაზათ, ექსპერტი აცხადებს იმასაც, რომ იარაღი მანაშვილებს ჩაუდეს.

სოზარ სუბარის განცხადებით, გამომიების პროცესში ხდებოდა მოწმეებზე ზეწოლა გამოძიებისთვის სასურველი ჩვენებების მიცემის მიზნით.

ბრალდებულ დავით მანაშვილის ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი კი აცხადებს, რომ საქმე "შეკერილია გამოძიების მიერ" და არანაირი მტკიცებულება არ არსებობს, რომელიც დავით მინაშვილის ბრალეულობას დაამტკიცებდა.

"საქმეში არის გაყალბებული მტკიცებულებების მთელი კასკადი. მაგალითად, საქმის მასალებში წერია, რომ მკვლელობა ჩადენილია შავი იარაღით, თუმცა ექსპერტიზაზე გამოძიებამ წარმოადგინა ნაცრისფერი იარაღი. 16 წლის ბავშვს ორთვიანი პატიმრობა მშობლებისა და ადვოკატის გარეშე შეუფარდეს. ასეთივე მეთოდით დაკითხეს 14 წლის გოგონა, რომელმაც მოგვიანებით განაცხადა, რომ მისი დაკითხვა 7 საათის განმავლობაში სრულიად მარტო და ზეწოლით მიმდინარეობდა," - განაცხადა ადვოკატმა ნიკოლაიშვილმა, რომელმაც მანაშვილის საქმეში არსებული სერიოზული დარღვევების გამო საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის და ადამიანის უფლებტა კომიტეტის თავმჯდომარეებისა და სახალხო დამცველს მიმართა. ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი მათ დახმარება სთხოვა, რათა 18 წლის ბიჭი უსამართლობის მსხვერპლი არ გახდეს. მათთვის წერილის მიწერა ადვოკატმა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც სამართალდამცველი უწყებებს მის არა ერთ განცხადებაზე რეაგირება არ მოუხდენიათ.

"გამოძიება თავიდანვე დაიწყო ტენდენციურად, ბრალდება აიგო ვარაუდებსა და ჭორებზე. გამოძიებამ დაიწყო ყველა მეთოდის გამოყენება, რათა ხელოვნურად

შექმნილიყო ყალბი მტკიცებულებები დავით მანაშვილისთვის მკვლელობის დასაბრალებლად. ყალბი მტკიცებულებების შექმნაში მონაწილეობა მიიღეს ხაშურის კრიმინალური პოლიციის უფროსმა რამაზ გრიგალაშვილმა, გამომძიებელებმა დავით სამთელაძემ და გაგა ღონღაძემ, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურორმა მორის ჩუბინიძემ, შსს-ს საექსპერტო კრიმინალისტური ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს ექსპერტებმა: მ. გაბუნიამ, გ.ელიავამ, ზ.ზაზაძემ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ხელმძღანელმა მ. მამალაძემ. ბელოვნურად შექმნილი მტკიცებულებების ლეგიტიმაციას ხელს უწყობდა გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე რამიშვილი," – აცხადებს გელა ნიკოლაიშვილი. მას ამ განცხადების დამადასტურებელი არა ერთი მტკიცებულება გააჩნია, რომლებიც საქმეშიც დევს.

ადვოკატმა ცოტა ხნის წინ დასახელებულ პირთა პასუხისმგებლობაში მიცემის მოთხოვნით იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილს მიმართა და მათი უკანონო საქმიანობის დამადასტურებელი მასალებიც გაუგზავნა.

"გიგზავნით ჩვენს ხელთ არსებულ მასალებს და მოგმართავთ რეკომენდაციით, დაიწყოთ წინასწარი გამოძიება 369-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედებისთვის," – ასეთი რეკომენდაცია გაუგზავნა იუსტიციის მინისტრს ომბუდსმენმა და მტკიცებულებების გაყალბების ფაქტის შესწავლა მოითხოვა. , სახალხო დამცველს პარლამენტის თავმჯდომარის მოდგილე ლევან ვეფხვაძეც დაეთანხმა და იუსტიციის მინისტრს იგივე მოთხოვნით მანაც შესაბამისი რეკომენდაცია გაუგზავნა.

ქირურგ ზურაბ მიქაბერიძის მკვლელობის საქმეზე ძირითადი სხდომა გაიმართება

რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგის ზურაბ მიქაბერიძის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულთა საქმესთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოში დღეს ძირითადი სხდომა გაიმართება.

როგორც დაზარალებული მხარის ადვოკატმა ლადო ნორაკიძემ განაცხადა, მოწინააღმდეგე მხარე შუამდგომლობებს დააყენებს და იმ მოწმეთა დაკითხვა გაიმართება, რომლებიც განსასჯელების ბრალდებას ადასტურებენ. მისივე თქმით, დაზარალებული მახრე ბრალდებულ შოთა შანიძის მიმართ სამუდამო პატიმრობას ითხოვს, დაცვის მხარე კი ცდილობს, შეურაცხადად წარმოაჩინოს განსასჯელი და პასუხისმგებლობა თავიდან ააცილოს.

"მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, რომელიც განსასჯელის ფსიქოლოგიურ და ფსიქიატრიულ ექსპერტიზას ითვალისწინებდა. უკვე არსებობს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა, რომლის თანახმად, შანიძე შეურაცხადი არ არის და თავის ქმედებაზე პასუხისგება შეუძლია," - განაცხადა ნორაკიძემ. მკვლელობა სიონში 2008 წლის 31 აგვისტოს მოხდა. აღნიშნულ საქმეში სამი განსასჯელია.

დედოფლისწყაროს სასამართლომ პედაგოგები სამსახურში აღადგინა

"საინფორმაციო ცენტრის" ინფორმაციით, დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ თამარ ჭუნიაშვილმა დედოფლისწყაროს საჯარო სკოლიდან გათავისუფლებული რვა პედაგოგი სამსახურში აღადგინა.

სკოლის დირექტორმა პედაგოგებს შრომითი ხელშეკრულებები 2008 წლის 2-3 სექტემბერს მას შემდეგ შეუწყვიტა, რაც სამეურვეო საბჭოს წევრმა პედაგოგებმა მას უნდობლობა გამოუცხადეს და მისი გათავისუფლება მოითხოვეს. სკოლის დირექტორის ინტერესებს სასამართლოში სკოლის დირექტორთა ასოციაციის ხელმძღვანელი თეა თუთბერიძე იცავდა, რომელმაც როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებაშია ნათქვამი, სასამართლო სხდომაზე ვერ წარადგინა დასაბუთებული მტკიცებულებები პედაგოგების შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის საფუძვლიანობაზე.

"სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად სკოლის დირექტორი მაია ლაპიაშვილი პედაგოგების სამსახურში აღდგენაზე ამ დრომდე უარს ამბობს. მან რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა," - აცხადებს "საინფორმაციო ცენტრი".

მედიანიუსი

დაზარალებულ მოსამართლეებზე დახმარებები გაიცემა

სამსახურებრივი მოვალეობის გამო დაზარალებულ მოსამართლეებზე ფიქსირებული დახმარებები გაიცემა. შესაბამისი ცვლილების შეტანა "მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ" კანონში იგეგმება.

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით, მოსამართლეზე თავდასხმის შედეგად მისი დაღუპვის შემთხვევაში, დაღუპულის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი დახმარება 10 ათასი ლარი, ხოლო მოსამართლეს, რომელმაც სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით თავდასხმის შედეგად სხეულის ისეთი დაზიანება მიიღო, რომ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირია ან დასახიჩრდა, მიეცემა დახმარება არაუმეტეს 5 ათასი ლარისა.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას გარდაცვლილი მოსამართლის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 10 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, ხოლო მოსამართლეს, რომელმაც შრომის უნარი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას დაკარგა, შრომის უნარის ნაწილობრივ დაკარგვისას – 1 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, სრულად დაკარგვის შემთხვევაში კი 5 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით დახმარება ეძლევა.

საკანონმდებლო ინიციატივა პრეზიდენტს ეკუთვნის.

პირველი

აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ჰააგის სასამართლოში სარჩელს ვერ შეიტანენ

აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ჰააგის სასამართლოში სარჩელს ვერ შეიტანენ. ამის შესახებ ჰააგის სასამართლოს წარმომადგენელმა როზალინ ჰიგინსმა განაცხადა და აქვე განმარტა, რომ არაღიარებული რესპუბლიკები გაერო-ს წევრები არ არიან.

"საერთაშოისო სასამართლო მარტო იმ ქვეყნების საკითხებს განიხილავს, რომლებიც გაერო-ს წევრები არიან. როცა სახელმწიფო ამ ორგანიზაციის წევრი არ არის, მაგრამ თუ სურს გაერო-ს სასამართლოში წარსდგეს, შეიძლება, წინასწარი მოსმენა გაიმართოს. თუ წინასწარი მოსმენა არ მოხდა, მაშინ სასამართლომ ამასთან დაკავშირებით უნდა იმსჯელოს. საქართველო გაერო-ს წევრი ქვეყანაა და სარჩელის შეტანასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ექნება," – განაცხადა ჰიგინსმა.

ამასთან, მისი თქმით, საქართველომ სასამართლოში თავისი არგუმენტები წერილობითი სახით არაუგვიანეს 2009 წლის 2 სექტემბრისა უნდა წარადგინოს, ხოლო რუსეთმა კონტრარგუმენტები ასევე წერილობით - არაუგვიანეს 2010 წლის 2 ივნისისა.

საქართველომ, როგორც გაერო-ს წევრმა ქვეყანამ საერთაშორისო სასამართლოს რუსეთის წინააღმდეგ სარჩელით უკვე მიმართა. თბილისი მოსკოვს საერთაშორისო კონვენციების დარღვევაში ადანაშაულებს.

პირველი

"სილქ როუდ ჯგუფი" კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის დაკავებას უარყოფს

"სილქ როუდ ჯგუფი" კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის გიორგი რამიშვილის დაკავების თაობაზე.

როგორც "სილქ როუდ ჯგუფის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, მიმდინარე კვირას ერთ-ერთ გაზეთში მცდარი ინფორმაცია გავიდა, თითქოს რამიშვილი დააავეს.

"გვსურს, განვაცხადოთ, რომ აღნიშნული ფაქტი სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენს კომპანიას მრავალი წარმატებული ბიზნესი აქვს, როგორც საქართველოში, ისე მთლიანად რეგიონში, მათ შორის - კულტურის, ძეგლთა აღორძინების და სპორტის პოპულარიზაციის სფეროებში. ამ მიზნით "სილქ როუდ ჯგუფმა" ასეულობით მილიონი დოლარის ინვესტიცია მოიზიდა და მის გაზრდას მომავალშიც გეგმავს. ამ მიმართულებით მოლაპარაკებები წამყვან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მიმდინარეობს," – აცხადებენ "სილქ როუდ ჯგუფის" წარმომადგენლები და განმარტავენ, რომ "მსგავსი სახის მცდარი ინფორმაცია კომპანიის რეპუტაციას ზიანს აყენებს და ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე უარყოფითად მოქმედებს".

პირველი

კახა კუკავა მოწმის სტატუსტით დაიკითხა

გუშინ თბილისის სააპელაციო სასამართლოში "გაერთიანებული ოპოზიციის" მხარდამჭერის, საქართველოს გოლფის ასოციაციის პრეზიდენტის, ბიზნესმენ მერაბ რატიშვილის საქმის განხილვა გაიმართა. პროცესზე მოწმის სახით "კონსერვატიული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავა დაიკითხა.

მერაბ რატიშვილს ნარკოდანაშაულის ბრალდებით ასამართლებენ. სამართალდამცველებმა მისი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება "მეტადონი" ამოიღეს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად, რატიშვილს 8-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრება.

ახლობლები რატიშვილის დაკავებას მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებენ და აცხადებენ, რომ ნარკოტიკები შეგნებულად ჩაუდეს.

ჯი-ეიჩ-ენი

საია სასამართლოებში პოლიტიკური კორუფციაზე საუბრობს

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" სასამართლოებში პოლიტიკური კორუფციის არსებობის შესახებ საუბრობს.

როგორც საია-ს თავმჯდომარემ თამარ ხიდაშელმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი ძალიან დაბალია იმ საქმეების განხილვის დროს, როდესაც საქმე ხელისუფლების ინტერესებს ეხება.

"მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში პრაქტიკულად აღარ გვხვდება ქრთამის აღების ფაქტები და ასევე გაიზარდა მოსამართლეების კვალიფიკაცია, დღეს სასამართლოებში მთავარ პრობლემას პოლიტიკური კორუფცია წარმოადგენს. ამის გამო მას საზოგადოებაში ნდობის ხარისხი დაკარგული აქვს. დიდია აღმასრულებელი ხელისუფლების ზეწოლა, როდესაც საქმე ეხება ხელისუფლების ინტერესებს. იმ საქმეებზე, სადაც სახელმწიფოს ინტერესია მაღალი, სასამართლო აბსოლუტურ არაობიექტურობას იჩენს," - განაცხადა თამარ ხიდაშელმა.

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ჟურნალისტებს ის კონკრეტული მაგალითებიც წარუდგინა, როდესაც, მისი თქმით, სასამართლომ არასწორი გადაწყვეტილებები გამოიტანა. მათ შორისაა საარჩევნო დავები, გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეები, ტელევიზიებთან დაკავშირებული დავები და შეკრებისა და მანიფესტაციასთან დაკავშირებული დავები.

ჯი-ეიჩ-ენი

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების დღე სახალხო დამცველის ოფისში

სახალხო დამცველის ოფისში ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების 60 წლის თავთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებაზე სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა, მისმა მოადგილემ სოფიო ხორგუანმა და გაერო-ს კოორდინატორმა რობერტ უოდკინსმა ათი მოსწავლე სხვადასხვა პრიზებით დააჯილდოეს, რომლებმაც საუკეთესო შეფასება მიიღეს მოსწავლეთა ნაშრომების კონკურსზე – ღირსება და სამართლიანობა ყველასთვის.

"მოხარული ვართ, რომ ბავშვები დაინტერესდნენ ადამიანის უფლებების თემით, რომელიც ჰუნმანური განვითარების ერთ–ერთ უმნიშვნელოვანესი საკითხია," - განაცხადა რობერტ უოდკინსმა.

პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულ გამარჯვებულებს გადაეცათ საჩუქრად კომპიუტერი, ვიდეოკამერა და ციფრული ფოტოაპარატი.

საუკეთესო ათეული კი სულაკაურის გამომცემლობის წიგნებით დასაჩუქრდა.

მოსწავლეთა ნაშრომები დაიბეჭდება და გამოიცემა სპეციალური ბროშურის სახით.

კონკურში მონაწილეობა ზოგადსაგანმანათლებლო და კერძო სკოლების მეცხრე-მეთორმეტე კლასის მოსწავლეებმა მიიღეს.

დაჯილდოების ცერემონიას საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრებიან.

ჯი-ეიჩ-ენი

პატიმართა სიკვდილიანობა გახშირდა

არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" წარმომადგენლის გელა ნიკოლაიშვილის განცხადებით, საპყრობილეებში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო პატიმართა სიკვდილიანობა გახშირდა.

2008 წლის 6 თვეში 49 პატიმრი გარდაიცვალა.

როგორც ნიკოლაიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ბოლო ორი დღის განმავლობაში გარდაცვლილია ორი პატიმარი. ერთი პატიმარი - 43 წლის კარამიანი, რომელიც სიმსივნის მე-4 სტადიით იყო დაავადებული, გლდანის სამკურნალო დაწესებულებაში დაიღუპა. ადვოკატი აცხადებს, რომ პატიმარი სასჯელის გადავადებას ექვემდებარებოდა, რადგან იგი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, თუმცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა სასჯელის გადავადება არ მოახდინა.

ადვოკატის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ ასევე მძიმედ დაავადებული პატიმარი გარდაიცვალა. 32 წლის ფიცხელაურის გარდაცვალების მიზეზად ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ჯანმრთელობის უკიდურესი გაუარესება სახელდება.

ოფიციალური ინფორმაციით, 2008 წლის პირველ ნახევარში გარდაცვლილი 49 პატიმრიდან 4 ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზით გარდაიცვალა, 18 შემთხვევა კი ფილტვების ტუბერკულოზს უკავშირდება. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საპყრობილეებში სუიციდის ორი შემთხვევაც დაფიქსირდა.

ბოლო 6 თვეში გარდაცვლილ 49 პატიმრიდან 35 მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში დაიღუპა, 3 შემთხვევა თბილისის N8-ე საპყრობილეში მოხდა, 2-2 პატიმარი ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ქალაქის სხვადასხვა საავადმყოფოებში გარდაიცვალა. დანარჩენი შემთხვევები კი ქვეყნის მასშტაბით არსებულ სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებში მოხდა.

2008 წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით, პატიმრებს შორის სიკვიდილიანობამ პიკს ივნისის თვეში მიაღწია, როცა გარდაიცვალა 16 პატიმარი.

საკუთარი ინფორმაცია

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები

რუსეთში კატასტროფულად იზრდება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულის რიცხვი.

სტატისტიკის თანახმად, მოსკოვში არასრულწლოვანებმა ჩაიდინეს 1,7 ათასი დანაშაული, 279-ით მეტი გასულ წელთან შედარებით. მოსკოვის პროკურატურის სამმართველოს უფროსის მოადგილის განცხადებით, არასრულწლოვანთა მიერ უკვე ჩადენილია 28 მკვლელობა, მაშინ, როცა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში 11 მკვლელობა იყო აღრიცხული.

მისი ინფორმაციით, დიდი რაოდენობით დანაშაულს ჩადიან 16-17 წლის არასრულწლოვანები. სტატისტიკის მიხედვით, ამ ასაკის კრიმინალთა მიერ ჩადენილია ათასი დანაშაული, ხოლო 14-15 წლის არასრულწლოვანთა მიერ მხოლოდ 450. ყველაზე ხშირად არასრულწლოვანებს იჭერენ ქურდობისა და ქუჩის ძარცვისთვის.

ბოლო ნახევარ წელიწადში მოსკოვში პატარა კრიმინალებმა ჩაიდინეს 500 ქურდობა, 350 ძარცვა, 127 თავდასხმა. უმეტეს შემთხვევაში, არასრულწლოვანები ქურდობენ ან იტაცებენ მობილურ ტელეფონებს, რომლებსაც ყიდიან და ფულს სათამაშო ავტომატებით სათამაშოდ იყენებენ.

დანაშაულს ყველაზე ხშირად გოგონები ჩადიან. ნახევარი წლის მანძილზე მათ ჩაიდინეს 200-ზე მეტი დანაშაული. არასრულწლოვანი გოგონების საყვარელი გატაცებაა კოსმეტიკური საშუალებებისა და ტანსაცმლის ქურდობა.

სტატისტიკის მიხედვით, გასულ წელს არასრულწლოვანებმა ჩაიდინეს 154 ათასი დანაშაული, მათ შორის, ათასზე მეტი მკვლელობა, 3 ათასი ყაჩაღური თავდასხმა და 18 ათასი ქურდობა.

ბავშვთა ფსიქოლოგიის სპეციალისტები არასრულწლოვანთა ამგვარ სისასტიკეს ღრმა სოციალური ფაქტორებით ხსნიან. მათი განცხადებით, ახალ თაობას ღირებულებების ორიენტაციის სერიოზული პრობლემები აქვს.

"თანამედროვე ბავშვები შეიცვალნენ და მათი სისასტიკის მიზეზები უნდა ვეძებოთ იმ ატმოსფეროში, სადაც იზრდებიან და ცხოვრობენ," – აცხადებენ ფსიქოლოგები.

სამართალდამცველთა განცხადებით, არასრულწლოვანის მიერ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი შოკისმომგვრელი დანაშაული 2006 წლის 8 აგვისტოს მოხდა. ალტაის მხარეში, სოფელ ტუეკტაში 16 წლის არასრულწლოვანმა მოკლა ომსკის ჟურნალის მთავარი რედაქტორი ალექსანდრ პეტროვი, მისი ცოლი და ორი ბავშვი, იმის გამო, რომ პეტროვის უცხოური მანქანით გასეირნება უნდოდა.

განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულისთვის 19 მაისს სასამართლომ ოთხ არასრულწლოვანს ექვსიდან ათ წლამდე პატიმრობა მიუსაჯა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი ქურდობისთვის, ძარცვისა და გაუპატიურებისათვის. მანამდე ოთხ არასრულწლოვანს უკვე ჩადენილი ჰქონდათ 10 განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული.

რამდენიმე დღის წინ ძალაში შევიდა მოსკოვის სასამართლოს განაჩენი. საქმე ისაა, რომ არასრულწლოვანთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში გოგოც შედიოდა, თანატოლი დასაჯეს - მთელი ღამე აწამებდნენ, მანამდე, სანამ მსხვერპლი არ გარდაიცვალა.

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი აცხადებს დამატებით მიღებას მაგისტრატურაში

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს აქვს პატივი წარმოგიდგინოთ ექსკლუზიური სამაგისტრო პროგრამები **დრამის ფაკულტეტზე:**

1. დრამის რეჟისურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)

პროგრამის ხელმძღვანელი: რეჟისორი რობერტ სტურუა; ასოცირებული პროფესორი თამარ ბოკუჩავა

10 ადგილი

მსურველებისა და დაინტერესებულ პირთათვის სავალდებულოა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შექმოქმედებითი უნარები.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარი შემოქმედებითი პროდუქცია (სამოყვარულო ან პროფესიონალური ნამუშევარი - ფილმი, ფოტო ნამუშევრები, ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოები: მოთხრობა, ნოველა და ა.შ. და სხვა სახის შემოქმედებითი პროდუქცია, რომელიც აპლიკანტს წარადგენს, როგორც შემოქმედებით პიროვნებას)

2. შემოქმედებითი პედაგოგიკა (ქართული ცეკვისა და სადადგმო ხელოვნების პედაგოგი)

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი უჩა დვალიშვილი

9 ადგილი

მსურველებისა და დაინტერესებულ პირთათვის სავალდებულოა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ქორეორგაფიის მიმართულებით.

მაგისტრატურაში სწავლის მსურველებმა 10 დეკემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით 11-17 საათამდე უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- პირადი განცხადება რექტორის სახელზე სამაგისტრო პროგრამის მითითებით
- უმაღლესი განათლების დიპლომი /დედანი/ დანართით და მათი შესაბამისი თითო ასლი
- სამი ცალი ფერადი ფოტოსურათი -ზე
- მოქალაქის პირადობის მოწმობის /პასპორტის/ ასლი
- სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების დამადასტურებელი საბუთი /ვაჟებისათვის/

საბუთების მიღება იწარმოებს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, დრამის ფაკულტეტზე.

მის: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 19.

დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით: 93 22 52; 9613 92

- საბუთები მიიღება 10 დეკემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით 11-17 საათამდე
- ტესტირება, გასაუბრება ჩატარდება 25 იანვარს 11:00 საათზე
- სააპელაციო ვადა 26 იანვრის 17:00 საათამდე.

მიხაილ კასიანოვი რუსეთს კოლაფსს უწინასწარმეტყველებს

რუსეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრისა და ამჟამად ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერ მიხაილ კასიანოვის აზრით, ხელისუფლების დამღუპველი პოლიტიკის წყალობით მომდევნო წლის გაზაფხულში ქვეყანა, შესაძლოა, სოციალური კატასტროფისა და პოლიტიკური ძვრების წინაშე აღმოჩნდეს. მისი თქმით, თავად ხელისუფლების იმედად ყოფნა არ ღირს, რადგან მას, კრიზისიდან "გამოძრომის" იმედის გარდა, სხვა სტრატეგია არ გააჩნია. ყველაზე ოპტიმისტურ სცენარად კი ყოფილ პრემიერს ვადამდელი არჩევნების დანიშვნა მიაჩნია, რომლის შედეგადაც ოპოზიცია ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებდა.

მიხაილ კასიანოვი.

11 დეკემბერს ინტერნეტპორტალმა "გრანი.რუ"-მ გამოაქვეყნა საკმაოდ მოზრდილი ინტერვიუ რუსეთის მთავრობის ყოფილ თავმჯდომარე მიხაილ კასიანოვთან. ექს-პრემიერი დარწმუნებულია, რომ ხელისუფლების მიერ კრიზისის აშშ-ზე გადაბრალების მიუხედავად, მისი მთავარი მიზეზი რუსეთშია და ის კრემლის პოლიტიკის დამსახურებაა. **"ეს გახლავთ 2005-2007 წლებში ყოფილი პრეზიდენტის და ამჟამინდელ პრემიერ ვლადიმირ პუტინის მიერ შექმნილი მოდელი, რომელსაც ეწოდება სუვერენული დემოკრატია სახელმწიფო კაპიტალიზმით. ესაა მოდელი, რომელიც საზღვარგარეთიდან შემოსულ იაფფასიან ფულსა და ნავთობის მაღალ ფასებზეა დაფუძნებული,"** – მიიჩნევს კასიანოვი.

მისი თქმით, მიმდინარე მოვლენების შედეგები ასეთი იქნება: **"ინფლაცია, დაპირებული 8,5 პროცენტის ნაცვლად, 15 პროცენტს მიაღწევს. მეტიც, მოსალოდნელია რუბლის დევალვაცია და უმუშევართა რიცხვის მატება. ეკონომიკური ზრდა, რომელიც 9 წელიწადს გრძელდებოდა, დაცემით შეიცვალა. მარტში, სავარუდოდ, არა 4 მილიონი, არამედ ორჯერ მეტი უმუშევრის მოწმე გავხდებით."**

11 დეკემბერს რუსეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ტატიანა გოლიკოვამ განაცხადა, რომ რუსეთში სამსახურიდან მასობრივი დათხოვნები არ მოხდება. მისი უწყების პროგნოზების თანახმად, სამუშაოს გარეშე მხოლოდ მოქალაქეთა 10 პროცენტზე ნაკლები დარჩება.

თუმცა, ყოფილი პრემიერის აზრით, კრიზისი და მასშტაბური უმუშევრობა გრძელვადიანი ხასიათის იქნება. **"ეკონომიკური ზრდა აშშ-ში მხოლოდ 2010 წელს აღდგება. ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირში ეს 2011 წელს მოხდება, ჩვენთან კი, თეორიულად, ვითარების გაუმჯობესება შეიძლება 2012 წლიდან დაიწყოს. ამგვარად, ჩვენ კრიზისის პირობებში სამი წელი მოგვიწევს ცხოვრება, სიტუაციის შეკავების ის სახსრები კი, რომლებიც ხელისუფლებას გააჩნია, ექვს თვეს ან ერთ წელსაც გაჭირვებით გვეყოფა. შემდეგ იქნება კოლაფსი. შემდეგ – გაუთვალისწინებელი და ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოძრაობები, მასების მოძრაობები,"** – ამგვარ პროგნოზს აკეთებს კასიანოვი.

მისი აზრით, რუსეთის ამჟამინდელ ხელისუფლებას მოქმედების ორი ვარიანტი გააჩნია: **"ხელისუფლების სიჯიუტის შემთხვევაში, პირველი სცენარი, შესაძლოა, ძალზე ნეგატიური იყოს, რომლის ფინალიც ეკონომიკური კოლაფსი იქნება, ყველა სოციალური და პოლიტიკური შედეგებით. მეორე სცენარის მიხედვით, ხელისუფლება კრიზისის სიღრმეებსა და თავისი გეზის მცდარობას გააცნობიერებს."**

მეორე სცენარის არჩევის შემთხვევაში, კასიანოვის აზრით, ოპოზიცია ვადამდელი არჩევნებისთვის უნდა მოემზადოს, რათა შემდგომ კრიზისიდან გამოსვლაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს. მისი თქმით, გაზაფხულზე აღარაფერი იქნება ამჟამინდელ ხელისუფლებაზე დამოკიდებული. **"ჩემი მოლოდინით, მარტ-აპრილში მოქალაქეები სრული სიმძაფრით გააცნობიერებენ, თუ სადამდე მიიყვანა ქვეყანა ამჟამინდელმა ხელისუფლებამ,"** – ასკვნის ყოფილი პრემიერი.

ოპოზიციის მეორე ლიდერმა გარი კასპაროვმა ნოემბერში ბრიტანულ პრესასთან ინტერვიუში "იწინასწარმეტყველა", რომ მედვედევ-პუტინის სახელისუფლებო ტანდემი წელიწადნახევარზე მეტს ვერ გასტანდა. მისი აზრით, არსებული რეჟიმი ქვეყანას ცვლილებებისკენ ძალადობრივი გზით უბიძგებს და სულ მალე ქუჩებში ასი ათასობით ადამიანი გამოვა. ამას ხელს შეუწყობს კრიზისიც, რომელიც წინამორბედებისგან განსხვავებით, ამჯერად არა მარტო ღარიბებს, არამედ საშუალო კლასსაც შეეხება. სირთულეები კი საშუალო ფენას აღარ მისცემს საშუალებას, რომ პოლიტიკის მიმართ კვლავაც პასიური იყოს, ამტკიცებს კასპაროვი.

ობამას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაზე უარის თქმას ურჩევენ

ვაშინგტონის ავტორიტეტულმა არასამთავრობო კვლევითმა ორგანიზაციამ "ამერიკული პროგრესის ცენტრმა" აშშ-ს არჩეული პრეზიდენტის ახალი ადმინისტრაციისთვის მოამზადა ანგარიში, რომელიც ბარაკ ობამას რეკომენდაციას აძლევს, შეაჩეროს ჩეხეთსა და პოლონეთში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ობიექტების მშენებლობა და ასევე დახუროს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სხვა პროგრამებიც. პოლიტოლოგთა აზრით, ამგვარი გადაწყვეტილება მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ობამას ადმინისტრაციას სახელმწიფო ბიუჯეტში 13,15 მილიარდი დოლარის ეკონომიის საშუალებას მისცემს.

"ამერიკის პროგრესის ცენტრი" რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პროგრამის შეჩერების რეკომენდაციას იძლევა.

იმ შემთხვევაში, თუ ობამა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის მთლიან პროგრამაზე იტყვის უარს, "შესაძლებელი იქნება, დაახლოებით, 25 მილიარდი დოლარის ეკონომია," - ნათქვამია 10 დეკემბერს გამოქვეყნებულ 70-გვერდიან მოხსენებაში, სახელწოდებით - "შეიარაღებული ძალების მშენებლობა 21-ე საუკუნისთვის: ახალი რეალობები, ახალი პრიორიტეტები."

აღსანიშნავია, რომ ცენტრის ხელმძღვანელი გახლავთ ჯონ პოდესტა, რომელიც ამჟამად ობამას გარდამავალ ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს, ხოლო კლინტონის ადმინისტრაციაში თეთრი სახლის აპარატის უფროსი იყო.

"ხმელეთზე ბაზირების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შემდგომი გაშლა იქამდე უნდა შეჩერდეს, ვიდრე ის რეალისტური საოპერაციო გამოცდების მსვლელობისას თავის ქმედობაუნარიანობას არ დაამტკიცებს. ეს ასევე ნიშნავს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პლატფორმების მშენებლობის შეწყვეტას ჩეხეთსა და პოლონეთში," – ნათქვამია დოკუმენტში.

ანგარიშის ავტორები აღნიშნავენ, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების ეფექტიანობასა და საჭიროებაზე ჯერ კიდევ მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს. ისინი იშველიებენ მეცნიერთა მოსაზრებებს, რომ "მარტივი ფიზიკა აჩქარების ფაზაში რაკეტების გადაჭერას განსაკუთრებით რთულს ხდის."

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს ცდებისა და შეფასებების სამმართველოს ყოფილმა დირექტორმა ფილიპ კოილმა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შექმნის სტრატეგიული ლოგიკა ეჭვქვეშ დააყენა და განაცხადა, რომ ეს მხოლოდ რუსეთის ტყუილუბრალოდ პროვოცირებას გამოიწვევს.

ანგარიშის პრეზენტაციაზე გამოსვლისას "დემოკრატმა" კონგრესმენმა ჯონ მურთამ, რომელიც იმავდროულად კონგრესის ქვედა პალატის თავდაცვის ასიგნირებათა საპროფილო ქვეკომიტეტის თავმჯდომარეც გახლავთ, განაცხადა, რომ უახლოეს წლებში აშშ-ს ფედერალურ ბიუჯეტში სამხედრო ხარჯები ეტაპობრივად შემცირდება.

მურთამ სხვა პრობლემებზეც გააკეთა აქცენტი, კერძოდ იმაზე, რომ "ობამას ადმინისტრაცია მემკვიდრეობით მიიღებს ორ ომს, შეიარაღებული ძალები უკიდურესად დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფება და საზღვარგარეთ აშშ-ს იმიჯი არნახულად დაბალია."

"ჩვენი ეკონომიკა რეცესიის პროცესში იმყოფება, ჩვენმა ფედერალურმა დეფიციტმა და ვალებმა უპრეცედენტო დონეს მიაღწიეს. თუ ისტორიის გამოცდილებას გამოვიყენებთ, შემდგომ წლებში თავდაცვის ხარჯები მზარდი წნეხის ქვეშ აღმოჩნდება... იმის თქმა მინდა, რომ თავდაცვის ხარჯების მოცულობა ნაკლები იქნება," – აღნიშნა კონგრესმენმა.

არეულობა საბერძნეთში

ბერძენ ანარქისტებს თანამოაზრეები დანიასა და გერმანიაშიც გამოუჩნდნენ

ხათუნა გაბიევი

საპროტესტო აქციების მეექვსე დღე და შედარებით მშვიდი ღამე საბერძნეთში; ათენსა და სალონიკში აქა-იქ ანარქისტების მცირეოდენი შეტაკებები პოლიციასთან; დემონსტრანტებმა ათენის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიდამოები მას შემდეგ დატოვეს, რაც პოლიციელების მისამართით ქვები და "მოლოტოვის კოქტეილები" არ დაიშურეს; სამართალდამცველებმა ანარქისტების იერიში ცრემლსადენი გაზით მოიგერიეს, სამი პირი დააკავეს და ახლა ტერიტორიას წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით აკონტროლებენ.

AFP ' 2008

საბერძნეთში მასობრივი არეულობები გრძელდება.

მასობრივი არეულობები საბერძნეთში გასულ შაბათს დაიწყო, როდესაც სტუდენტებთან პოლიციის შეჯახებისას პოლიციელის მიერ ნასროლ ტყვიას 15 წლის მოზარდი ალექსანდროს გრიგოროპულოსი ემსხვერპლა.

ერთ-ერთ პოლიციელს მკვლელობის მუხლით უკვე წაუყენეს ბრალი, მაგრამ ეჭვმიტანილიცა და მისი კოლეგაც ირწმუნებიან, რომ მოზარდის დაღუპვის მიზეზი მხოლოდ რიკოშეტი გახდა და არა დამიზნებით ნასროლი ტყვია.

პოლიციის ოფიცრის ადვოკატ ალექსის კუგიასის თქმით, რიკოშეტის ვერსიას ბალისტიკური ექსპერტიზაც მოწმობს, მაგრამ ოფიციალურად ანგარიში ჯერ არ ქვეყნდება.

"საუბედუროდ, პოლიციელის მიერ ჰაერში გასროლას ასეთი ტრაგედია მოჰყვა. ტყვიამ მიმართულება შეიცვალა," – განაცხადა ალექსის კუგიასმა.

პოლიციელთა ვერსიით, საბედისწერო გასროლა გაფრთხილების მიზნით მოხდა, თანაც მას შემდეგ, რაც მოზარდთა ჯგუფმა პოლიციელთა მანქანას ქვების სროლა დაუწყო.

თუმცა, საპირისპიროს ირწმუნებიან თვითმხილველები, რომლებმაც სატელევიზიო ეთერში განაცხადეს, რომ საკუთარი თვალით დაინახეს, პოლიციელმა როგორ გაისროლა მიზანმიმართულად.

გრიგოროპულოსის უბედურმა შემთხვევამ ქვეყანაში ყველაზე მასშტაბური არეულობები გამოიწვია, რაც კი ყოფილა 1974 წლის შემდეგ, როდესაც ხელისუფლებას სამხედრო ხუნტა ჩამოაშორეს.

პოლიციასთან დემონსტრანტთა შეჯახებებს ადგილი ჰქონდა ქვეყნის ათობით ქალაქში, მათ შორის პოპულარულ კურორტებზე – კრეტასა და კორფუზე.

საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" მონაცემებით, რაც სადაზღვევო კომპანიათა ცნობებს ემყარება, არეულობების შედეგად მიღებულმა ზარალმა უკვე 20 მლნ ევროს მიაღწია. ამაში იგულისხმება დამწვარი ავტომობილების, მაღაზიებისა და საბანკო შენობების ღირებულება.

ათენის მუნიციპალიტეტის მონაცემებით, მარტო დედაქალაქში დაზიანებულია 300 სხვადასხვა ტიპის დაწესებულება.

სამშაბათს ადამიანის უფლებების დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ "ამნესთი ინთერნეიშენალმა" საბერძნეთის პოლიცია საპროტესტო აქციების დიდი სისასტიკით ჩახშობაში დაადანაშაულა.

ოთხშაბათს ათენის ცენტრში მრავალი მაღაზია დაიხურა, მფლობელებმა ვანდალური თავდასხმების შიშით ვიტრინები ხისა და მეტალის ფურცლებით შენიღბეს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბერძნეთში არცთუ იშვიათობაა სამართალდამცველთა და მემარცხენე-ანარქსიტულ ახალგაზრდულ მოძრაობებს შორის შეტაკებები.

არეულობები საბერძნეთში, რომელიც პირდაპირ ურტყამს ხელისუფლების რეპუტაციას, ოპოზიციური ძალების – "კომუნისტური პარტიისა" და რადიკალური მემარცხენე ძალთა კოალიციის მომხრეების გააქტიურებით დაიწყო.

ამბოხის შეწყვეტის მიზნით ოპოზიციურმა "სოციალისტურმა პარტიამ" ვადამდელი არჩევნების დანიშვნა მოითხოვა და ამის არგუმენტად ის მოიყვანა, რომ ხელისუფლებამ, რომელსაც პარლამენტში უპირატესობას ერთით მეტი ხმა აძლევს, ხალხის მხარდაჭერა უკვე დაკარგა.

"ეს ერთადერთია, რისი გაკეთებაც ძალუძს პრემიერ-მინისტრ კარამანლისს - თუ მისთვის მართლა ძალიან ძვირფასია საბერძნეთი," – განაცხადეს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა.

თუმცა, ხელისუფლება ასე იოლად დანებებას არ ჩქარობს და დაზარალებულებს, რომელთა შორის ანარქისტთა მიერ გაჩანაგებულ მაღაზიათა მფლობელებიც არიან, ზარალის ანაზღაურებას ჰპირდება.

"ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს არა მარტო მოქალაქეთა ცხოვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, არამედ იმ მეწარმეთა მხარდაჭერა, რომლებმაც მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს," – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა კოსტას კარამანლისმა ოთხშაბათს სატელევიზიო მიმართვაში.

მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელი ბიზნესმენებს, სახელმწიფო სუბსიდიებისა და კრედიტების გამოყოფის გარდა, გადასახადების შემცირებასაც დაჰპირდა.

თუმცა, პრემიერის ასეთ რიხს ვერ იზიარებენ ექსპერტები, რომლებიც მიჩნევენ, რომ საბერძნეთის სახელმწიფო ბიუჯეტი ამის გარეშეც მნიშვნელოვან დეფიციტს განიცდის.

ქვეყნის სათავეში 2004 წლის ოლიმპიადის წინ საზოგადოებრივი მღელვარების ფონზე მოსული კონსერვატიული სახელისუფლებო გუნდის ოთხწლიან მუშაობაზე უარყოფითი გავლენა იქონია მრავალრიცხოვანმა კორუფციულმა სკანდალებმა, ტყის ხანძრებმა და ეკონომიკური პოლიტიკის ჩავარდნამ.

ათენის უნივერსიტეტის რექტორმა კრისტოს კიტასმა საუნივერსიტეტო შენობაზე განხორციელებული ვანდალიზმის გასაპროტესტებლად გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა.

"ჩვენმა ახალგაზრდობამ ყველაფერი მიატოვა. დღითიდღე უფრო ცხადი ხდება, რომ სტუდენტებში რექტორატისა და ხელისუფლების მიმართ მტრული განწყობა მატულობს," – განაცხადა რექტორმა.

ერთი სიტყვით, მასობრივმა უკმაყოფილებამ შედეგად ის გამოიღო, რომ 10 დეკემბერს ათენის ცენტრალურ მოედანზე ათასობით პოლიციელს მოუხდა პარლამენტის შენობის დაცვა. არეულობები საბერძნეთში უკვე მეექვსე დღეა, გრძელდება. თავიდან საყოველთაო გაფიცვების ფონზე მუშაობა შეწყვიტა რამდენიმე სკოლამ და საავადმყოფომ, ნაწილობრივ არც საზოგადოებრივი ტრანსპორტი მუშაობდა. ოთხშაბათს ათენში რამდენიმე ათასკაციანი დემონსტრაცია გაიმართა, მაგრამ იგი გაცილებით ნაკლები მასშტაბის აღმოჩნდა, ვიდრე პროფკავშირები ელოდა.

არეულობის ტალღა ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებსაც მისწვდა

პროტესტის ტალღა ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებზეც გავრცელდა. დანიის პოლიციამ კოპენჰაგენში ბერძენი ანარქისტებისადმი სოლიდარობის ნიშნად გამართულ არასანქცირებულ დემონსტრაციაში მონაწილეობისთვის 30-ზე მეტი პირი დააკავა. სამართალდამცველებთან შეჯახება იმ დროს მოხდა, როდესაც დემონსტრანტებმა, ძირითადად - ახალგაზრდებმა, საბერძნეთის საელჩოში შეჭრა სცადეს.

"საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და ვანდალური ქმედებების გამო ჩვენ 30-ზე მეტი პირი დავაკავეთ," – განუცხადა ჟურნალისტებს კოპენჰაგენის პოლიციის წარმომადგენელმა.

8 დეკემბერს დემონსტრანტები ბერლინში საბერძნეთის საკონსულოს შენობაშიც შეიჭრნენ. აქციის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, მათი პროტესტი ათენში განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება და "მიმართულია საბერძნეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელსაც ახალგაზრდა კაცის დაღუპვის გამო პასუხისმგებლობა ეკისრება."

ფრონტალური-დამტვირთველი:
456 HT

ტექნიკის ტიპი: ფრონტალური-დამტვირთველი
მწარმოებელი: JCB (დიდი ბრიტანეთი)
მოდელი: 456 HT
ძრავის სიმძლავრე: 216 ცხ.ძ.
საექსპლუატაციო მასა: 22,79 ტ.
ციცხვის ტევადობა: 3,5 m^3
ტვირთამწეობა: 11 757 კგ.
მიწოდების ვადა: 1 დღე
გარანტია: 1 წელი, სამუშაო საათების შეუზღუდავად.

მიწოდების ვადა 1 დღე

JCB
TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT
JCB-ს ოფიციალური დილერი საქართველოში

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. E-mail: jcb@tegetamotors.ge
☎ 244-744, 895 300-711, 244-744 (1219) www.tegetamotors.ge

რევიუ

"ვრომეთი" წყალქვეშ და გამომძიებლის ვირისპირ

თბილისის საერთაშორისო კინოსფერტივალის მეორე დღე

ია ვეკუა

ის რომ, წელს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი მეტ-ნაკლები დაგვიანებითა და შემცირებული ფორმატით ტარდება, მხოლოდ და მხოლოდ ქართულ-რუსული კონფლიქტის ბრალია. აგვისტოს მოვლენებმა ფესტივალის ბიუჯეტის განახევრება გამოიწვია და იყო მომენტიც, როდესაც მისი ჩატარება სულაც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. მიუხედავად ამისა, ფესტივალი მაინც გაიხსნა და მის საკონკურსო პროგრამაში ორი რუსული, თუმცა ეთნიკურად არარუსი რეჟისორების მიერ გადაღებული ფილმი მოხვდა. ერთ-ერთი მათგანი - "ქალთევზა" უკვე ნახა მაყურებელმა, "შულტესისთვის" კი დარბაზი 13 დეკემბერს განთავისუფლდება.

კადრი ფილმიდან "ქალთევზა".

ვისაც არ აწუხებს ზედმეტად სნობური დამოკიდებულება იმის მიმართ, რომ ფილმი აუცილებლად დიდ ეკრანზე უნდა ნახოს და ინტერნეტიდან გადმოქაჩული ფილმების ყურებითაც კმაყოფილდება, ალბათ ანა მელიქიანის "ქალთევზა" ნანახი ექნება. გარდა იმისა, რომ ფილმს 2007 წლის რუსულ კინოსაოცრებად აფასებენ, მას საკმაოდ შთამბეჭდავი აფიშაც აქვს - სწორედ ისეთი, მაყურებელეს მოელვარე საგნებზე დახარბებული კაჭკაჭივით რომ იზიდავს. მელიქიანის ფილმი სწორედ ასეთია - სანახაობა შინაარსის ხარჯზე.

"ქალთევზას" ანგარიშზე უკვე ირიცხება ხუთამდე საერთაშორისო და რუსული კინო პრიზი. მათ შორის კი ყველაზე მნიშვნელოვანი სანდენსის კინოფესტივალის პრიზია, რომელიც რეჟისორმა საკუთარი შრომის საფასურად (თუ დაფასების ნიშნად) მიიღო. ვერავინ იტყვის, რომ მას ეს პრიზი არ ეკუთვნოდა, რადგან ახალგაზრდა რეჟისორმა ფილმი პრაქტიკულად არაფრისგან შექმნა.

"ქალთევზას" მთავარი გმირი - ალისა უცნაური გოგონაა, მას მწვანე თმა აქვს და ზოლიანი მაისური აცვია, მეოცნებეა, სურვილების ასრულება შეუძლია და რაც მთავარია, ის შეყვარებულია. ქალთევზა ალისას ისტორია სწორედ იქიდან იწყება, საიდანაც ანდერსენის ზღაპარი - ზღვიდან, სადაც ერთადერთხელ შეხვედრილი ქალი და მამაკაცი თავიანთ პირმშოს მარილიან წყალში ჩასახავენ. ამიტომ რა გასაკვირია, რომ პრაქტიკულად "ზღვის ქაფიდან" შობილი ალისა ცოტა უცნაურიც იყოს, გონებასუსტი ბავშვების სკოლაში სწავლობდეს და სრულწლოვანებამდე ხმაც არ ამოიღოს.

შეიძლება ითქვას, რომ "ქალთევზაში" ყველა ის თანამედროვე კინოხერხია თავმოყრილი, რაც დღეს ერთნაირი დოზით აინტერესებს მაყურებელსაც და ავტორებსაც - სხარტი მონტაჟი, დინამიკური კამერა, ცვალებადი რაკურსები, ლამაზი კადრები და კიდევ უფრო ლამაზი სიზმრები. მხოლოდ ეს არის, რის შემოთავაზებასაც რეჟისორი ახერხებს, ფილმის დანარჩენი ნაწილი კი ნაკლოვანებებზე მოდის, რაც ძალიან ბანალური სიუჟეტისა და საშინლად გაწელილი ქრონომეტრაჟის "დამსახურებაა". გარდა ამისა, არა რუსი მაყურებლისთვისაც კი მოსაბეზრებელია ამ ერისთვის დამახასიათებელი სტერეოტიპების ასე დაუსრულებლად დემონსტრირება: რომ რუსი ქალები ზედმეტად მსუქნები არიან, რუსი გამყიდველი ყველაზე უჟმური გამყიდველია და რომ ყველა რუსი მამაკაცი აუცილებლად ლოთია.

თუმცა ნუ იფიქრებთ, რომ ფილმი მხოლოდ ესაა - პირიქით, "ქალთევზა" სასიამოვნოდ საცქერი და ხანდახან სასაცილო ფილმიცაა. მეტიც, ისეთი ფინალი აქვს, მთელ ფილმს რომ გადაწონის!

უნგრელი ატილა გიგორის "გამომძიებელი" სწორედ ისე იწყება, როგორც ანა მელიქიანის "ქალთევზა" მთავრდება - სიკვდილით: ახალგაზრდა ქალი ჩარჩოში მოყოლილი ფარდის გასასწორებლად ფანჯრის რაფაზე ადის, ფეხი უცდება და მეოთხე სართულიდან ვარდება; მთვრალი მამაკაცი ზოოპარკის ღობეზე ძვრება და მგლების გალიაში ხვდება; სპორტულ დარბაზში ახალგაზრდა ბიჭი შტანგით ვარჯიშობს, ერთხელაც შტანგას ვეღარ აწევს და სიმძიმე გულის ფიცარს გაუნგრევს; მას კი საკუთარი ძმა კლავს, რომელმაც ჯერ არ იცის, რომ ცალთვალა შუამავალმა ათასობით დოლარი სწორედ ამისთვის გადაუხადა. ასე ხდება ტიბორ მალკავი მკვლელი, თუმცა სიკვდილი ისედაც მისი თანამდევია - იგი პათანოტომია და ზემოთ ჩამოთვლილი ყველა გარდაცვლილი სწორედ მის მიერაა გაკვეთილ-გაკერილი.

ფილმი საკმაოდ საინტერესოა, თუმცა პირველი ნახევარი გაცილებით უკეთესია. სწორედ ამ ნაწილში ვეცნობით ემოციებისა და გრძნობებისგან სრულიად დაცლილ მამაკაცს, რომელსაც არც სიყვარული შეუძლია და არც იმის აღიარების რცხვენია, რომ იუმორის გრძნობა არ გააჩნია. სამწუხაროდ, რეჟისორი ვერ ახერხებს ამ საინტერესო პერსონაჟის ამავე ხაზით განვითარებას და როგორც კი ტიბორი იგებს, რომ საკუთარი ძმა მოკლა, მაშინვე ძალიან ჩვეულებრივ ადამიანად იქცევა. მეტიც, ძმის მკვლელობის გამოძიებასაც იწყებს, რის დროსაც ბანალური ცოლქმრული ღალატისა და ქონების მიტაცების მცდელობის მოწმენი ვხდებით. თუმცა რეჟისორი ფინალში მაინც ახერხებს ფილმის გადარჩენას, რასაც ისევ და ისევ ტიბორის ხარჯზე აკეთებს - ჩვენს თვალწინ ისევ ძველი ტიბორი ბრუნდება, რომელიც გვამებთან უფრო კარგად გრძნობს თავს, ვიდრე ცოცხალ ადამიანებთან.

დღეს მაყურებელი შემდეგ საკონკურსო ფილმებს ნახავს: პიერ შოელერის "ვერსალი", ოზჯან ალპერის "შემოდგომა" და გჟეგოჟ პაცეკის "ოთხშაბათი, ხუთშაბათის დილა".

აბსოლუტური სინათლის ძიებაში

ქართველები საერთაშორისო მუსიკალურ პროექტში გაერთიანდებიან

თამარ კიკნაველიძე

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გაიმართა შეხვედრა მუსიკოსთან, რომელიც ამერიკელია და საქართველოში ახლად დაარსებული კომპანიის - "11" მიერ არის მოწვეული.

კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, ისინი ბიზნესის გარდა, საქართველოში საინტერესო ავტორების ჩამოყვანაზეც იზრუნებენ, ამის მაგალითი კი კომპოზიტორი რიჩარდ განავეია.

ბატია ციბაძეველის ფოტო

რიჩარდ განავეი არის საერთაშორისო მუსიკალური ჯგუფის წარმომადგენელი და კომპანია "AOMUSIC"-ის დამაარსებელი. მისი დევიზია სხვადასხვა ქვეყნის ეთნოსის მუსიკალური გაერთიანება. როგორც შევიტყვეთ, სიტყვა – AO, ძველ პოლინეზიურ ენაზე, სინათლეს ნიშნავს, უფრო ზუსტად კი, ის აბსოლუტური სინათლეა, რომელიც თავის თავში ყველაფერს მოიცავს.

"კომპანია "AOMUSIC" 1996 წლიდან არსებობს. ჩვენ ვქმნით მუსიკალურ კომპოზიციებს, რომელშიც სხვადასხვა კუთხის ფოლკლორია გაერთიანებული. უფრო კონკრეტულად კი, ჩვენი მუსიკა ძალიან რითმულია, ვიყენებთ "პირველყოფილი მუსიკის" ტონალობას, რომელიც ტრანსფორმირებას განიცდის და თანამედროვე ჟღერადობით გაჯერებულ კომპოზიციებად ყალიბდება. მათში არ არის სიტყვები, ის კონკრეტულ რითმს, მელოდიასა და რაც მთავარია, ბავშვთა ხმებს ეფუძნება. ამ კომპოზიციების მოსმენისას, უცებ ხვდები, რომ ბავშვები იმ ენაზე მღერიან, რომელიც სრულიად არ გესმის... ჩემი დიდი სურვილია საქართველო საერთაშორისო მუსიკალურ წრეში ჩაერთოს...", - აღნიშნავს რიჩარდ განავეი და გულისხმობს დიდ ღონისძიებას, რომელიც 2009 წელს აშშ-ში, კერძოდ, ლოს-ანჯელესში გაიმართება.

ამ პროექტში მონაწილეობისათვის, მუსიკოსმა მოისმინა ქართული ანსამბლები - "მართვე" და "რუსთავი", რომელთა შესრულებითაც აღფრთოვანდა და მათთან რეპეტიციებს გადის, რათა გუნდს საკუთარი სიმღერები შეასწავლოს. კომპოზიტორი, რომელიც, როგორც აღნიშნავენ, თანამშრომლობს მსოფლიოში ცნობილ მუსიკოს-შემსრულებელთან, აცხადებს, რომ ამ პროექტში მონაწილეობის შემთხვევაში, ქართველების ხმას სწორედ ის ადამიანები მოისმენენ, რომელთა დახმარებაც მათ ძალიან სჭირდებათ. ამ პროექტის ფარგლებში, მსგავსი შეხვედრები განხორციელებულია ჩინეთში, ინდონეზიაში, ინდოეთში და ა.შ.

შეკითხვაზე, რა კავშირშია მუსიკოსი და კინომსახიობთა თეატრი, პასუხი ქეთი დოლიძემ გაგვცა. ის აცხადებს, რომ საქართველოს ფოლკლორით აღფრთოვანებული რიჩარდ განავეი აუცილებლად ჩაერთვება მიხეილ თუმანისვილის სახელობის ხელოვნების ფესტივალში - "საჩუქარი", რომლის გამართვაც, რეჟისორის თქმით, მომავალ წელს იგეგმება.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲔᲑᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲖᲔ

ᲠᲘᲡᲘ ᲡᲣᲜᲘ ᲓᲒᲐᲡ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ?

ᲚᲐᲨᲐ ᲑᲣᲚᲐᲫᲔ

უკაცრავად და, რასაკვირველია, განავლის.

როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე დ. ტურაშვილი ბრძანებს, სამშობლო ტუალეტიდან იწყება და შეუძლებელია მას არ დავეთანხმოთ.

ანუ ქვეტექსტი ამ ფრაზისა ასეთია: როგორი ტუალეტებიც გვაქვს, ისეთია ქვეყანაც. ტუალეტები კი ან არ გვაქვს (!), ან საშინელი გვაქვს.

ტუალეტები რომ არ მოგვეპოვება, ამაზე წინა პარასკევსაც ვწერდი, როცა სადარბაზოების წაბილწვაზე მოგახსენებდით. დღეს კი მინდა, რომ უფრო ვრცლად შევეხო ამ თემას.

ქართველი ადამიანი ჯიუტად ფსამს არცთუ იმდენად ბნელ სადარბაზოებში და, ასე განსაჯეთ, ლიფტებშიც კი. და ეს, დამეთანხმებით, ქართულ ტრადიციათაგან ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავია. მოქალაქე შედის უცხო სადარბაზოში (თავისაში არა მგონია, იკადროს), პოულობს შედარებით ბნელ კუთხეს და საკაცობრიო ზიზღით ატანილი ცლის შარდის ბუშტს. დიახ, რასაკვირველია, მას ეზიზღება კაცობრიობა და ნუ მომთხოვთ განმარტებას ამ საკითხზე...

სხვათა შორის, დადასტურებულია, რომ ასეთი მოქალაქის გამოჭერა პრაქტიკულად შეუძლებელია. მათ ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ "უხილავი მფსმელები", ან "შარდის ბუშტის უჩინარი კავალერები"...

თუმცა სადარბაზოებში თეორიული შანსი მაინც გაქვს მათი გამოჭერის, რასაც ვერ ვიტყვით ლიფტებზე. "ლიფტში მფსმელი" ღილაკი STOP-ის მეშვეობით ჭედავს კაბინას და მშვიდად, აუღელვებლად ტერროზირებს იქაურობას.

ამ მხრივ, განსაკუთრებით გამორჩეულია ვაკის და საბურთალოს სადარბაზო-ლიფტები. აქ ყველაზე მეტად შეიგრძნობა სამშობლოს სუნი!

ზეზეული განავლის სუნი დგას გმირთა მოედანი-ზოოპარკის მიდამოებში, გმირთა მოედნის ქვეშ გაყვანილი მიწისქვეშადან კი ზოოპარკიდან ამომავალ სუნზე ბევრად უფრო მძაფრი პატრიოტული არომატი ამოდის. დროულად უნდა შეუყვე ვარაზის ხევის აღმართს, თორემ, შესაძლოა, ოსვენციმის გაზივით მოგტაფოს სამშობლოს სუნთა სიდიადემ.

დიდებულად არის აყროლებული ოპერის თეატრიც! რემონტის მოლოდინში მყოფი მუსიკალური ტაძარი ისეთი ღირსეული, ავთენტური, პრე-ისტორიული განავლის სუნით ყარს (განსაკუთრებით ტუალეტების მიდამოებში), რომ შეუძლებელია ცრემლი არ მოგგვაროს სამშობლოს ეგზომმა სიყვარულმა...

ვგონებ, საშინელი უსამართლობაა, რომ ოპერის თეატრის გარემონტება კვლავ შორეულ პერსპექტივად რჩება.

ბოდიშს ვიხდი, მაგრამ როდემდე უნდა ცეკვავდეს მძღნერის სუნში გენიალური ბალერინა?

ვინც პარლამენტის შენობაშია ნამყოფი, ის დამეთანხმება, რომ განავალის სუნს (რომელიც უსამართლოდ ერევათ ზოგიერთებს კატლეტის სუნში) და ბორშჩის სუნს იქ დიდი მეგობრობა გაუმართავთ. აი, სად ჰყვავის ჭეშმარიტი პატრიოტიზმი! აი, სად გამოიჭრიდა ყელს ზიუსკინდის ნესტომგრძნობიარე გმირი!

თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ბევრგან ეს სუნი დიდად აღარც შეიგრძნობა. რუსთაველის თეატრში, მაგალითად, რემონტმა სრულად გაინოვა განავალფსიტის სუნის ნარჩენები. ბულიონის თუ რაღაც ამდაგვარის სუნი კი დარჩა, მაგრამ ეს ხომ არა-აგრესიული პატრიოტიზმია...

პატრიოტულ-სახელმწიფოებრივი სუნ(ებ)ი დგას სამარშრუტო ტაქსებში, ავტობუსებში და უბრალო მანქანათა სალონებში.

დიახ, ეს დიდი სევდაა... დიდი სევდა და დიდი ტკივილია... სამშობლოსეული სევდა... მე კი აი, რა მაინტერესებს: ამგვარი აქოთებული პატრიოტიზმით ვაპირებთ ევროპისკენ სვლას? იქ თამბაქოს სუნიც კი აღარ დგას. განავალი კი უკვე აღარც ახსოვთ, რა ნივთიერებაა.

Ein Stuck vom Paradies, ᲐᲜᲣ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ "ᲑᲝᲛᲑᲘ"

ᲛᲖᲔᲮᲐ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ

გერმანია, ზაარბრუკენი
12 დეკემბერი, 2008 წელი
E-WERK დიდი საკონცერტო დარბაზი
Tietz-Strasse N14
გრანდ-შოუ
"Georgian – Ein Stuck vom Paradies" "საქართველო - სამოთხის ნაწილია"
დასაწყისი: 19: 30 საათი
ბილეთის ფასი: 25 ევრო

გრანდ-შოუზე დასასწრებად 1200 მოსაწვევი უკვე დარიგებულია. ზაარბრუკენში იციან, რომ ამ დღეს ლაშა ონიანი განსხვავებული კონცეფციით აგებულ პერფორმანსს აჩვენებს. ქართველი რეჟისორი ჩადის XII საუკუნის სიმბოლური აფორიზმით - "ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია" და ცდილობს თავისი თეატრალური ექსპერიმენტი, რომლის ქვეტექსტიც პოლიტიკურ მესიჯად შეიძლება მივიღოთ, არაპოლიტიკურ სივრცეში გაათამაშოს. საათნახევრიან ფოლკშოუს სიუჟეტი ქართულ ისტორიაზეა შექმნილი, რომლის ქარგაშიც სინთეზურად ერთიანდება მიმოდრამის თეატრი, ანსამბლი "რუსთავი", ჯგუფი "შინი", მერაბ სანოძე... ეს შოუ, ლაშა ონიანის რეჟისორული გააზრებით, ეთნომუსიკის ფონზე გაიშლება. სცენაზე სულ 50 ხელოვანი წარმოადგენს ქართულ ჩანახატს, რომელიც გააზრებულია მოგზაურობად დროის განზომილებაში, სადაც არ არსებობს ზღვარი, თუმცა არსებობს ფოლკექსპერიმენტი... და კიდევ, რეჟისორის თქმით, კონცეფციაში "უნდა იგრძნობოდეს ქართული ენერგია და ქართული სული, რადგან ეს არის ისეთი "ბომბი", რომელმაც სპექტაკლი უნდა "ააფეთქოს". ტრადიციულ ქორეოგრაფიას, რომელიც პოლიფონიასთან არის თანაზიარი, ანსამბლი "რუსთავი" იცეკვებს, არატრადიციული ფოლკმუსიკის ინსტრუმენტალურ დიალოგს "შინი" გამართავს. ეს არის მათი საავტორო მუსიკა, რომლის ჟღერადობა ფოლკლორისა და ჯაზის ტრადიციული ფორმების მიღმა ვრცელდება, აქ, არსებულ პოლიფონიაში, პოლირითმიკასა და იმპროვიზაციაში კომპოზიციის ფორმა და წყობა საოცარ ინტონაციასა და ჟღერადობას განიცდის. ზაზა მიმინოშვილის (გიტარა), ზურა გაგნიძის (ბასგიტარა, ვოკალი) და მამუკა ღაღანიძის (ვოკალი, პერკუსია) ახალი მუსიკა ეს არის ნოვაციური მუსიკის ძიება და მასში ნაპოვნი ახალი მუსიკალური მიმართულება - იბერო-კავკასიური სტილი. მიმოდრამის თეატრი პლასტიკაში გადაიტანს ქართულ ლეგენდებსა და ბიბლიურ თემებზე შექმნილ ერთ დიდ ისტორიას საქართველოს, როგორც სამოთხის შესახებ. ეს უსიტყვო პერფორმანსი ისევეა გააზრებული მიმოდრამისა თუ რეჟისურის კონცეფციაში, როგორც "ჰამლეტი", "კარმენი"... თუნდაც "ფაუსტი".

- უცხოელი მაყურებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ჩვენ მხოლოდ ფოლკლორით კი არ ვიწონებთ თავს, უახლეს ისტორიაშიც ვქმნით ღირებულ კულტურას, რომ ხელოვნება დღესაც ცოცხალია საქართველოში. ჩემი თანადგომა გამოიხატება იმაში, რომ მე შემიძლია ჩემი ქვეყნის შემოქმედება გავიტანო საზღვარგარეთ." - ამბობს რეჟისორი ლაშა ონიანი.

ამ გრანდ-შოუ, რომელიც GEORGIAN ENERGY-ს სერიულ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს, E-WERK დიდ საკონცერტო დარბაზში მხოლოდ ერთხელ აჩვენებენ, ამოტომაც გერმანელების მხრიდან ინტერესი დიდია. ინტერნეტ ფორუმებში წერენ, რომ "ლაშა ონიანს უკვე მსოფლიო იცნობს არა მარტო როგორც მიმოდრამის ოსტატს, არამედ როგორც გრანდიოზული შოუების ვირტუოზ რეჟისორს."

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

ᲔᲙᲐ ᲩᲘᲙᲕᲐᲘᲫᲔ

ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ წიგნის ლიტერატურულ კაფე Ligamus-ში ამიერიდან შედარებითი ლიტერატურის საღამოები გაიმართება. შეხვედრებზე, რომელიც ყოველი თვის მეორე და მეოთხე ოთხშაბათს მოეწყობა, საუბარი იქნება ლიტერატურაზე და არა მხოლოდ ლიტერატურაზე, ინტერდისციპლინარულ და ინტერკულტურულ კავშირებზე, რომელთა ხედვაც მეცნიერული განვითარების ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ და საიმედო გზას წარმოადგენს.

10 დეკემბერს გამართულ პირველ შედარებით ლიტერატურის საღამოზე, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა გიგი თევზაძემ თავის კოლეგებთან ერთად ისაუბრა. შეხვედრას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ფონდის ხელმძღვანელები, უნივერსიტეტის დეკანები, ლექტორები და ა.შ. შეხვედრების მთავარ მიზანს წარმოადგენს კომპარატისტული ანალიზის დამკვიდრება ქართულ ლიტერატურასა და კულტუროლოგიაში, რომელიც ასეთი დისკუსიების შედეგად შესაძლოა მომავალში უფრო ფართო სამეცნიერო პროექტებში გადაიზარდოს.

"ჩვენს ძირითად მიზანს სამეცნიერო ინტელექტუალური მიზანი წარმოადგენს, რაც ჩვენივე ინტელექტუალური მიზნების პროპორციულია. რაც უფრო მეტია ინტელექტუალური ამბიცია ქართულ საზოგადოებასა და სამეცნიერო წრეებში, მით უფრო მეტია მიზნები, რასაც ისინი აღწევენ. ამ მიზნების მიღწევა, სწორედ ასეთი დიალოგების მეშვეობითაა შესაძლებელი", - ამბობს პროექტის ხელმძღვანელი ბელა წიფურია.

წიგნის მაღაზია/კაფე Ligamus-ში გამართული სამეცნიერო შეხვედრების სახედ, ხელმძღვანელებმა კარლო კაჭარავას ნახატი შეარჩიეს. კარლო კაჭარავა სწორედ ის ადამიანია, რომელიც ქართულ სინამდვილეში აერთიანებს რამდენიმე იდეას. ეს გახლავთ ინტერკულტურულობის იდეა, კულტურული გახსნილობისა და თანამედროვე ქართულ თუ მსოფლიო კულტურის პროცესში სინქრონიზაციის იდეა, სიტყვიერი და სახვითი ხელოვნების ერთიანობის იდეა. სწორედ ამ იდეათა სამსახურში იდგება სამეცნიერო შეხვედრების ციკლი.

მომავალ შედარებითი ლიტერატურის საღამოზე, შეხვედრის მომხსენებელი პროფესორი ზაზა აბზიანიძე იქნება, რომელიც ისაუბრებს თემაზე: "სიმბოლო ეთნოკულტურებსა და რეჟიმებში". შეხვედრა ღია ღონისძიებას წარმოადგენს, დისკუსიებში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ აცხადებს მრავალწლიან ტენდერს საზოგადოებრივი მაუწყებელის თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია: საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა (ასაკის შეუზღუდავად) ჯანმრთელობის დაზღვევა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე - სავარაუდოდ დასაზღვევია 750 პირი.

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. მომსახურების განევის სავალდებულო ვადაა: 2009 წლის იანვრიდან (ხელშეკრულებით განსაზღვრული თარიღიდან) - 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო კომისიის აპარატში სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2008 წლის 31 დეკემბრის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მესამე სართული, ოთახი N341, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის'' შესყიდვების განყოფილება. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, რეკვიზიტები:
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში,
ანგ. N200122900, სახელმწიფო ხაზინა,
კოდი N220101222,
სახაზინო კოდი N302003000;

გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელის თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვის ტენდერი, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (2585). (გადახდის დანიშნულება მითითებული უნდა იყოს სრულად).

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2008 წლის 31 დეკემბრის 13:00 საათიდან 14:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მესამე სართული, ოთახი N341, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შესყიდვების ჯგუფი.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

6.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ე) ლიცენზია სადაზღვევო საქმიანობის შესახებ.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნათია ზამთარაძე, ტელ: (995-32) 40-91-45, ან მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მესამე სართული, ოთახი N341, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის'' შესყიდვების ჯგუფი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს ჯანმრთელობისა და ქონების დაზღვევის მომსახურების შესასყიდად და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში

შესყიდვის ობიექტი – ჯანმრთელობისა და ქონების დაზღვევა

ლოტი	დასახელება	მისამართები	დაზღვევის პერიოდი
I	ქონების დაზღვევა	თბილისი, შავთლის ქ.№3	1.02.2009 - 31.12.2009
		თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2	
		დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი	
		თბილისი, თემქის დასახლება 11 მ/რ, კვ.1,	
		ყაზბეგი, დაბა სტეფანწმინდა	
		თბილისი, წერეთლის გამზ. №1	
		თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №6	
		დედოფლის წყარო, რუსთაველის ქ.№12/3	
		ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №125	
		თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ.№32	
		თბილისი, ჩოლოყაშვილის №3/5	
		დაბა გრიგოლეთი	
II	ჯანმრთელობის დაზღვევა	არანაკლებ 345 თანამშრომელი	ხელშეკრულების გაფორმებიდან - 31.12.2009
III	სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა	ავტო მანქანა ტოიოტა "FORTUNER"	ხელშეკრულების გაფორმებიდან - 31.12.2009
		ავტო მანქანა ტოიოტა R4	
		კატარღა	
		ავტო მანქანა TOIOTA IPSUM	
		ავტო მანქანა ოპელ-ომეგა 0,2	
		მიკრო ავტობუსი ფორდტრანზიტი	
		ავტომანქანა ტოიოტა 4-რანნერ	
		ავტომანქანა ტოიოტა HIILUX	
		მიკრო ავტობუსი მიცუბისი დელიკა	
		ავტომანქანა მიცუბის პაჯერო	
IV	პორტატული კომპიუტერების დაზღვევა	125 ცალი	ხელშეკრულების გაფორმებიდან - 31.12.2009

- **შენიშვნა:** თანამშრომელთა რაოდენობა შესაძლებელია გაიზარდოს. დაზუსტებული ინფორმაცია მოცემული იქნება ხელშეკრულების გაფორმების დროს.
- **აუცილებელი პირობა:**
  - ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტის სადაზღვევო პრემია არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.
  - ასაკობრივი ზღვარი (ულიმიტო)
- **დაფინანსების წყარო** – ეკონომოკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები

- სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა გამოქვეყნების დღიდან და ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითარის წარმოდგენის შემდეგ **2008 წლის 30 დეკემბერს 17:00 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მის: ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №5. მე-2 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი: 204861970;

მიმღები ბანკი - ს/ს ,,ბაზისბანკი"

ბანკის კოდი - 220101956

ანგარიშსწორების ანგარიში - №134585

აგრეთვე საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში უნდა იყოს მითითებული: სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტენდერი №28.

- დაინტერესებულმა პირებმა **ქართულ ენაზე** შედგენილი განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები დახურულ კონვერტში სამ ეგზემპლიარად (ერთი – დედანი, ორი - ასლი) უნდა წარმოადგინონ **2008 წლის 31 დეკემბერს 13:00 საათამდე.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე: **2008 წლის 31 დეკემბერს 13:00 საათზე.** (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).
- დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის (გაკოტრება რეაბილიტაციის საქმე);

დ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ე) ორგანიზაციის მოგების და ქონების წლიური დეკლარაციები (ბოლო 2 წლის).

ფიზიკური პირისათვის:

ა) საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციები (ბოლო 2 წლის);

როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

- ყველა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) ხელმოწერილი ან ბეჭდით დამოწმებული სატენდერო წინადადება, (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში) რომელიც უნდა მოიცავდეს ლოტის ღირებულებას, სატენდერო წინანდების მოქმედების ვადასა და გადახდის სასურველ პირობებს.

ბ) სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ქართულ ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლიბით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

- სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ **30 დღე.** აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.
- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის №3/5, მე-2 სართული, საკონტაქტო პირები ოთახი №231 მაია ბუზალაძე (ტელ 877 46 77 33) და ოთახი №245 გიორგი მამუჩაშვილი (ტელ 877 55 33 10)

„ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“

ფონდი-ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს
სიღარიბის დაძლევა განვითარების გზით

MILLENNIUM CHALLENGE CORPORATION
UNITED STATES OF AMERICA

სატენდერო მოწვევა

შესყიდვის საიდენტიფიკაციო № CB- SJRRP/CW/05

საქართველოს მთავრობამ („მთავრობა“) და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც მოქმედებს „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ („კორპორაცია“) სახით, 2005 წლის 12 სექტემბერს გააფორმეს ხელშეკრულება „ათასწლეულის გამოწვევის ანგარიშის“ შესახებ („კომპაქტი“). კომპაქტში განსაზღვრულია პირობები, რომელთა საფუძველზე კორპორაცია მთავრობას გამოუყოფს 295,3 მილიონ აშშ დოლარამდე დაფინანსებას „ათასწლეულის გამოწვევის ანგარიშის“ პროგრამისათვის. პროგრამა ითვალისწინებს ეკონომიკური განვითარების გზით საქართველოში სიღარიბის დაძლევას.. 2008 წლის 20 ნოემბერს ხელი მოეწერა კომპაქტის შესწორებას დამატებითი 100 მილიონი აშშ დოლარის დახმარების გამოყოფის თაობაზე. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებლია საქართველოს მთავრობას, რომელიც მოქმედებს „ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ („ემ-სი-ჯი“) სახით. მთავრობას განზრახული აქვს კორპორაციის დაფინანსების (როგორც ეს განმარტებულია კომპაქტში) ნაწილის გამოყენება სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტისათვის, მათ შორის № SJRRP/CW/05 ტენდერის საფუძველზე შესასრულებელი სამუშაოების წარმოებისათვის. აღნიშნული ტენდერი შემდეგ ორ ლოტს მოიცავს:

1) ლოტი № 5.01: გზის მონაკვეთის - სულდა-კარწახი-თურქეთის საზღვარი – რეაბილიტაცია (საერთო სიგრძე 16 კმ);

2) ლოტი № 5.02: გზის მონაკვეთის – ხერთვისი-ვარძია – რეაბილიტაცია (საერთო სიგრძე 11 კმ).

გიწვევთ დალუქული სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად ზემოხსენებული ტენდერის საფუძველზე კონტრაქტის (კონტრაქტების) გაფორმების და განხორციელების მიზნით.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ რეგისიტრირებულ პრეტენდენტებს. ტენდერის მონაწილეებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ ინტერნეტგვერდზე www.mcg.ge განთავსებული **სარეგისტრაციო ფორმის** შევსების და „ემ-სი-ჯი“-ს ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე: g.tvalavadze@mcg.ge მისი PDF ფორმატში გაგზავნის საშუალებით. რეგისტრაცია დასრულებულად ჩაითვლება, როდესაც ტენდერის პოტენციური მონაწილე მიიღებს სარეგისტრაციო ნომერს „ემ-სი-ჯი“-საგან. სარეგისტრაციო ფორმის შევსებისას ტენდერის პოტენციურ მონაწილეებს შეუძლიათ მიუთითონ სარეგისტრაციო ფორმაში, თუ რა გზით სურთ სატენდერო დოკუმენტაციის და საინფორმაციო დოკუმენტაციის (ელექტრონული ფორმით კომპაქტ-დისკზე) მიღება: 1) „ემ-სი-ჯი“-ს ოფისში, თუ 2) კურიერული ფოსტის მეშვეობით. აღნიშნული კომპაქტ-დისკისა და კურიერული ფოსტის საშუალებით მიწოდების საფასურს „ემ-სი-ჯი“ გადაიხდის.

ტენდერის პოტენციურ მონაწილეებს ასევე ექნებათ სატენდერო და საინფორმაციო დოკუმენტაციის ბეჭდვითი ფორმით გაცნობის შესაძლებლობა „ემ-სი-ჯი“-ს ოფისში.

საინფორმაციო დოკუმენტაციაში შევა:

- გეოტექნიკური ანგარიში და ანგარიში მასალების შესახებ;
- პროექტის გზების გასწვრივ მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი მიწების ადგილმდებარეობა (ნახაზები);
- გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და გარემოსდაცვითი ნებართვის ძირითადი დებულებები;
- მიწის დროებითი მისაწვდომობის ადგილობრივი პროცედურები, ინფორმაცია კარიერების, ასფალტის ქარხნისა და ა.შ. შესახებ

დაურეგისტრირებელი ფირმების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იქნება განხილული მისი შეფასების მიზნით და გაუხსნელად დაუბრუნდება გამომგზავნს.

ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს საბანკო გარანტია სატენდერო დოკუმენტებში მითითებული ფორმითა და თანხით. სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს „ემ-სი-ჯი“-ს ოფისში არა უგვიანეს *2009 წლის 26 იანვრის* 18:00 საათისა. წინადადებები გაიხსნება მათი მიღების საბოლოო ვადის დადგომისთანავე პრეტენდენტთა წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ, დაესწრონ გახსნის ცერემონიას.

ინფორმაცია ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მიმდინარე წლის 30 სექტემბერს ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №6-ში მდებარე უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ სპორტკომპლექს „ქარიშხალასთვის“ სპორტული ინვენტარის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის I, II, III, IV, V, VI, IX, X, XVI, XVII, XVIII, XXI, XXII ლოტებში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „სოფთ-ტრონიკ საქართველო, VII, VIII, XI, XII, XIII, XIV და XV ლოტებში – შპს „ალიანს ჯგუფი ფიტნესი“, XIX, XXIII და XXIV ლოტებში – შპს „ტაო პლიუსი“ და XX ლოტში – შპს „სპორტ არენა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებით გაუქმდა გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით 2008 წლის 11 დეკემბერის აუქციონი.

განცხადება აუქციონის ჩატარების თაობაზე

სსიპ „საფინანსო სააგენტო“ 2008 წლის 24 დეკემბერს 12^{00} საათზე ატარებს საჯარო აუქციონს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ ქონებაზე. ქონებას წარმოადგენს სამშენებლო მასალები.

აუქციონი ჩატარდება შემდეგი ლოტების მიხედვით:

ლოტი №	ლოტის აღწერა	ზომის ერთ.	რაოდენობა	საწყისი ფასი	ბიჯი
1	პლასტმასის მილები, იზოლატორები	ცალი	15831	31657,45	650,00
2	ონკანები	ცალი	726	2499,12	50,00
3	საწვიმარი ღარები, ღარის დამჭერები	ცალი	2880	4692,80	100,00
4	მილების გადასაბმელები	ცალი	18325	6021,19	150,00
5	კანალიზაციის მილები, შემაერთებლები, გამყოფები	ცალი	3989	4450,26	100,00
6	წემო ცემენტი – ბეტეკი	ცალი	83	581,00	20,00

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ „საფინანსო სააგენტოს“ 2008 წლის 23 დეკემბრის 17^{00} საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი პ. იაშვილის №4 (მეოთხე სართული).

განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) ინფორმაციას მონაწილის შესახებ;

ბ) ლოტზე (ან ლოტებზე) მითითებას;

გ) საგარანტიო თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;

დ) პირადობის დამადასტურებელ საბუთს, სათანადო წესით დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან სხვა ფიზიკური პირის სახელით;

იურიდიულმა პირმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

საგარანტიო თანხა, რომლის სიდიდეც შეადგენს აუქციონზე გამოტანილი საქონლის საწყისი ღირებულების 10%-ს, მის მიერ განცხადებაში მითითებული ლოტების შესაბამისად, შეტანილი უნდა იყოს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საფინანსო სააგენტო“
ბანკი: სს „ბაზისბანკი“
კოდი: 220101956
ანგარიშის №7434110
დანიშნულება: საგარანტიო თანხა, № – ლოტზე.
ან
მიმღები: საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საფინანსო სააგენტო“

ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ მარჯანიშვილის ფილიალი
კოდი: 220101850
ანგარიშის №79936080100001
დანიშნულება: საგარანტიო თანხა, № – ლოტზე.

განცხადება შეიძლება შეტანილი იყოს ერთ ან რამდენიმე ლოტზე.

აუქციონი გაიმართება ქ. თბილისში, პ. იაშვილის ქ. №4, მეოთხე სართული.

სარეალიზაციო ქონება განთავსებულია ქ. ბათუმში, საბაჟო ტერმინალი შპს „ავაზა“. წინასარეალიზაციო ჩვენება-დათვალიერება გაიმართება მიმდინარე წლის 23 დეკემბრის ჩათვლით ქონების განთავსების ადგილზე საფინანსო სააგენტოსთან შეთანხმებით.

დამატებითი ინფორმაცია აუქციონზე სარეალიზაციო ქონების შესახებ და აუქციონის პირობების თაობაზე მსურველებს შეუძლიათ მიიღონ „საფინანსო სააგენტოში“.

საკონტაქტო პირები: გიორგი ჩხაიძე, კობა ლაცაბიძე.

ტელ: 98-93-75, 98-93-76

სპორტი

ფაჩულიამ დანკანთან ჭიდილში 6 ქულა იკმარა

NBA-ს რეგულარულ სეზონში ზედიზედ ორი ურთულესი გასვლითი მატჩის გამართვა მოუხდა ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსს". ჯორჯიელები ჯერ ჰიუსტონში, იაო მინთან და კომპანიასთან დამარცხდნენ, გუშინ გამთენისას კი სან ანტონიოს ეწვივნენ და, მართალია, "სპურსს" ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ მაინც წააგეს - 89:95.

ჯორჯიელებს ყველაზე მეტად გაუჭირდათ პირველ მეოთხედში, რომელიც ანგარიშით 17:25 დათმეს. ამის შემდეგ მოედანზე თანაბარი ბრძოლა იყო, თუმცა ატლანტელებმა პირველ მეოთხედში მეტოქისთვის მიცემული ჰანდიკაპი ვეღარ აღმოფხვრეს.

ზაზა ამჯერადაც სათადარიგოთა შორის იყო. მაიკ ვუდსონმა ქართველს მხოლოდ 19 წუთი მისცა სათამაშოდ. დროის ამ მონაკვეთში ფაჩულიამ თავის გუნდს 6 ქულა, 5 მოხსნა და 1 ჩაჭრა შეანია.

ზაზას მთავარი კონკურენტი ალ ჰარფორდი 38 წუთის განმავლობაში იყო მოედანზე, თუმცა ქართველს ბევრით ვერაფრით აჯობა. ჰარფორდის ანგარიშზე 8 ქულა და 7 მოხსნაა.

ატლანტელთა შორის საუკეთესო იყო ჯო ჯონსონი, რომელმაც მატჩი 29 ქულით, 2 მოხსნით და 6 შედეგიანი გადაცემით დაასრულა.

ფაჩულიამ და "ატლანტამ" ზედიზედ მეორე მარცხი იწვნიეს.

"სპურსის" რიგებში ორი კალათბურთელის გამორჩევა შეიძლება. ტიმ დანკანმა მორიგი ორმაგი დუბლით დაასრულა მატჩი (19 ქულა, 11 მოხსნა), თუმცა შეხვედრის მთავარი ვარსკვლავი იყო არა დანკანი, არამედ "სპურსის" არგენტინელი ლეგიონერი მანუ ჯინობილი, რომელმაც მატჩი სათადარიგოთა სკამზე დაიწყო, მაგრამ შეხვედრა 27 ქულით, 5 მოხსნით და 3 შედეგიანი გადაცემით დაასრულა.

ამ თამაშის შემდეგ "ატლანტა" 12 გამარჯვებით და 9 მარცხით სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში კვლავ მეორე ადგილზეა, ხოლო აღმოსავლეთ კონფერენციაში მეხუთე ადგილს ინარჩუნებს. მორიგ მატჩს "ატლანტა" "მაიამის" წინააღმდეგ შაბათს, გამთენიისას გამართავს.

ოთხშაბათს ფიბა ევროჩელენჯის გათამაშებაში მორიგი მატჩი გამართა ესპანურმა "კახასოლმაც". საქართველოს ნაკრების შავკანიანი მცველის ტაირონ ელისის გუნდი ლატვიურ "ვენცპილსს" ეწვია და 70:79 დამარცხდა. ელისმა მოედანზე 26 წუთი დაჰყო და ხუთი პერსონალურის გამო ვადაზე ადრე დატოვა თამაში. ტაირონის ანგარიშზე 7 ქულა, 1 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემაა. "კახასოლი" თავის ჯგუფში ერთი გამარჯვებით და ორი მარცხით მეორე ადგილზეა და ჯგუფიდან გასვლის შანსს ინარჩუნებს.

ნოზაძეებმა ახალი საჭიდაო კერა დააფუძნეს

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე რამაზ ნოზაძის ინიციატივით, თეთრიწყაროს რაიონის პატარა სოფელ საღრაშენში საჭიდაო დარბაზი გაიხსნა. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და უშუალოდ სპორტსმენების დახმარებით დარბაზი ინვენტარით აღიჭურვა და უკვე ათობით ბავშვმა დაიწყო ვარჯიში. მწვრთნელობა კი რამაზის მამამ, ვეტერანმა მოჭიდავემ ჯემალ ნოზაძემ იკისრა.

"საღრაშენში მიტოვებული კლუბი იყო. ახლა კი აქ ლამაზი სპორტული დარბაზია, - თქვა ჟურნალისტებთან საუბარში უფროსმა ნოზაძემ, - საქმე რამაზის თაოსნობით წამოვიწყეთ. დეპარტამენტიც დაგვეხმარა - ხალიჩები გვაჩუქა, სპორტსმენებმა კი ინვენტარი ჩამოგვიტანეს. ახლა კარგი სავარჯიშო პირობები გვაქვს. უკვე ორმოცამდე ბავშვი ეუფლება ჭიდაობას. ასაკი 6-16 წელია. საღრაშენელების გარდა, ბავშვები ფარცხისიდან, ტბისიდან, ენაგეთიდან, ასურეთიდან და ჯორჯიაშვილიდანაც დადიან. ზოგიერთს ყოველდღე გრძელი გზის გავლა უწევს, მაგრამ მათთვის ლეგენდარული ლევან თედიაშვილის მაგალითი მომყავს, რომელიც ფალავანთა კლუბში სავარჯიშოდ საგარეჯოდან დადიოდა. იმედია, დარბაზის გახსნის ინიციატორებს და მათ, ვინც მხარში დაგვიდგა, ბიჭები წლების შემდეგ დიდი გამარჯვებებით გადაუხდიან მადლობას".

ჯემალ ნოზაძემ თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა თეთრიწყაროს რაიონის გამგებელს გია მესტვირიშვილს და კულტურის განყოფილების გამგეს ვაჟა სულხანიშვილს.

მისი სიტყვებით, ბავშვებისთვის დამატებითი სტიმულია ეროვნული ნაკრების წევრთა სტუმრობა. რამაზ ნოზაძე და ბადრი ხასაია ახლად გახსნილ დარბაზს რამდენჯერმე ესტუმრნენ და ვარჯიშიც ჩაატარეს.

იანკოვიჩი დიდ სლემზე თავის დროს ელის

მსოფლიოს პირველ ჩოგნად იწოდება, მაგრამ დიდი სლემის ტურნირი ჯერ არ მოუგია. ამ სიცარიელის შევსებას ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე შეეცდება. საუბარია სერბ ელენა იანკოვიჩზე, რომელსაც ახალ სეზონში ბევრის გაკეთება განუზრახავს.

უცნაურია, მაგრამ ქალთა ჩოგბურთის ლიდერს დღემდე არ მოუგია ავსტრალიის, საფრანგეთის, ინგლისისა თუ აშშ-ის ღია პირველობები. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც რეიტინგით პირველ ნომერ ქალ ჩოგბურთელს დიდი სლემი არა აქვს მოგებული.

"ვარჯიშებზე თავს არ ვზოგავ. ვცდილობ ავსტრალიის ღია ჩემპიონატს საუკეთესო ფორმაში შევხვდე. ამ ტურნირის მოგება ოცნებად მაქვს, - ამბობს 23 წლის იანკოვიჩი, – ორი კვირით ჰავაიზე ვისვენებდი, ნოემბრის ბოლოს კი ვარჯიში განვაახლე. ჯერ მექსიკაში ვვარჯიშობდი, სადაც ფიზიკურ მომზადებაზე ვაკეთებდი აქცენტს: რბენა, ვარჯიშები გამძლეობაზე, სატრენაჟორო დარბაზი... ახლა ფლორიდაში ვაგრძელებ მზადებას - ფიზიკაზეც ვამახვილებ ყურადღებას და სათამაშო კომპონენტების გაუმჯობესებაზეც ვმუშაობ... მართალია, ჩოგბურთი ჩემი ცხოვრების მთავარი საქმიანობაა, მაგრამ კარგად ვიცი, რომ ცხოვრება სხვა რაღაცებისგანაც შედგება. ვცდილობ არ "ჩავიციკლო" შეჯიბრებებით, ბურთებით და ჩოგნებით, არამედ ვიცხოვრო და მოღიმარი სახით ვითამაშო. პერიოდულად ასპარეზობებისგან ყურადღების გადატანა კი მნიშვნელოვან მომენტებში წარმატებისთვის კონცენტრაციაში გიწყობს ხელს. მჯერა საკუთარი თავის. ჩემი დროც მოვა".

"ასკა" "დინამოში" დარჩება

მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრების მცველი მალხაზ ასათიანი კიევის "დინამოში" იჯარის წესით იმყოფება. ქართველი ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებები მოსკოვის "ლოკომოტივს" ეკუთვნის. საიჯარო ხელშეკრულების ვადა დეკემბერში იწურება. ამის შემდეგ, წესით, ასათიანი "ლოკომოტივში" უნდა დაბრუნდეს, თუმცა, რუსული მედიის ინფორმაციით, მალხაზ ასათიანი "დინამოში" გააგრძელებს კარიერას და ეს უკვე გადაწყვეტილია. "ლოკომოტივი" არ აპირებს ასათიანის დაბრუნებას და უკრაინულ გრანდს ქართველი ფეხბურთელის გამოსყიდვას შესთავაზებს.

კიდევ ერთი ქართველი ამერიკაში

საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრი მიშა ბერიშვილი, რომელიც ბოლოს საქართველოს სუპერლიგაში მოასპარეზე სსსსუ-ს რიგებში თამაშობდა, ამერიკაში გაემგზავრა, სადაც NBA-ს "დ" ლიგის ოკლაჰომას შტატის გუნდ "ტუსა 66"-ში იასპარეზებს.

მიმდინარე სეზონის 7 ნოემბერს გამართულ NBA-ს განვითარების ლიგის 10-რაუნდიან დრაფტში ბერიშვილი "ტუსა 66"-მა მეხუთე რაუნდში პირველ ნომრად აირჩია.

NBA-ს განვითარების ლიგამ 28 ნოემბერს აიღო სტარტი. ბერიშვილი ამ ჩემპიონატის დაწყებამდე უნდა ჩასულიყო ამერიკაში, მაგრამ აშშ-ის საელჩოს მიერ ვიზის დაგვიანების გამო ვერ მოახერხა.

ჯიქია და ქვაცაბაია ესპანურ ტურნირზე ბრძოლას განაგრძობენ

ესპანეთის ქალაქ ბენიკარლოში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირის საკვალიფიკაციო გათამაშების დაძლევის შემდეგ ანა ჯიქიამ ძირითად ბადეში პირველივე მატჩი წააგო, სოფო ქვაცაბაიამ კი გამარჯვება იზეიმა. ჯიქიამ კვალიფიკაციაში შვეიცარიელ პილერს და ესპანელებს ფერნანდეს გალვესსა და ფერერ-სუარესს აჯობა, მთავარ ტურნირში კი კიდევ ერთ მასპინძელ ტორო-ფლორთან 3:6, 4:6 დამარცხდა.

რაც შეეხება ქვაცაბაიას, მან ასპარეზობა დაიწყო ბულგარელ პავლოვას ძლევით - 6:4, 6:3. მერვედფინალში სოფოს პირისპირ მექსიკელი ერმოსო დადგება. წყვილთა ტურნირში ჯიქიამ და ავსტრიელმა რატმა ესპანელ მარტინეს-რომეროსა და რუმინელ სტომლეგას 7:5, 7:5 სძლიეს და მეოთხედფინალში მე-4 რეიტინგის მქონე რუმინელებს (მატეი-მიტუ) ეთამაშებიან.

მეოთხედფინალშივე მე-3 ნომრად განთესილი ქვაცაბაია და რუსი პარასიუკი მაკედონიელი იოსიფოვსკასა და რუსი პეტროვას ტანდემს დაუპირისპირდებიან. ბენიკარლოს საჩოგბურთო ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია.

ცვლილებები ერთად გადაწყვიტეს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივნის უჩა უგულავას განცხადებით, რეზო არველაძით მისი ჩანაცვლება ქართული ფეხბურთის მმართველი ორგანოს ხელმძღვანელობამ ერთობლივად გადაწყვიტა.

"ამ ნაბიჯის გადადგმა ჩვენი გუნდის გადაწყვეტილება იყო და ამ ეტაპზე ფეხბურთის ფედერაციისთვის ასე სჯობდა. თუმცა ეს ვინმესთვის პასუხისმგებლობის გადაბარებას არ ნიშნავს და, ადრინდელის მსგავსად, გადაწყვეტილებებს ერთმანეთთან კონსულტაციის შემდეგ მივიღებთ," - აღნიშნა ფეხბურთის ფედერაციის აწ უკვე მეორე ვიცე-პრეზიდენტმა, რომელსაც ეროვნული და სხვა ასაკობრივი ნაკრებების კურირება ევალება.

უგულავას თქმით, პეტარ სეგრტი კონტრაქტის მიხედვით ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორად რჩება, მაგრამ გარკვეულ თემებზე მასთან აუცილებლად გაიმართება საუბარი მომავალი წლის იანვარში, როდესაც ხორვატიიდან საქართველოში ჩამოვა. ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, იმის გამო, რომ 17 წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში გავიდა, გადაწყვეტილია: გუნდის მთავარი მწვრთნელი გელა შეყილაძე დაკავებულ თანამდებობას შეინარჩუნებს.

თანამდებობიდან გამომდინარე, უგულავას ეროვნულ და სხვა ასაკობრივ ნაკრებებში ტექნიკური მხარის უზრუნველყოფა დაევალება. მას მწვრთნელების საქმიანობასთან არავითარი კავშირი არ ექნება.

ხუანდე რამოსის წარმატებული ლიგური დებიუტი

რაულმა ხუანდე რამოსის დებიუტი გაალამაზა.

ოთხშაბათს დასრულდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი. თავად მატჩებს პრაქტიკულად არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია - სატურნირო თვალსაზრისით ყველაფერი მანამდე იყო გარკვეული. მხოლოდ "დინამო" - "ფენერბახჩესა" და "სტიაუა" - "ფიორენტინას" მატჩებს ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან ამ შეხვედრებში უნდა გარკვეულიყო, თუ ვინ გააგრძელებდა ასპარეზობას უეფას თასზე. ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფის მონაწილეთა ვინაობა კი მანამდეც ცნობილი იყო. მიუხედავად ამისა, თამაშები საინტერესო გამოდგა, განსაკუთრებიც კი ლიონში, "სტად ჟურნალზე" გამართული შეხვედრა, რომელიც მეტისმეტად დრამატული აღმოჩნდა. უმოტივაციოდ დარჩენილმა გრანდებმა ნამდვილი საფეხბურთო სპექტაკლი გვაჩუქეს. აგრეთვე დიდ ინტერესს იწვევდა ხუანდე რამოსის სადებიუტო მატჩი "რეალის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. "ტოტენჰემის" მიერ დაწუნებულმა ენსპანელმა სპეციალისტმა "სამეფო კლუბში" პირველი გამარჯვება იზეიმა, რაულმა კი მორიგი ორი გოლი შეაგდო. ახლა ევროთასებზე მის ანგარიშზე უკვე 66 გოლია, რაც რეკორდული მაჩვენებელი გახლავთ.

სერ ალექს ფერგიუსონი ("მანჩესტერის" მთავარი მწვრთნელი): "გოლის გატანის არაერთი შანსი გვქონდა და მათი ნახევარიც რომ გამოგვეყენებინა, დიდი ანგარიშით გავიმარჯვებდით. დღეს ბევრი ახალგაზრდა ვათამაშე. მათ სწორედ ასეთ შეხვედრებში უნდა შეიძინონ გამოცდილება. სასიამონოა, რომ, მატჩის ფრედ დასრულების მიუხედავად, ჯგუფში პირველ ადგილზე გავედით, რაც პლეი-ოფში მეტოქესთან მცირე უპირატესობას მოგვცემს, რადგან განმეორებით მატჩს "ოლდ ტრაფორდზე" ვითამაშებთ".

ალან კუნი ("ოლბორგის" მთავარი მწვრთნელი): "ოლდ ტრაფორდზე" შეხვედრა ფრედ დავასრულეთ, რაც ძალიან მეამაყება. ეს მშვენიერი საღამო იყო "ოლბორგის" ყველა ფეხბურთელისთვის და ჩვენი გუნდის ქომაგთათვის. ვფიქრობ, ჩემპიონთა ლიგას ბრწყინვალედ დავემშვიდობეთ და დამსახურებულად გავაგრძელებთ ასპარეზობას უეფას თასზე".

გორდონ სტრაჩანი ("სელტიკის" მთავარი მწვრთნელი): "დღეს საღამოს ბრწყინვალედ ვითამაშეთ და გული მწყდება, რომ ამით ჩვენი ევროპული ეპოპეა დასრულდა. ვინც ჩვენს თამაშებს ადევნებდა თვალყურს, დამეთანხმება, რომ გაცილებით მეტს ვიმსახურებდით, ვიდრე ჯგუფში მეოთხე ადგილია. 6 წუთი დაგვაკლდა და "მანჩესტერს" დავამარცხებდით. "ოლბორგისთვის", წესით, ორივე თამაში უნდა მოგვეგო. უაზროდ დავკარგეთ ქულები".

მანუელ პელეგრინი ("ვილარეალის" მთავარი მწვრთნელი): "პირველ ტაიმში, სანამ გოლს გავუშვებდით, კარგად ვთამაშობდით. ფეხბურთელის გაძევებას კომენტარს ვერ გავუკეთებ - ეგ მომენტი არ დამინახავს. თუმცა სწორედ მსაჯის ამ გადაწყვეტილებამ შეცვალა თამაში".

ჩეზარე პრანდელი ("ფიორენტინას" მთავარი მწვრთნელი): "გვინდოდა უეფას თასზე მოვხვედრილიყავით და ამისთვის ყველაფერი გავაკეთეთ. ჩემმა ფეხბურთელებმა კარგად ითამაშეს, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. ჩემპიონთა ლიგაშიც შეგვეძლო მეტის მიღწევა, მაგრამ გამოცდილება არ გვეყო".

დორინელ მუნტიანუ ("სტიაუას" მთავარი მწვრთნელი): "ფიორენტინამ" კარგი ფეხბურთი აჩვენა და დამსახურებულად გაიმარჯვა. მიმაჩნია, რომ იტალიურ კლუბს ბევრის მიღწევა შეუძლია უეფას თასზე".

იურგენ კლინსმანი ("ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი): "დღევანდელი გამარჯვებით და ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებით უსაზღვროდ კმაყოფილი ვარ. სწორედ ეს გვინდოდა მატჩის დაწყების წინ. პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მეორეში კი გაგვიჭირდა. ბრწყინვალე იყო მიხაელ რენსინგი. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მეორე ტაიმში "ლიონმა" ანგარიში ვერ გაათანაბრა. ვინ იქნება ჩვენი შემდეგი მეტოქე? ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. თუ ჩვენს ფეხბურთს ვითამაშებთ, ნებისმიერის დამარცხებას შევძლებთ".

კლოდ პეული ("ლიონის" მთავარი მწვრთნელი): "უცნაური თამაში გამოდგა. შეიძლება ითქვას, რომ არ გაგვიმართლა. ჩვენ 21-ჯერ დავარტყით მეტოქის კარში და მხოლოდ ორი გავიტანეთ, "ბაიერნმა" კი მხოლოდ შვიდჯერ დაარტყა ჩვენი კარისკენ და სამი გაგვიტანა. ასეთია ამ თამაშის სტატისტიკა. კარგი იქნებოდა ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება, მაგრამ ახლა ამაზე საუბარს აზრი არა აქვს".

ჟოსუალდო ფერეირა ("პორტუს" მთავარი მწვრთნელი): "ჩემმა ფეხბურთელებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც თამაშის წინ დავავალე. გამარჯვებას ვიმსახურებდით და გავიმარჯვეთ კიდეც."

არსენ ვენგერი ("არსენალის" მთავარი მწვრთნელი): "განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. დღეს მეტოქემ ჩვენზე უკეთ ითამაშა და მოგვიგო. ცუდია, რომ ჯგუფში მეორე ადგილზე გავედით, მაგრამ პირადად მე წილისყრისას ამას არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებ".

იური სიომინი ("დინამოს" მთავარი მწვრთნელი): "ეს იყო ძალიან რთული მატჩი, რადგან ფსონზე უეფას თასის საგზური იდო. ჩვენთვის ფრეც მისაღები იქნებოდა, ამიტომ დაცვას მეტი ყურადღება დავუთმეთ. კონტრშეტევები კი სახიფათო გამოგვივიდა და გოლიც გავიტანეთ. ახლა დავისვენებთ და მომავალი წლისთვის მოვემზადებით".

ლუის არაგონესი ("ფენერბახჩეს" მთავარი მწვრთნელი): "სამწუხაროდ, საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ და მთლიანობაშიც ვერ შევძელით თამაშის სადავეების ხელში აღება. მატჩი მეტოქის კარნახით მიდიოდა. ამ ვითარებაში რა გასაკვირია, რომ სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ. ფეხბურთში შენ წარმატებული ხარ მოედანზე და არა გაზეთის ფურცლებზე. თუ მოედანზე შედეგს ვერ აღწევ, ესე იგი, რაღაცაშია საქმე. გამოცდილი მწვრთნელი ვარ და ვხვდები, რომ ამ წარუმატებლობის მიზეზი მე ვარ, თუმცა მხოლოდ ხუთი თვეა, რაც "ფენერბახჩეში" ვმუშაობ. ეს დრო გუნდის ბოლომდე ჩამოყალიბებისთვის არასაკმარისია".

ვიქტორ გონჩარენკო ("ბატეს" მთავარი მწვრთნელი): "კმაყოფილი ვარ. ჩემმა ფეხბურთელებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ. ბოლოს და ბოლოს, "იუვენტუსთან" გამართული ორი მატჩიდან არც ერთი არ წავაგეთ. ვფიქრობ, ისეთი მოკრძალებული კლუბისთვის, როგორიც "ბატეა", ეს საამაყო უნდა იყოს."

კლაუდიო რანიერი ("იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი): "ჩვენი მიზანი იყო ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება და ეს მიზანი მიღწეულია. შაბათს "მილანთან" გვაქვს მატჩი და, ცხადია, ახლა ბოლომდე დახარჯვა უაზრობა იქნებოდა".

ხუანდე რამოსი ("რეალის" მთავარი მწვრთნელი): "ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დამაჯერებელი და ლამაზი გამარჯვება მოვიპოვეთ. მართალია, ამ თამაშს პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონია, მაგრამ გუნდმა დაამტკიცა საკუთარი სიძლიერე. დღეს მხოლოდ ამ მატჩზე ვფიქრობდი და სხვა არაფერზე. დიახ, არსებობს რაღაც პრობლემები, რომლებიც დავინახე და, ცხადია, მათ გამოსწორებას შევეცდები".

დიკ ადვოკაატი ("ზენიტის" მთავარი მწვრთნელი): "ასეთი მატჩის შემდეგ მეტოქეს მადლობა უნდა გადაუხადო და სახლში წახვიდე. ჩვენ ურთულეს ჯგუფში მოვხვდით და მესამე ადგილი ურიგო შედეგი არ არის. არშავინი აშკარად არ იყო მზად. ვიცი, კლუბის დატოვებას აპირებს და ახლა მთელი მისი გონება ტრანსფერით არის დაკავებული".

"სიტი" ტორესში 50 მილიონს იხდის

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, "მანჩესტერ სიტის" მესვეურები მზად არიან "ლივერპულს" 50 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადონ ფერნანდო ტორესში. თუ ეს ტრანსფერი შედგა, ტორესი იქნება ფეხბურთელი, რომელიც ყველაზე ძვირად გაიყიდა მსოფლიოში. ჯერჯერობით რეკორდი ეკუთვნის ზინედინ ზიდანს, რომელიც "რეალმა" 46 მილიონ გირვანქა სტერლინგად იყიდა.

"სიტი" კიდევ ერთი ესპანელის ყიდვას აპირებს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ტორესის ტრანსფერი არ შედგა. ამ შემთხვევაში "ქალაქელები" "ვალენსიასთან" დაიწყებენ მოლაპარაკებას დავიდ ვილიას ტრანსფერის თაობაზე. "ღამურები" მზად არიან შეელიონ ვილიას იმ შემთხვევაში, თუ მის სანაცვლოდ რომელიმე კლუბი 60 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაიხდის.

მოჯიმ რონალდინიო დაიწუნა

ლუჩანო მოჯი 2006 წელს იტალიურ ფეხბურთში მომხდარი უდიდესი სკანდალის გამო ოფიციალურად კი ჩამოაშორეს ფეხბურთს, მაგრამ "იუვეს" ყოფილ შეფს ვერავინ აუკრძალავს "კალჩოს" ადევნოს თვალყური და შიგადაშიგ იტალიურ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებზე კომენტარიც გააკეთოს.

ამჯერად მოჯი "მილანს" გადასწვდა და ამ კლუბის მიერ რონალდინიოს შეძენა იტალიური ფეხბურთის ყველაზე ცუდ ტრანსფერად მონათლა.

"საქმე ის კი არ არის, რომ "მილანმა" რონალდინიოში დიდი ფული გადაიხადა. პრობლემა სუდ სხვაა. რონალდინიო დამძიმდა და ვერ ახერხებს თანაგუნდელებს ტემპში აჰყვეს. ამიტომ "როსონერის" ყველა შეტევას ამუხრუჭებს. ჩემი აზრით, რონალდინიოს შეძენა უდიდესი შეცდომა იყო. კლუბის მესვეურებს ერჩივნათ მის ნაცვლად მაღალი კლასის მცველი შეეძინათ", - აცხადებს მოჯი.

მოღალატე რონალდო

მოგეხსენებათ, რონალდომ "კორინთიანსთან" გააფორმა კონტრაქტი, რითაც "ფლამენგოს" ფანების გულისწყრომა დაიმსახურა. "ფენომენალური გამყიდველი" - ასეთი სათაურით გამოვიდა ერთ-ერთი ბრაზილიური გაზეთი.

რონალდოს გადაწყვეტილება სან პაულოს გუნდში ეთამაშა, რიოში შეურაცხყოფად მიიღეს, მით უმეტეს, რომ ბოლო ოთხი თვის განმავლობაში რონალდო სწორედ "ფლამენგოში" ვარჯიშობდა.

ისე, ვინც რონალდოს კარიერას იცნობს, მისი ეს გადაწყვეტილება არ უნდა გაჰკვირვებოდა. თავის დროზე "ბარსელონას" ვარსკვლავმა შემდეგ "რეალში" ითამაშა. "ინტერში" თამაშის შემდეგ კი "მილანის" ფანების გულის მოგება სცადა.

თავად რონალდომ ამ სიტყვებით სცადა თავის მართლება: "ყველამ იცის, რომ მე "ფლამენგოს" ფანი ვარ, მაგრამ იმ ოთხი თვის განმავლობაში, როდესაც ამ გუნდში ვვარჯიშობდი, კლუბის ხელმძღვანელებს ჩემთვის კონტრაქტი არ შემოუთავაზებიათ. ერთადერთი გუნდი, რომელმაც ოფიციალრი შემოთავაზებით მომმართა, "კორინთიანსია" და სხვა რა გზა მქონდა".

ბულგარეთში ჩაწყობილ თამაშებს ებრძვიან

ბულგარეთის სამსაჯო კომიტეტის ყოფილი თავკაცი ბრონისლავ ოლექსანდროვი ჩაწყობილი თამაშების ორგანიზებაში დაადანაშაულეს.

საქმეს უკვე პროკურატურა იძიებს. სამართალდამცავების განცხადებით, ოლექსანდროვი მსაჯებზე ზეწოლას ახდენდა. გარიგებულ თამაშებში მონაწილეობის ბრალდებას წაუყენებენ არბიტრ ივან ლევკოვსაც, რომელიც სექტემბერში ქრთამის აღებისთვის დააპატიმრეს.

შუსტერმა კომპენსაცია მიიღო

როგორც იცით, ბერნდ შუსტერთან მადრიდის "რეალმა" კონტრაქტი ცალმხრივად გაწყვიტა, ასე რომ, "სამეფო კლუბს" გერმანელი სპეციალისტისთვის კომპენსაციის გადახდა მოუწევს.

ესპანური მედიის ინფორმაციით, საკომპენსაციო თანხამ 4.5 მილიონი ევრო შეადგინა.

"მილანს" პირლო უბრუნდება

ამ უქმეებზე იტალიის ჩემპიონატში უმნიშვნელოვანესი მატჩი გაიმართება. ერთმანეთის წინააღმდეგ წარდგებიან "მილანი" და "იუვენტუსი". იტალიური დერბის წინ "როსონერის" ანდრეა პირლო უბრუნდება. ნახევარმცველმა ტრავმა მოიშუშა და "ბებერი ქალბატონის" წინააღმდეგ ითამაშებს. პირლოსთან ერთად მწყობრში ჩადგნენ ამბროზინი და ემერსონიც. მილანელთა მთავარი დანაკლისი ჯენარო გატუზოა, რომელიც, როგორც მოსალოდნელია, მუხლის ჯვარედინი მყესების გაწყვეტის გამო სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

დე ლა ჰოია - პაკიაო ბესტსელერთა ათეულშია

ჯო კალზაგესთვის კრივი მომაკვდავია

გიგა გურასაშვილი



დაუმარცხებელი კალზაგე კრივის მომავალს ვერ ხედავს.

ფასიან ტრანსლაციათა ავანგარდში მყოფმა ამერიკულმა ტელეარხმა HBO-მ ქვეყანას ამცნო: ოსკარ დე ლა ჰოიასა და მენი პაკიაოს არასატიტულო ლასვეგასური ჩხუბი 1,25 მილიონმა ტელემაყურებელმა იხილაო. საუბარია შესყიდულ ფასიან ტრანსლაციათა რაოდენობაზე, რომლის საერთო მოგებამ, უფრო სწორად, ტრანსლაციის გაყიდვიდან მიღებულმა თანხამ 70 მილიონი დოლარი შეადგინა. სუფთა მოგება ამ თანხის დაახლოებით ნახევარი ყოფილა.

არასატიტულო ორთაბრძოლამ, ამასთან, არამძიმეწონოსანთა, გაყიდულ ტრანსლაციათა საუკეთესო ათეულში შეაბიჯა. მეტიც, ამერიკელისა და ფილიპინელის ჩხუბმა ათეულიდან ჩამოაქვეითა ლენოქს ლუისისა და ევანდერ ჰოლიფილდის პირველი დაპირისპირება (1,2 მილიონი).

სხვათა შორის, ეს მეოთხე შემთხვევაა, როდესაც არამძიმეწონოსანთა ჩხუბი ფასიან ტრანსლაციათა მილიონიან თამასას გადაევლო.

საგულისხმოა ისიც, რომ ოთხივე ორთაბრძოლაში მონაწილეობდა ოსკარ დე ლა ჰოია. ამერიკელმა ის ოთხივე ჩხუბი წააგო (ფელიკს ტრინიდადი, ბერნარდ ჰოპკინსი, ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი და ბოლოს მენი პაკიაო).

მთლიანობაში ყველაზე შემოსავლიან ორთაბრძოლათა ათეულში დე ლა ჰოიას სამი ადგილი უკავია. აქედან მეივეზერთან ჩხუბი ამავე ნუსხას უდგას სათავეში, ტრინიდადთან დაპირისპირებას მეშვიდე ადგილი უკავია, ხოლო პაკიაოსთან - მეათე.

ამასობაში მეორე საშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი ჯო კალზაგე (46 მოგება, აქედან 32 ნოკაუტით) აცხადებს, რომ სპორტის ის სახეობა, რომელსაც ცხოვრების უდიდესი ნაწილი დაუთმო, არცთუ კარგ დღეშია. ამასთან, ვითარების გაუმჯობესების პერსპექტივასაც ვერ ხედავს. 36 წლის დაუმარცხებელი ბრიტანელის თქმით, "კრივი მომაკვდავი სპორტის სახეობაა. მაგალითად, ამერიკაში არსებობს UFC (შერეულ ორთაბრძოლათა ერთგვარი ფედერაცია), რომელმაც კრივს ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილი წაართვა".

ბრიტანელმა "ასოშეიტედ პრესთან" საუბარში ისიც თქვა, რომ კრივს საკუთარი, შიდა პრობლემებიც თავზესაყრელად აქვს.

კრივში ბევრია პოლიტიკა, საჭიროზე მეტი - საჩემპიონო ქამრები და ტიტულების მფლობელები, რომლებიც საკუთარი არსებობით ჩრდილში აყენებენ ნამდვილ ჩემპიონებს, ისეთებს, როგორიც მე ვარო.

"ცუდია, რომ თითოეულ წონაში მსოფლიოს ოთხი ჩემპიონია. ეს სერიოზული პრობლემაა, რადგან აღარ არიან ნამდვილი ვარსკვლავები".

ჯო კალზაგეს ისიც შეუნიშნავს, რომ ამერიკაში, ქვეყანაში, რომელიც პროფესიულ კრივში მოწინავეა, სამოყვარულო სპორტისადმი ინტერესი დაცემულა.

"აშშ-ის ნაკრებმა პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ ერთი მედალი დაისაკუთრა. ამ მხრივ უკეთესი ვითარებაა ბრიტანეთში. მიხარია, რომ კარიერას ვამთავრებ, რადგან მიმაჩნია, რომ მომავალში ვითარება გაუარესდება".

ეკონომიკური კრიზისი ფორმულა 1-ს არ ემუქრება

ნიკი ლაუდას აზრით, რბოლა ჩვეულ სახეს დაიბრუნებს.

ლეგენდარულმა ავტომბროლელმა ნიკი ლაუდამ ავსტრიულ გამოცემა Kleine Zeitung-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ეკონომიკურ კრიზისსა და ფორმულა 1-ში შექმნილ ვითარებაზე ისაუბრა.

- ბატონო ლაუდა, დავიწყოთ შეკითხვით, რომელიც ბოლო ხანს ხშირად ჟღერს. გადარჩება თუ არა ფორმულა 1?

- აუცილებლად. ვითარება ფორმულა 1-ში გაცილებით სტაბილურია, ვიდრე ბევრს ჰგონია.

- მაშინ რატომ არის ასეთი პანიკური განწყობა?

- ამ კითხვას საკუთარ თავსაც ვუსვამ. ეკონომიკური კრიზისი სპორტსაც შეეხო, კერძოდ, ფორმულა 1-ს.

- რამდენად შეიძლება კრიზისმა იმოქმედოს ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატზე?

- გუნდები, რომლებსაც სტაბილური სპონსორული ხელშეკრულებები აქვთ, მაგალითად, "მაკლარენი", "ბმვ" და სხვები, კრიზისის გამო საერთოდ არ დაზარალდებიან.

- არსებობენ ნაკლებად უზრუნველყოფილი გუნდებიც. რა დაემართება იმ გუნდებს, რომლებიც სტაბილურად ბოლო ადგილებიდან იღებენ სტარტს?

- გუნდები, რომლებსაც სპონსორის პრობლემა აქვთ, ახალ პარტნიორებს ვერ იპოვიან. თუმცა ეს ახალი ამბავი არ არის. ყოველთვის ასე იყო.

- "ჰონდა" უდიდესი ავტოკონცერნია, თუმცა ფორმულა 1-ის პროექტი დახურა...

- თითოეული საჯინიბო თავად იღებს გადაწყვეტილებას. უბრალოდ, საქმე ის არის, რომ ბოლო დროს "ჰონდასთვის" ფორმულა 1 მხოლოდ მარკეტინგის თვალსაზრისით იყო მიმზიდველი. ამ გუნდის სპორტული მიღწევები არასახარბიელო გახლდათ. სპორტული შედეგების არარსებობის პირობებში კი ფორმულა 1-ში დარჩენა ალბათ შეუძლებელი იყო.

- ავტოდრომებზე, რომლებზეც გრან-პრი თამაშდება, გუნდები ხშირად იწონებენ თავს ფეშენებელური "მოტორჰოუმებით" (პილოტების საცხოვრებელი ავტორბოლის დროს). რა შეიცვლება იმ ვითარებაში, როდესაც მომჭირნეობა აუცილებელი გახდება?

- სწორედ ეს იყო ის საპნის ბუშტი, რომელიც ფორმულას თან ახლდა. ბოლო წლებში ყველაფერი საგიჟეთს ჰგავდა. კერძო თვითმფრინავები, ფეშენებელური იახტები, სასახლის მსგავსი მოტორჰოუმები. მე ადრეც მიმაჩნდა, რომ ეს ზედმეტია, ახლა კი საპნის ბუშტი გასკდა. გლამური წარსულს ჩაბარდება. ფორმულა კი ჩვეულ სახეს დაიბრუნებს.

"აიაქსს" კრკიჩის შეძენა სურს

სულ ცოტა ხნის წინ ამსტერდამის "აიაქსმა" "რეალში" კლას იან ჰუნტელაარი გაუშვა. ამ დანაკარგის ანაზღაურებას ამსტერდამული კლუბის მესვეურები "ბარსელონას" ახალგაზრდა ფორვარდის ბოიან კრკიჩის გადაბირებით ცდილობენ. ის, რომ კატალონიელები ბოიანს არ გაყიდიან, ყველასთვის ცხადია, თუმცა ისიც აშკარაა, რომ ამჟამად კრკიჩი "ბარსას" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და გარკვეული პერიოდის განმავლობაში შესაძლოა მისთვის სხვა კლუბში თამაში სასარგებლოც იყოს. "აიაქსს" სურს კრკიჩი სეზონის ბოლომდე იჯარის წესით აიყვანოს. შესაძლოა გარიგება ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ შედგეს.

შვაინშტაიგერი "ბაიერნში" რჩება

დასრულდა მითქმა-მოთქმა ბასტიან შვაინშტაიგერის შესაძლო ტრანსფერის თაობაზე. მის გადაბირებას ევროპული ფეხბურთის თითქმის ყველა გრანდი ცდილობდა, თუმცა ფრანც ბეკენბაუერმა თქვა, რომ ბაიერნი" შვაინშტაიგერს შეინარჩუნებს და ასეც მოხდა.

გერმანული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შვაინშტაიგერი "ბაიერნთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს და გერმანულ გრანდში 2012 წლამდე დარჩება. მოქმედი კონტრაქტის ვადა კი მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე იწურებოდა.

"იუვე" განახლებას აპირებს

ტურინის "იუვენტუსის" ხელმძღვანელობა ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მნიშვნელოვან ცვლილებებს გეგმავს.

"იანვარში, სავარაუდოდ, 11 ახალ ფეხბურთელს შევიძენთ. ჯერჯერობით მათ გვარებს ვერ გეტყვით, თუმცა თითოეულ მათგანს გუნდის ტაქტიკიდან გამომდინარე შევარჩევთ", - აღნიშნა "იუვენტუსის" მთავარმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ.

ტოტი ფინალზე ოცნებობს

იტალიური "რომას" კაპიტნის ფრანჩესკო ტოტის განცხადებით, მისი გუნდის მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლაა.

"ვფიქრობ, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა შეგვიძლია. ახლა სწორედ ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი. თანაც ამ ტურნირის ფინალური მატჩი რომში გაიმართება და ეს ჩვენთვის დამატებითი სტიმულია. ჩემი აზრით, ჩემპიონთა ლიგის მოგების ასეთი შანსი არასდროს აღარ გვექნება. ფინალში თუ გავალთ, რომში ნებისმიერ მეტოქეს დავამარცხებთ", - აცხადებს ტოტი.

მორატი დროგბასთან და რონალდუსთან მოლაპარაკებას უარყოფს

"ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ არ დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისი კლუბი მოლაპარაკებას მართავს ინგლისური პრემიერლიგის ორ ვარსკვლავთან - დიდიე დროგბასა და კრიშტიანუ რონალდუსთან. "ყველა ეს ინფორმაცია ჟურნალისტების გამოგონილია. ჩვენ ისედაც ბევრი კარგი მოთამაშე გვყავს და არ ვფიქრობთ დავიმატოთ ახლები, მით უმეტეს, ისეთი ძვირად ღირებულნი, როგორიც დროგბა და რონალდუ არიან", - მოჰყავს მორატის სიტყვები Channel 4-ს. შეგახსენებთ, რომ ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს, კლუბის მთავარი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს დაჟინებული მოთხოვნით, "ინტერის" წარმომადგენლები მოლაპარაკებას მართავდნენ დროგბასა და რონალდუსთან.

"რეალი" დენისს უმიზნებს

მადრიდის "რეალმა" შესაძენ ფეხბურთელთა სია კიდევ ერთით გაზარდა. ამჯერად "სამეფო კლუბის" სელექციონერთა ობიექტივში "ნაპოლის" არგენტინელი თავდამსხმელი ჰერმან დენისი მოჰყვა, -იტყობინება Marca. "ესპანური მხარე მართლაც დაგვიკავშირდა. მათ ძალიან უნდათ დენისის შეძენა, მაგრამ ჩვენ ვუპასუხეთ, რომ დენისი არ აპირებს "ნაპოლის" დატოვებას. მას იტალიაში ყველაფერი მოსწონს," - თქვა ფეხბურთელის აგენტმა ლეო როდრიგესმა. "რეალი" აქტიურად ცდილობს შეტევის ხაზის გაძლიერებას. დენისმა მიმდინარე სეზონში ნეაპოლელთა რიგებში ჩატარებულ 14 მატჩში 5 გოლი გაიტანა.

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ მიერ 2008 წლის 27 ნოემბრის გაზეთ „24 საათის“ №265-ში გამოქვეყნებულ განცხადებაში საპროექტო მიმართულების შესყიდვაზე, შეიტანს შემდეგი ცვლილებები:

მე-2 პუნქტი საბოლოოდ შემდეგი სახით:

ლოტი №	სამუშაოს მოკლე აღწერილობა	სამუშაოების შესრულების ვადა
1	შესყიდვის ობიექტი - თბილისი ა. ერისთავის სახელობის საუნივერსიტეტო ხეობაზე ფლიუერი ,,ლითონის ა) კორპუსის (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №126) აღდგენა-გაძლიერებითი და სარემონტო სამუშაოების პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადება.	1 თვე
2	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის I სასწავლო კორპუსის მარჯანი ფლიუერის გაძაგრებითი სამუშაოების პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადება.	1 თვე

მე-12 პუნქტი საბოლოოდ შემდეგი სახით:

12. პირველ ეტაპად დაკვეშირებით პირველად საუნივერსიტეტო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს შენობის ექსტერიერის აღწერილობა. ძირითად საუნივერსიტეტო წინადადებასთან ერთად ტენდერში მონაწილეს ეფლება აქვს წარმოადგინოს ორი ალტერნატიული წინადადება, პროექტის საკეთილო ხედვით.

საუნივერსიტეტო კომისია

ცვლილება სატენდერო განცხადებაში

შპს „ენგურჰესი“-ს მიერ D-5000 მმ ლითონის მილების მოწოდება-მონტაჟის სახელმწიფო შესყიდვაზე 2008 წლის 6 დეკემბრის გაზეთ 24 საათში“ გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. შესყიდვის ობიექტი

- D-500 მმ ლითონის მილების 750 გრძ/მეტრის მოწოდება - მონტაჟი.

სატენდერო კომისია

განცხადება

2008 წლის 16 ოქტომბრის გაზეთ 24 საათში“ შპს ენგურჰესი“-ს მიერ ტურბინისა და ტრანსფორმატორის ზეთების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ენერგია“ და მასთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

სატენდერო კომისია

10%-იანი ფასდაკლება 1 თებერვლამდე

HYUNDAI

I-30 და VERACRUZ-ზე

ბიზნესი

(24) საათი B

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ (995 32) 20-24-24
899 26-20-19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK · BORJOMI ბორჯომი · ჯი პი აი Georgian Petroleum Group · GRDC

თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

გამოაგზავნეთ შეკითხვები ელ-ფოსტით, მისამართზე ngotsadze@tbcbank.com.ge, ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 27 27 27 და ყოველ სამშაბათს, რუბრიკაში "თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები", მიიღეთ პასუხები "თიბისი ბანკის" ექსპერტებისგან.

ÀÌÄÒÉÊÄËÉ ÀÅÔÏÌßÀÒÌÏÄÁËÄÁÉÓ

B7

ÖÝáÏÖÒÉ ÅÀËÖÔÉÓ Ï×ÉÝÉÀËÖÒÉ ÊÖÒÓÉ ËÀÒÈÀÍ ÌÉÌÀÒÈÄÁÀÛÉ

1	. . . ^˘,	USD	1,6500
1	– , ^˘,	AUD	1,1339
1	˘˜ ` ª ˝ , ˝ "	AZN	2,0431
1	` , ^ Æ	AED	0,4492
1000	`˜ ,˘ , ˝ "	BYR	0,7757
1	` , ´ , , ˜–	BGL	1,0761
1	^ ˝ º ˘˝	DKK	0,2845
1	˜´– – ´ – ˝	EGP	0,2995
1	˜– ˘	EUR	2,1178
10	˜ ˘˝ º ˘˝	EEK	1,3540
1000	" ˜˝ , ˝ "		TMM
0,1161			
1	" , ,	TRY	1,0855
10	–˘˝ ˜˝	JPY	0,1666
1	˝´, ´ – ˝	GBP	2,5950
1	˝^ –	INR	0,0348
1000	˝ , ˜ ,	IRR	0,1646
10	, ˝^ º ˘˝		ISK
0,1274			
1	˜ , ˜ º ˜ ,		ILS
0,4354			
1	º ˝ ^ ^˘,	CAD	1,4077
1	, – ,	LVL	2,9891
10	, – ,	LTL	6,1064
10	˘, ^˘– , ˜	MDL	1,5920
1	˝˘ –˜˜´ , º ˘˝	NOK	0,2430
1	–˘, ˘˝ ˘, ˘	PLZ	0,5828
1	˝ , , ˜	RON	0,5654
1	, ` ,	RUB	0,0612
1	˝´ – , ^˘,	SGD	1,1079
100	˘ Æ ^	AMD	0,5420
1	ª º ˘ ˘˝	TJR	0,4851
1000	˘`˜º	UZS	1,2220
10	º ˝ , ´ – ˝		UAG
2,8456			
100	˝´ ˘ ˜˝	HUF	0,7933
1	–˜ " ^ ˝		KWD
6,1145			
10	˘ Æ ˜˝´˜	KZT	0,1376
10	´ ˘ , ˘	KGS	0,4235



ÓÀÁÀÑÏ ÔÄÒÌÉÍÀËÉÓ

ნინო ნატროშვილი

ფინანსთა სამინისტრომ საბაჟო სისტემის რეფორმირება ორი წლის წინ დაიწყო. საერთაშორისო დონორების დახმარებით საბაჟოზე ერთი ფანჯრის" პრინციპი 2008 წლის გაზაფხულიდან დაინერგა. ამ ტიპის პირველი სრულფასოვანი მოდელი ბათუმში და ფოთში გაკეთდა. ამ ორ ქალაქში განთავსებული საბაჟო ტერმინალებიდან მებაჟეები გაიყვანეს და მათი განთავსება ერთ ოფისში მოხდა.
ექსპერტები არსებულ რეფორმას დადებითად აფასებენ, რადგან ნებისმიერი იმპორტიორი, რომელსაც შემოაქვს საქონელი ზღვით, ხმელეთით და ჰაერით, ტვირთის სასურველ საბაჟო რეჟიმში მოქცევას ერთ ადგილას ახორციელებს.

გაგრძელება B3 გვერდზე

ÃÀÐÉÒÄÁÖËÉ 4,5 ÌËÒÃ. Ã Ï ËÀÒÉÓ ÃÀáÌÀÒÄÁÉÓ

მანანა ვარდიაშვილი

2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში გამართულ კონფერენციაზე დონორები საქართველოს 4,5 მლრდ. დოლარის ოდენობის თანხის გამოყოფას დაპირდნენ. საქართველოსთვის გამოყოფილი საერთაშორისო ფინანსური დახმარების აღნუსხვას და მონიტორინგს "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" ახორციელებს. ამ ანგარიშში ფინანსური დახმარების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საქართველოსთვის დაპირებული თანხის ოდენობა, გრანტებისა და სესხების ხვედრითი წილი, პრიორიტეტული სექტორები და დაპირებული და რეალურად გამოყოფილი თანხების თანაფარდობა შეფასდა.

ვგაგრძელება B4 გვერდზე

გრაფიკი №5: დონორთა დანაპირები (მარცხნივ) და დადასტურებული დახმარება (მარჯვნივ) სექტორების მიხედვით 2008 წელს (მლნ. აშშ დოლარი)



მიხეილ სააკაშვილი: მომდევნო ექვსი თვე საქართველოსთვის ეკონომიკური თვალსაზრისით რთული იქნება

სახელმწიფო კანცელარიაში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მომდევნო ექვსი თვე საქართველოსთვის ეკონომიკური თვალსაზრისით რთული იქნება, თუმცა შექმნილი ვითარებიდან გამოსვლა ცივილიზებულ ქვეყნებთან ერთად მოხერხდება.

მისი თქმით, საქართველომ რუსული ოკუპაციის პირობებში მოახერხა ენერგეტიკულ სფეროში მოსალოდნელი და ფინანსური სირთულეების დაძლევა, თუმცა ქვეყანაში სერიოზული პრობლემები მაინც არსებობს.

“ქვეყანამ მოახერხა ენერგეტიკული სექტორის უზრუნველყოფა. ზამთარი საქართველოს თბილი და განათებული ექნება. პრობლემების დაძლევა მოვახერხეთ საფინანსო სექტორშიც. ომის დროსაც კი არ შეჩერებულა პენსიებისა და ხელფასების გაცემა. არც შემდგომში მოველით სერიოზულ პრობლემებს. მსოფლიოში მძიმე კრიზისი მძვინვარებს, ამიტომ გარკვეული პრობლემები შეექმნა საქართველოს ზოგიერთ სფეროს. პრობლემები გვაქვს ბანკების საკრედიტო ხაზთან დაკავშირებით, სერიოზულ სირთულეებს ვაწყდებით სამშენებლო ბიზნესშიც. აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში საერთაშორისო საზოგადოების დახმარებები შეგვიწყობს ხელს. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ 2009 წელს საბანკო სისტემა სრულად გაიმართოს, ასევე ქმედით ზომებს მივიღებთ სამშენებლო ბიზნესში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად,” - განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, მსოფლიო კრიზისი შესაძლოა წელიწადზე მეტხანს გაგრძელდეს. “მსოფლიო კრიზისისგან თავის დაღწევას პირველი ამერიკა, შემდეგ კი ევროპა შეძლებს. საქართველო დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროსთან ერთად გამოვა კრიზისიდან,” - განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, ეკონომიკური კრიზისი კორუფციის გაღრმავებასაც უწყობს ხელს, ამიტომ მაქსიმალური ძალისხმევით, კონსოლიდირებულად უნდა ვიმუშაოთ, რათა საქართველოში კორუფციის ხელახალი აღმოცენება არ მოხდეს. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქვეყანაში რიგგარეშე არჩევნების ჩატარების წინააღმდეგია და აცხადებს, რომ ეკონომიკური კრიზისის ფონზე ფულადი სახსრები მოსახლეობის კეთილდღეობას და არა პოლიტიკოსთა გეგმებს უნდა ხმარდებოდეს.

როგორც სახელმწიფო კანცელარიაში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე პრეზიდენტმა განაცხადა, “არჩევნებზე ფული არა ხალხისთვის, არამედ პოლიტიკოსების წინასაარჩევნო კამპანიისთვის იხარჯება.” “არჩევნები ათიათასობით ლარის ფულის ხარჯვაა პოლიტიკოსთა საარჩევნო კამპანიებისთვის. მე მესმის, რომ პარლამენტს გარეთ დარჩენილ ზოგიერთ პოლიტიკოსს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრა სურს, მაგრამ არსებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში ფული ჩვენს ხალხსა და ქვეყნის გადარჩენას უნდა მოვახმაროთ და არა პოლიტიკოსების კამპანიას,” - განაცხადა სააკაშვილმა და აქვე დასძინა, რომ “საქართველოს ხელისუფლებას არჩევნების არასოდეს შეშინებია.”

“ქვეყანას სჭირდება ხელისუფლება, რომელიც მუდმივ კონტაქტშია ხალხთან, მათ შორის - ოპოზიციურად განწყობილ ყველა ძალასთან და ყველაზე მცირე ჯგუფებთანაც კი. თუ ახლა ქვეყანა არსებულ სიძნელეებს გაუძლებს, მაშინ საქართველო ძლიერი ქვეყანა იქნება,” - დასძინა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოში ფქვილის საბითუმო ფასი კლებულობს

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ფქვილის საბითუმო ფასების კლების ტენდენცია აღინიშნება. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარკეტინგული კვლევისა და სტრატეგიული განვითარების სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა გიორგი ქრისტიანიდიმ გვაცნობა, უკანასკნელი მონაცემებით, თბილისის ფქვილის საბითუმო ბაზარზე ერთი ტომარა ფქვილის ფასი 2-3 ლარით შემცირდა. მისი განცხადებით, ფქვილის ხარისხის მიხედვით საშუალო ფასი 36-42 ლარის ფარგლებში მერყეობს. ფასის ცვლილება მხოლოდ “მზეკაბანის” უმაღლესი ხარისხის ფქვილზე არ მომხდარა. ექსპერტთა შეფასებით, ფქვილზე ფასების კლება მომავალშიცაა მოსალოდნელი. **ჯი-ეიჩ-ენი**

ÂÀÃÀÓÉÍãÅÉÓ ßÉÍ

ევრომეზობლობის კონტექსტში

წლის ბოლოს ევროკავშირმა საქართველოსთან მიმართებაში ამოქმედებული GSP+-ის სისტემა უნდა გადასინჯოს. ან გაზარდოს მისი მოქმედების არე და სიღრმე, ან შეასუსტოს. ან გაზარდოს ევროპაში ბაჟისგან გასათავისუფლებული 7 200 დასახელების პროდუქციის ნუსხა და არასატარიფო ბარიერების მოშლაზეც დაიწყოს ფიქრი, ან უფრო გაამკაცროს საქართველოსთვის წაყენებული პირობები.

მარტო ეს გარემოებაც ღიად მიუთითებს, რომ საქართველომ საკუთარი სტრატეგია ევროპულ სამეზობლო პოლიტიკას უნდა დაუკავშიროს, რათა უკანასკნელისადმი თავისი კუთვნილება დაადასტუროს. ეს არის ქვეყნის საშუალოვადიანი გამოწვევა. მთავარია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში იმ პრიორიტეტების გამოკვეთა, რომლებიც ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ქვეყანამ უფრო ზუსტად უნდა განსაზღვროს თავისი ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. უფრო მეტად ისარგებლოს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ქვეყანათაშორისი ინსტრუმენტებით და პროგრამირებით და რეგიონული ინტეგრირების ფორმებით. მეტიც, ევროპასა და აზიას შორის სატრანსპორტო გზებისა და არხების სტრატეგიული ადგილმდებარეობით საქართველოს შეუძლია დიდი სარგებელი მიიღოს “ევროპული სამეზობლო პოლიტიკა +”-ის იდეისგან და ამ პოლიტიკის ეფექტი ცენტრალურ აზიაში გაავრცელოს. გარდა ამისა, ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ სექტორში საქართველომ უნდა შეიმუშაოს საკუთარი სტრატეგიული იდეები, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებისთვის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის გამოყენების საუკეთესო გზებს.

საქართველო უნდა განვიხილოთ, როგორც შემოსავალზე ორიენტირებული ეკონომიკა. ეს დაგვეხმარება გავიგოთ, რისი გაკეთებაა შესაძლებელი ქვეყანაში და რისი არა, აგრეთვე განვსაზღვროთ განვითარების ყველაზე ეფექტიანი სტრატეგიები.

რას ნიშნავს შემოსავალზე ორიენტირებული ეკონომიკა? მასში სახელმწიფო და კერძო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ავტონომიური წარმომავლობისაა და არ არის დაკავშირებული ისეთ საწარმოო აქტივობასთან, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა ან მომსახურება, ეკონომიკა ორიენტირებულია შემოსავლებზე, რათა ეს შემოსავლები ამავე ეკონომიკაში იქნეს გამოყენებული. ეს შემოსავლები ძირითადად მოხმარებაზე იხარჯება, საჯაროზე - სახელმწიფოს მიერ, კერძოზე - შინამეურნეობების მიერ. ეს არის განსხვავება ფისკალური სამოთხისგან, სადაც კაპიტალის უდიდესი ნაწილი ქვეყანაში არ იხარჯება.

შემოსავლებზე ორიენტირებული ეკონომიკის ყველაზე გავრცელებულ ტიპში შემოსავალი შემოდის ქვეყნის გარე წყაროებიდან; ეკონომიკა მცირე ზომისაა და ამდენად, ავტონომიური შემოსავლები უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს მაკროეკონომიკულ წონასწორობაში და ეკონომიკის ზრდაში.

ეს მოდელი განსხვავდება ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის რეალობისგან, სადაც შემოსავლებს ძირითადად ადგილობრივი არაფორმალური (ან, OECD-ის განსაზღვრით, არარეგისტრირებული) სექტორი წარმოშობს. ასევე განსხვავდება იგი ზოგიერთ დიდ ქვეყანაში, როგორიცაა ჩინეთი, ბრაზილია ან რუსეთი, ჩამოყალიბებული მოდელებისგან, სადაც ადგილობრივი ბაზრების მასშტაბები ქვეყანას მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. საგარეო ფინანსური სახსრების მნიშვნელოვანი წილი ასეთ შემთხვევაში ინვესტიციებზე მიდის და არა მოხმარებაზე. საქართველო, როგორც შემოსავალზე ორიენტირებული ეკონომიკა, შეიძლება შევადაროთ მოლდოვას, ყირგიზეთს, ალბანეთს, ხორვატიას და ბულგარეთს, და გარკვეულწილად, მაროკოსა და პორტუგალიას.

შემოსავლებზე ორიენტირებული ეკონომიკა შეიძლება შევადაროთ რენტის ეკონომიკას, რომელიც ცხოვრობს, მაგალითად, ნავთობისა და გაზის შემოსავლებით, როგორიც ყაზახეთი. ამ ორი ტიპის ეკონომიკას შორის არსებობს მსგავსება, ვინაიდან ორივე რესურსების განაწილების ეკონომიკაა და არა საქონლისა და მომსახურების წარმოების ეკონომიკა. გარდა ამისა, ორივე შეიძლება დაზარალდეს კაპიტალის მსხვილი ნაკადების შემოდინებისაგან, რომელიც რეალურ გაცვლით კურსს ამყარებს და კონკურენტუნარიანობას ამცირებს. თუმცა, არსებობს ორი მნიშვნელოვანი განსხვავება. რენტის ეკონომიკა არ არის ზედმეტ მოხმარებასა და დეფიციტზე ორიენტირებული, რადგან კაპიტალის შემოსული ნაკადები არ არის უბრალო გადმორიცხვები, მათ საქონლის მსხვილი ექსპორტი აბალანსებს. ეს შემოსავალზე ორიენტირებული ეკონომიკის სისუსტეს გვიჩვენებს, რომელსაც მონეტარული ჰოლანდიური დაავადება ემუქრება, თუმცა არც გაზი აქვს და არც ნავთობი, რომ მიმდინარე ანგარიში დააბალანსოს. მეორე მხრივ, რენტის ეკონომიკაში პროდუქციის ექსპორტით მიღებული შემოსავლები ძალზე კონცენტრირებულია და ძნელია მათი ხელახლა გამოყენება ეკონომიკაში, ხოლო შემოსავლებზე ორიენტირებულ ეკონომიკებში შემოსავლები უმეტესად შინამეურნეობებიდან მოდის. ამიტომ, ისინი ადვილად გამოიყენება ეკონომიკაში და ეკონომიკის ზრდას უწყობს ხელს მაშინ, როდესაც რენტის ეკონომიკა დაავადებულია ნამდვილი ჰოლანდიური სენით, რომელიც იწვევს ეკონომიკის დუალიზაციას და შეიძლება საბოლოოდ ეკონომიკის ზრდა შეაჩეროს კიდეც. ამასთან, საგარეო შემოსავლებით გენერირებულ ზრდას განსაკუთრებული ნიშნები ახასიათებს, რომლებიც საშუალო ან გრძელვადიან პერიოდში შეიძლება პრობლემად იქცეს.

რატომ არის საქართველო შემოსავლებზე ორიენტირებული ეკონომიკა?

შემოსავლებზე ორიენტირებული ეკონომიკის ზოგადი ნიშნების ანალიზი დაგვეხმარება, უკეთ შევაფასოთ ეს მდგომარეობა.

უპირველესად უნდა გამოიყოს ჭარბი მოხმარება: მოხმარება რაოდენობის და დინამიკის მიხედვით ნაწილობრივ მოწყვეტილია წარმოებას. მისი გაზომვა იმ ფაქტით შეიძლება, რომ კერძო და სახელმწიფო მოხმარებას მნიშვნელოვანი წილი უკავია მშპ-ში. საქართველოში ეს მაჩვენებელი 2006 წელს 90%-ზე მეტი იყო. დინამიკის თვალსაზრისით, ფაქტია, რომ მოხმარების ზრდა არ არის დაკავშირებული წარმოების ზრდასთან. 2003 წელს იგივე მაჩვენებელი 82,1%-ს შეადგენდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკას მართავს მოხმარება და არა წარმოება და მოხმარების წილი ძალიან მაღალია წარმოების პოტენციალთან შედარებით. გარდა ამისა, მოხმარების ამ გადიდებას აჩქარებს საბანკო სექტორის დინამიკა - ბანკებს ყველაზე კარგად შეუძლიათ საგარეო ფინანსური რესურსების გამოყენება. საწინააღმდეგო არგუმენტად შეიძლება თქვას, რომ ეკონომიკური აქტივობის საბოლოო მიზანი მოხმარებაა, რაც აბსოლუტურად სწორია, მაგრამ საქმე ის არის, რომ არსებობს კარგი ეკონომიკური მმართველობის კანონები, რომელთა კონტექსტში ზედმეტი მოხმარება პრობლემებთან არის დაკავშირებული.

საგარეო ვაჭრობის დეფიციტი ზედმეტი მოხმარების მეორე მხარეა, როდესაც ქვეყანა თავის საწარმოო სიმძლავრეებზე მეტს მოიხმარს, რისთვისაც საჭიროა მოხმარებული საქონლის ნაწილის იმპორტირება. შემოსავალზე ორიეტირებული ეკონომიკა უფრო მეტად იმპორტს უწყობს ხელს, ვიდრე ექსპორტს. ასეთ ვითარებაში მოგებულები რჩებიან სამომხმარებლო იმპორტიორები და მოვაჭრეები, წაგებული რჩება საექსპორტო წარმოება, რომელზეც უარყოფითად მოქმედებს ლარის კურსის ცვლილება, ასევე ღარიბთა ფენა, რომელიც არ ღებულობს ფულად გზავნილებს.

ÀÛÛ-ÛÉ ØÀÒÈÖËÉ ÙÅÉÍÉÓ ÃÙÄÁÉ ÂÀÉÌÀÒÈÀ

აშშ-ში სიეტლსა და ნიუიორკში, ქართული ღვინის დღეები “Discover Georgian Wine” გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეზერელმა მიიღო.

“დღეის მდგომარეობით, სიეტლი ქართული ღვინისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბაზარია. ჩვენი მიზანია, გავაუმჯობესოთ ქართული ღვინის გაყიდვა მთელ ამერიკაში და გავაორმაგოთ ღვინის ექსპორტი,” - განაცხადა კვეზერელმა.

გამოფენაზე ღვინოები 8 ქართულმა კომპანიამ წარმოადგინა. ესენია: “თბილღღვინო,” “სარაჯიშვილი,” “მილდიანი,” “ვინოტერა,” “თელიანი ველი,” “ქინძმარაული,” “თელავის ღვინის მარანი,” “ბაგრატიონი 1882.”

გამოფენას ქართული და ამერიკული ღვინის კომპანიების წარმომადგენლები და იმპორტიორები ესწრებოდნენ. ქართული ღვინის დღეები გაშუქდა ისეთი ცნობილი გამოცემების მიერ, როგორებიცაა: “ვაინსპექტატორი,” “ფუდენ ვაინ მეგეზინი,” “ტაიმსი,” “ნიუჯერსი ლაიფი.”

“ქართულმა ღვინომ დამთვალიერებელთა შორის მაღალი შეფასება მიიღო და დიდი დაინტერესება გამოიწვია. ჩვენი ღვინით ამერიკაში ღვინის ცნობილი მაღაზიები და რესტორნები დაინტერესდნენ,” - განაცხადა მან.

ამერიკაში გამართული ქართული ღვინის დღეები ხელს შეუწყობს ქართველ მეღვინეებსა და ღვინის უცხოელ იმპორტიორებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას და ამერიკაში ქართული ღვინის ექსპორტის გაზრდას.

ღონისძიება აშშ-ში 1-დან 9 დეკემბრამდე მიმდინარეობდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ÓÀÁÀÑÏ ÔÄÒÌÉÍÀËÉÓ ÀáÀËÉ ÓÄÒÅÉÓÉ

პირველი გვერდიდან

აღმოსავლეთ საქართველოში ერთი ფანჯრის" პრინციპის მოდელი ზაფხულში მცხეთაში დაინერგა და ნატახტარსა და ზაჰესში განთავსებული საბაჟო ტერმინალებიდან საბაჟოს მოხელეები ერთ ადგილას, მცხეთაში შემოსავლების სამსახურის სერვისცენტრში განთავსდნენ. ამავე პერიოდში მოხდა ASYCUDA WORLDS-ის მოდულის ჩართვა (სატვირთო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციისა და საქონლის გადაადგილების აღრიცხვის სპეციალური ელექტრონული პროგრამა, რომელიც მოიცავს მთელი ქვეყნის საბაჟო გამშვებ პუნქტებსა და საბაჟო გაფორმების ადგილებს), რისკის მართვის მენეჯმენტის ამოქმედება, რომელიც სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციისას საბაჟო მოხელეს უთითებს, დეკლარირებული საქონელი ექვემდებარება სრულ საბაჟო შემოწმებას თუ მხოლოდ დოკუმენტური შემოწმებაა ჩასატარებელი.

თბილისში ერთი ფანჯრის" პრინციპის დანერგვა ოქტომბერში აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი სერვისცენტრის გახსნით დასრულდა. ამჯერად, თბილისის აღმოსავლეთში განთავსებული საბაჟო ტერმინალებიდან მებაჟეების ერთი ჯგუფი დაკომპლექტდა და სრულიად ახალ ოფისში განთავსდა.

საინტერესოა, როგორ გაამართლა ერთი ფანჯრის პრინციპმა" და როგორ მუშაობენ საბაჟო ტერმინალები? ამ თემაზე ბიზნესი" საბაჟო ტერმინალ ლილო 1"-ის დირექტორ ხათუნა ბიწაძეს ესაუბრა.

- რა შეიცვალა საბაჟო ტერმინალების საქმიანობაში საბაჟოზე ერთი ფანჯრის" პრინციპის დანერგვის შემდეგ?

- კანონმდებლობა მაშინაც და ახლაც საბაჟო ტერმინალისგან მკაცრად ითხოვს რიგი ვალდებულებების შესრულებას, ვალდებულების დარღვევა კი საკმაოდ სერიოზულ ჯარიმებთან არის დაკავშირებული და შესაძლოა, საქმიანობის ნებართვის გაუქმების საკითხიც კი დადგეს. ახლა, როცა სერვისცენტრი მეზობლად, აეროპორტშია განთავსებული, მაქსიმალურად ვცდილობთ, ტვირთმფლობელებს არ შევუქმნათ დისკომფორტი და ჩვენი ვალდებულებები დროულად შევასრულოთ. ვგულისხმობ საზღვრებზე შექმნილი დოკუმენტის აღრიცხვის მოწმობის" და საერთაშორისო გადაზიდვის დოკუმენტის TIR-წიგნაკის დროულად მიტანას საბაჟო ორგანოში. ასევე დროებითი შენახვის განაცხადის საბაჟო ორგანოსთვის ჩაბარებას, რის გარეშეც შეუძლებელია, ტვირთმფლობელმა, იმპორტიორმა კუთვნილი საქონელი დროებით შენახვის საწყობში შეიტანოს, დათვალოს და, შესაბამისად, საბაჟო ორგანოს სწორად შევსებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია წარუდგინოს და თან ეს ყველაფერი მაქსიმალურად მცირე დროში გააკეთოს.

ყველაზე მთავარი, რაც სერვისცენტრის შექმნამ გამოიწვია, ყველა საბაჟო ტერმინალის ერთ პირობებში ჩაყენებაა. ახლა მთავარ აქცენტს ტვირთმფლობელი იმაზე კი არ გააკეთებს, თუ რომელი მებაჟე რომელ ტერმინალში მუშაობს, არამედ იმაზე, თუ რომელი ტერმინალი რა ტიპის მომსახურებას შესთავაზებს და როგორ იმოქმედებს ეს მის ხარჯებსა და დროზე.

- თქვენი ვალდებულებების შესრულება თუ გამარტივდა?

- სერვისცენტრის შექმნით, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მანძილი გაიზარდა, ადრე მებაჟეების ჯგუფი შენობის პირველ სართულზე მუშაობდა, ახლა საბაჟო ტერმინალებისთვის იგივე ვალდებულებები დარჩა შესასრულებელი. ოღონდ ახლა განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო, რომ მთელი სიმკაცრით იქნას კანონის მოთხოვნები შესრულებული და ვინმემ საბაჟო მოხელეების ადგილზე არყოფნით არ ისარგებლოს.

- ხომ არ შემცირდა ტვირთბრუნვა?

- თუ ავიღებთ ოქტომბრის და ნოემბრის მონაცემებს, ტერმინალში შემოსული ტვირთების რაოდენობა თანაბარია.

ის მოსაზრება, რომ ამ სიახლით დისკომფორტი შეექმნათ იმპორტორებს, არ მგონია მართებული იყოს, თუმცა ასეთი რამ სერვისცენტრის ამოქმედების პირველ დღეებში აშკარად იგრძნობოდა, იმ მიზეზით, რომ ახლად შექმნილი ინფრასტრუქტურა ტესტირებას გადიოდა და ამას თავისი უხერხულობები თან ახლდა. ახლა, როცა სისტემა აწყობილია და იმპორტიორსაც ორგანიზებული ბიზნესი აქვს, ვფქირობ, დისკომფროტს არ უნდა განიცდიდეს, მით უმეტეს, თუ საქონლის გადაზიდვის და შესყიდვის დოკუმენტები სრულად მოწესრიგებული აქვს. ამას ისიც ემატება, რომ ორგანიზებულ ბიზნესს თითქმის ყოველთვის ჰყავს დაქირავებული საბაჟო ბროკერი ან თავისი კადრი, რომელიც ლოჯისტიკას აკეთებს. შესაბამისად, იმპორტიორისთვის დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, მის ნაცვლად ვინ ივლის სერვისცენტრში - ბროკერი თუ მისი თანამშრომელი, მით უმეტეს, რომ საბაჟო ბროკერებს მომსახურებისა და სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის დაბეჭდვის ტარიფები არ გაუზრდიათ.

- რა სიახლეებია ტერმინალზე ამ ეტაპზე?

- ტერმინალში ორი სამუშაო პროცესია: ერთი, რომელიც 24-საათიანია, ანუ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიღება 24 საათის მანძილზე კვირის ყველა კალენდარულ დღეს; და მეორე - დილის 9.30 საათიდან 21 საათამდე ტვირთების დამუშავება. ეს გულისხმობს საწყობებში საქონლის შეტანა-გატანას, საბაჟო დათვალიერების პროცესისთვის საქონლის დაცლა-დატვირთვას და რეჟიმში მოქცეული საქონლის მანქანიდან მანქანაში გადატვირთვას. ჩვენ მიერ იმპორტიორებისთვის შეთავაზებული სიახლე არასამუშაო საათებში ტვირთის დამუშავებას ეხება. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ტვირთმფლობელი გამოთქვამს სურვილს და მას სჭირდება ღამით, 21 საათის შემდეგ კუთვნილი ტვირთი დათვალოს, დაათვალიეროს, შეიტანოს ან გაიტანოს საწყობში და ამისთვის გააჩნია საბაჟო ორგანოს შესაბამისი ნებართვა, ჩვენ მზად ვართ მისი სურვილი შევასრულოთ და ამის შესახებ ინფორმაცია აუცილებლად 21 საათამდე უნდა გვქონდეს.

როცა ამ მომსახურების შეთავაზებაზე ვფიქრობდით, გავითვალისწინეთ ახალი წლის მოახლოება, სეზონისთვის დამახასიათებელი მზარდი ტვირთბრუნვა და დრო. რა თქმა უნდა, იმ იმპორტიორებს, რომლებიც დაკავებულნი არიან ვაჭრობის სფეროში, ნამდვილად ექნებათ სურვილი, ტერმინალის ახალი მომსახურებით ისარგებლონ, რათა პროდუქცია დროულად მიაწოდონ სარეალიზაციო ქსელს.

მეორე სიახლე, და არანაკლებ მნიშვნელოვანი - ყველას ვთავაზობთ ისარგებლონ ჩვენს ვებგვერდზე **www.liloerty.com** განთავსებული ქართული გვერდის სიახლით, სადაც გასულ სამ დღეში ტერმინალში შესულ ავტომანქანებზე სრული ინფორმაციაა წარმოდგენილი. ამ სიახლის დანერგვით კი ის, ვინც ელოდება კუთვნილ სასაქონლო პარტიას და იცის გადამზიდავი ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი, თავისუფლად შეუძლია, ჩვენს ვებგვერდზე მოიძიოს ინფორმაცია, არის თუ არა ავტომანქანა ტერმინალში განთავსებული.

საია კონტროლის პალატის რეფორმაზე რეკომენდაციებს აქვეყნებს

დღეს არტკაფე "ქარავანში" საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დისკუსიის ფორმატში კონტროლის პალატის რეფორმასთან დაკავშირებულ კონცეფციას წარმოადგენს. პრეზენტაციას დაესწრებიან საია-ს თავმჯდომარე თამარ ხიდაშელი, საქართველოს პარლამენტის იურიდიული და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების წევრები, კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები. დღეისათვის საქართველოში აქტიურად დგას კონტროლის პალატის რეფორმის და აუდიტის სისტემაზე გადასვლის საკითხი. აღნიშნულ პროცესში წვლილის შესატანად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ Adam Smith International-ისა და ბრიტანულ-ქართული პროფესიული ქსელის - UGPN-ის მეშვეობით შექმნა უმაღლესი აუდიტის სისტემის კონცეფცია, რომელშიც საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებაზე დაყდრნობით გაანალიზებულია, თუ როგორი რეფორმა უნდა განიცადოს დღეს არსებულმა საქართველოს კონტროლის პალატამ იმისათვის, რომ მისი საქმიანობა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდეს. კონცეფციაში გაანალიზებულია საკითხები, რომლებიც აუცილებელია ქვეყანაში სახელმწიფო კონტროლის სისტემის აუდიტის სისტემით ჩანაცვლებისათვის და შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები. კონცეფციის პრეზენტაცია გაიმართება ბრიტანულ-ქართული პროფესიული ქსელ UGPN-ის მიერ ორგანიზებული "დებატების პლატფორმის" ფორმატში. აქვე განიხილება საქართველოს კანონმდებლობის და პარლამენტში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტ "საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" დადებითი და უარყოფითი მხარეები, მათი შესაბამისობა აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებთან და მოსალოდნელი ცვლილებები. ღონისძიება საია-ს მიერ ორგანიზებულ ადამიანის უფლებათა კვირეულის ფარგლებში იმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

პრემიერ-მინისტრი დონორებს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი დონორებს შეხვდა. გრიგოლ მგალობლიშვილის განცხადებით, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად მთავრობამ კოორდინირებულად უნდა იმუშაოს. "ბრიუსელის დონორთა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილება და დანაპირები დახმარებების შესახებ იყო წინ გადადგმული ნაბიჯი. თუმცა მსოფლიო ფინანსური კრიზისის და იმ სირთულეების ფონზე, რომლის წინაშე ჩვენ ვდგავართ, ამის ეფექტურად დასაძლევად ძალიან მნიშვნელოვანია კოორდინირებული მუშაობა დონორებსა და მთავრობას შორის. ჩვენ, პრაქტიკულად, ვმუშაობთ როგორც ერთი გუნდი. უნდა ხდებოდეს ამ დახმარების ძალზედ კოორდინირებული მიმართვა. ამასთანავე, ძალზედ მნიშვნელოვანია ჩვენს საზოგადოებას, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის თანხები იქნა მოძიებული და მიღებული, თუ რას ვაპირებთ," - განაცხადა მგალობლიშვილმა. შეგახსენებთ, რომ ბრიუსელის კონფერენციის შემდეგ მოლაპარაკებების და ხელშეკრულებების შედეგად, საქართველომ უკვე მიიღო 602 მლნ დოლარი. უახლოეს დროში მოსალოდნელია 332 მლნ დოლარის მიღება. აგრეთვე არსებობს შეთანხმებული ხელშეკრულებები 1 მლრდ 815 მლნ დოლის მიღებაზე. აღნიშნული თანხები მოხმარდება გზების რეაბილიტაციას, ენერგეტიკას და სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ჯამში შეთანხმებულია 2 მლრდ 750 მლნ დოლარის პროექტები. **ჯი-ეიჩ-ენი**

რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უცხოური კომპანიების შეშვებას არ დაუშვებს

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოქმედ უცხოურ კომპანიებზე სანქციების დაწესება რუსეთს დიდად არ დაამწუხრებს, რადგან ის მოგების განაწილებას სხვებისთვის ისედაც არ აპირებს. ამის შესახებ ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში გია ხუხაშვილმა განაცხადა. "თუ ევროკავშირმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი "წითელ ზონებად" გამოაცხადა და იქ მოქმედ უცხოურ კომპანიებზე სანქციები დააწესა, საქართველოსთვის მისასალმებელი ფაქტია, თუმცა ამით არაფერი შეიცვლება. რუსეთი ისედაც არ აპირებს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ნანახი მოგება ვინმეს გაუზიაროს. შესაბამისად, მისთვის სულ ერთია, ვისზე რა სანქცია დაწესდება," - განაცხადა ხუხაშვილმა. მისიევ თქმით, რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ნანახი მოგების სრულად ჩაჯიბებას გეგმავს. შეგახსენებთ, რომ ევროკავშირი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების "წითელ ზონებად" გამოცხადებაზე მსჯელობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

ÃÀÐÉÒÄÁÖËÉ 4,5 ÃÀáÌÀÒÄÁÉÓ Í

გერმანიის ფინანსთა მინისტრმა დიდი ბრიტანეთის ფინანსური სისტემის გადარჩენის გეგმას არაეფექტური უწოდა

გერმანიის ფინანსთა მინისტრმა პირ შტაინბრუკმა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნის მიერ წარმოდგენილი დიდი ბრიტანეთის ფინანსური სისტემის გადარჩენის გეგმას არაეფექტური უწოდა, რომლის ხარჯვითი ნაწილი ძალიან გაბერილია, - წერს Daily Telegraph-ი.

შატინბრუკის აზრით, ბრაუნის გეგმა, როემლიც 500 მლრდ გირვანქა სტერლინგის გამოყოფას ითვალისწინებს, შესამჩნევ სარგებელს არ მოიტანს და ის ქვეყნის ეკონომიკას დამატებით ტვირთად დააწვება. ამის გამო კი ბრიტანეთის ეროვნული ვალი ტრილიონ გირვანქას გადააჭარბებს.

ასევე, გერმანიის ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ გორდონ ბრაუნის წინადადებას დამატებითი ღირებულების გადასახადის 15%-ით შემცირებას მომხმარებელი ვერ შეამჩნევს.

“ნუთუ ვინმე გადაწყვეტს, მაგალითად, DVD-დისკის შეძენას მხოლოდ იმიტომ, რომ 39,9 გირვანქას ნაცვლად ის 39,1 გირვანქა ღირს?” - დაამატა შტაინბრუკმა. ამასთან, დამატებითი ღირებულების გადასახადის შემცირება ბრიტანეთის ბიუჯეტს 12,5 მლრდ გირვანქა დაუჯდება.

ბრიტანეთის ეკონომიკის გადარჩენის ღონისძიებები გორდონ ბრაუნმა ოქტომბრის დასაწყისში წარმოადგინა. გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია ბრიტანელების საგადასახადო ზეწოლის შემცირება, ასევე ქვეყნის უდიდესი რვა ბანკის ნაწილობრივ ნაციონალიზაცია. ბრიტანეთის სახელმწიფო HSBC, Royal Bank of Scotland, Barclays, HBOS, Lloyds TSB, Standard Chartered, Abbey ♡ Nationwide Building Society -ის საკონტროლო პაკეტის შესაძენად 50 მლრდ გირვანქას სტერლინგს გამოყოფს. **ჯი-ეიჩ-ენი**

”აქსისი” უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ გაყიდვებისა და მომსახურების ახალ ოფისს გახსნის

დღეს “აქსისი” საზეიმო ვითარებაში გახსნის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ გაყიდვებისა და მომსახურების ახალ ოფისს, რომელიც განლაგდება ყაზბეგის გამზირზე, ამავე კომპანიის მიერ დაპროექტებულ და აშენებულ მრავალფუნქციურ კომპლექსში.

ოფისი აერთიანებს ე.წ. გალერეა-შოურუმს. ის როგორც გარედან, ასევე შიდა ტიხრებით მინისაგან შედგება, რაც ქმნის უზრმაზარ გამჭვირვალე სივრცეს, სადაც თვალნათლივ არის წარმოდგენილი “აქსისის” ყველა მიმდინარე პროექტი. აქვე შესაძლებელი იქნება ნებისმიერი კონსულტაციის მიღება და ბინის შეძენა.

გალერეა-შოურუმის პრეზენტაციის ფარგლებში კომპანია “აქსისი” საზოგადოებას ასევე ორ ახალ პროექტს “ოფისცენტრი აქსის პალასი” და “სავაჭრო ცენტრი ყაზბეგის გამზირზე” წარუდგენს და მომსახურების ახალ, უფრო მოქნილ პირობებს შესთავაზებს.

“ოფისცენტრი აქსის პალასი” არის 10 000 კვ.მ. საერთო ფართის A კლასის ბიზნესსივრცე, რომლის გაქირავება 2009 წლის გაზაფხულზე დაიწყება. ამ დროისთვის ეს იქნება ყველაზე დიდი ოფისცენტრი საქართველოში.

“სავაჭრო ცენტრი ყაზბეგის გამზირზე” - სავაჭრო ცენტრის სასარგებლო ფართი 5000 კვ.მ.-ია, მისი მდებარეობა და მისადგომობა საკმაოდ მიმზიდველს ხდის აღნიშნულ სივრცეს ქართველი და უცხოელი რითეილერებისთვის. (სავაჭრო ცენტრი განთავსებულია მრავალფუნქციურ კომპლექსში, რომლის მშენებლობა მიმდინარე წელს დასრულდა).

“მომსახურებისა და გაყიდვების ახალ ოფისთან ერთად მომხმარებელს “აქსისი” ამ ახალ წელს ახალ, უფრო მოქნილ პირობებს, ასევე უკვე აშენებულ 50 ბინას სთავაზობს. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს რამდენიმე სიახლე, რასაც საზეიმო ვითარებაში გავაცნობთ დამსწრე საზოგადოებას,” - აცხადებს “აქსისის” გენერალური დირექტორი გირგი კაპანაძე.

პრეზენტაციაზე მოწვეულნი არიან ყველაზე მაღალი რანგის სტუმრები. მათ შორის არიან როგორც პოლიტიკური და ბიზნესსფეროს წარმომადგენლები, ასევე კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები. **ჯი-ეიჩ-ენი**

დაპირებული დახმარება

ბრიუსელის კონფერენციაზე დონორები, რომლებიც 38 ქვეყანას და 15 საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, საქართველოს 2008-2010 წლებში 4,5 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობის დახმარების გამოყოფას დაპირდნენ. დონორთა საერთაშორისო კონფერენციის შემდეგ საქართველომ 602 მილიონი დოლარი უკვე მიიღო. ამის შესახებ დონორთა საკოორდინაციო საბჭოს გუშინდელ სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა. უახლოეს პერიოდში საქართველოს მთავრობა 332 მილიონი დოლარის დახმარების მიღებას ელოდება. ეს ის თანხაა, რაზეც ხელშეკრულება უკვე გაფორმდა. საუბარია თანხის, როგორ სახელმწიფო, ასევე, კერძო სექტორში გამოყენებაზე. უკვე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში 1 მილიარდ 800 მილიონი დოლარის ინვესტიცია საგზაო სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ენერგეტიკის სექტორს და სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს მოხმარდება. ფინანსთა მინისტრის განცხადებით 2 მილიარდ 750 მილიონ დოლარის პროექტები დონორებთან უკვე შეთანხმებულია (გრაფიკი N1).

ძირითადი დონორები

ამ თანხიდან 2 მლრდ. დოლარზე ოდნავ მეტი ცალკეულ ქვეყნებსა და ევროპის კავშირზე მოდის. მარტო ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს დაახლოებით იმავე ოდენობის დახმარებას დაპირდა, რასაც ერთად აღებული ყველა სხვა დონორი ქვეყანა (გრაფიკი N2).

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკის პრეს-რელიზში ძ38 ქვეყანა და 15 საერთაშორისო ორგანიზაციაა” ნახსენები, დონორთა თანდართულ სიაში გაცილებით ნაკლები სუბიექტია მოყვანილი. გამოტოვებულ სუბიექტთა შორის არის ერთი დონორი, რომელიც კონფერენციას ესწრებოდა და დახმარების შესახებ განცხადებაც გააკეთა, მაგრამ ითხოვა, რომ სიაში მოხსენიებული არ ყოფილიყო.

საქართველოსთვის დაპირებული დახმარების თითქმის სამი მეხუთედი, ანუ 2,4 მლრდ. დოლარზე მეტი, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებზე მოდის.

გრანტებისა და სესხების ხვედრითი წილი

დახმარების სახით გამოყოფილი თანხა საჩუქარი არ არის. დაახლოებით 2 მლრდ. დოლარი, ანუ საქართველოსთვის დაპირებული მთლიანი დახმარების თითქმის ნახევარი, სესხებზე მოდის, რომელთა დაბრუნება ქართველ გადასახადების გადამხდელებს მომავალ წლებსა და ათწლეულებში მოუწევთ. ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ახალი სესხების მიღების მიუხედავად საქართველო ვალების მახეში არ აღმოჩნდება. მიზეზად საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ შემოთავაზებული სესხების შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთი სახელდება. განაკვეთი ხშირად მხოლოდ ერთი პროცენტია. საშეღავათო პერიოდები ხანრგძლივია, ხოლო სესხის ძირითადი თანხის დაფარვის საბოლოო ვადა ზოგიერთ შემთხვევაში 40 წელს შეადგენს. საქართველოს საგარეო ვალი ამჟამად მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 16 პროცენტს შეადგენს. დონორთა კონფერენციაზე განხილული სამწლიანი პერიოდის დასასრულს საგარეო ვალი სავარაუდოდ კვლავაც საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 20 პროცენტზე ნაკლები იქნება.

საქართველოს საგარეო ვალის მოცულობა პიკს სავარაუდოდ 2013 წელს მიაღწევს. თუმცა, მისი თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან, ყველაზე უარეს შემთხვევაშიც კი, საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ 35 პროცენტიან ზღვარზე გაცილებით დაბლა იქნება, რომ აღარაფერი ვთქვათ შევარდნაძის მმართველობის პერიოდზე, როდესაც ეს მაჩვენებელი 50 პროცენტს აღემატებოდა.

პრიორიტეტული სექტორები

კონფერენციაზე დაპირებული დახმარების ორი მესამედი საბანკო სისტემას, ტრანსპორტს, ბიუჯეტს და ენერგეტიკას მოხმარდება. დაპირებული თანხიდან 766 მლნ. დოლარი კონკრეტულ სექტორებზე ჯერ-ჯერობით არ გადანაწილებულა (ცხრილი N1).

დაპირებული და რეალურად გამოყოფილი თანხების თანაფარდობა

დონორთა დანაპირები და მათ მიერ რეალურად გამოყოფილი თანხა ზოგ შემთხვევაში ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ზოგიერთ შემთხვევაში, დახმარების გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილება დონორი ქვეყნის პარლამენტმა შესაძლოა არ დაამტკიცოს. გამორიცხული არ არის, რომ დონორებს შესაბამისი თანხები ჰქონდეთ, მაგრამ მათი გამოყოფა თავდაპირველად დათქმული ვადის ფარგლებში ვერ მოახერხონ. ული თანხები (გრაფიკი N4).

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო” საკუთარ ანგარიშში აღნიშნავს, რომ კონფერენციის მსვლელობისას ამა თუ იმ სექტორისთვის დაპირებული დახმარების ოდენობასა და ამავე სექტორებისთვის დონორთა მიერ ადგილზე გამოყო-

გრაფიკი 1: დაპირებული დახმარების მთლიანი ოდენობა წლების მიხედვით



გრაფიკი N2. ძირითადი დონორი ქვეყნები (დაპირებული მლნ. აშშ დოლარი)



ცხრილი N1. დონორთა დანაპირები სექტორების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

სექტორი	დანაპირები
საბანკო სისტემა	853
ტრანსპორტი	682
ბიუჯეტი და მაკრო-საფინანსო დახმარება	586
ენერგეტიკა	381
იძულებით ადგილნაცვალი პირები	350
კერძო და საფინანსო სექტორი	252
ურბანული და მუნიციპალური სექტორი	211
გადაუდებელი საჭიროებები	100
სხვა	355
გაუნაწილებელი თანხა	766
ჯამი	**4,536**

გრაფიკი N4. დაპირებული და რეალურად გამოყოფილი დახმარების თანაფარდობა 2008 წელს (მლნ. აშშ დოლარი)



Ë ÒÃ. Ã Ï Ë ÀÒÉÓ áÄÅÀÒÉ ÓÄÓáÉÀ

ფილი თანხების ოდენობას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს (გრაფიკი N5). დონორები დახმარების გამოყოფისას პროცედურულ ან პოლიტიკურ წინაპირობებს აყენებენ. მათმა უმრავლესობამ პროცედურული წინაპირობები წამოაყენა - როდის და როგორ გამოიყოფა დახმარებით გათვალისწინებული თანხა, როგორც განხორციელდება ამ თანხის გამოყენების მონიტორინგი და მიმღებ მხარეს რა სახის ანგარიშის წარმოდგენა მოუწევს, წინასწარ რეგულირდება.

პროცედურული წინაპირობები კონკრეტული დონორისა თუ სექტორის მიხედვით განსხვავებულია. მაგალითად, საბიუჯეტო დახმარებასთან დაკავშირებული წინაპირობები, როგორც წესი, არსებულ სამთავრობო მექანიზმებზეა ფოკუსირებული. თუმცა, სხვადასხვა დონორებს შორის ამ მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს. უკრაინამ განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობისათვის მის მიერ გაწეული დახმარება ნდობას ემყარება და რომ თბილისს შეუძლია ეს თანხები საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს. უკრაინისგან განსხვავებით, ევროკავშირის წევრმა ერთ-ერთმა ქვეყანამ დაგეგმილი საბიუჯეტო დახმარების ოდენობა გაანახევრა, რადგანაც გადაწყვიტა, რომ ზედამხედველობის არსებული მექანიზმები საკმარისი არ არის. მდგომარეობის გამოსწორების შემთხვევაში ამ ქვეყანამ შეიძლება მომავალში დახმარების მოცულობა გაზარდოს. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო დახმარების გამოყენების კონტროლი ფინანსთა სამინისტროსა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში არსებული მექანიზმების საშუალებით ხორციელდება. დონორთა მიერ საბანკო სექტორისთვის გაწეული დახმარება საქართველოში მოქმედ ცალკეულ ბანკებთან ხელმოწერილ კონტრაქტებს ეფუძნება. ფინანსთა სამინისტრო უშუალო ზედამხედველობას არ აწარმოებს.

პოლიტიკური პირობები არის დონორთა მიერ წამოყენებული ის წინაპირობები, რომლებიც დახმარების ან მისი გარკვეული ნაწილის გამოყოფამდე უნდა შესრულდეს. დონორი შეიძლება თანხის გამოყოფას მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდეს, თუ მიმღები ქვეყნის მთავრობამ გამოავლინა მზადყოფნა ებრძოლოს კორუფციას, გაზარდა პრესის თავისუფლების ხარისხი, ადმინისტრაციის შემადგენელი ნაწილების რეფორმა განახორციელა ან საარჩევნო კანონმდებლობა შეცვალა. ძსაერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" აღნიშნავს, რომ დახმარების პოლიტიკურ წანაპირობებთან დაკავშირებას მხოლოდ ევროპის ევროკომისია (რომელმაც 637 მლნ. დოლარის გამოყოფის პირობა დადო) აპირებს. ევროკომისიას ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რა წინაპირობების დაკმაყოფილება მოუწევს საქართველოს დახმარების მისაღებად. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა გამოყოფილ დახმარებას სათანადოდ ვერ გამოიყენებს ან პოლიტიკური პროცესები უარყოფითად განვითარდება, ადვილი შესაძლებელია, რომ დაპირებული თანხების შემოდინება შეწყდეს.

დახმარების სირთულეები

საქართველოსთვის განკუთვნილი უცხოური დახმარების სტრუქტურა რთულია, რადგანაც ეს დახმარება ათობით სახელმწიფოსა და ფინანსური ინსტიტუტის მიერ არის გამოყოფილი და თითოეულ მათგანს დაფინანსების საკუთარი არხები და თანხების გამოყოფის საკუთარი სისტემა აქვს. მაგალითისათვის, ბრიუსელის კონფერენციაზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს 1 მლრდ. დოლარის ოდენობის დახმარება აღუთქვა. ამერიკული დახმარების ძირითადი არხებია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), უცხო ქვეყნებისათვის კატასტროფების დროს დახმარების გაწევის ოფისი (OFDA), სახელმწიფო დეპარტამენტი, თავდაცვის დეპარტამენტი, საზღვარგარეთ კერძო ინვესტირების კორპორაცია (OPIC) და ფონდი ძათასწლეულის გამოწვევა საქართველოს". თითოეულ ამ საგენტოსა და ორგანიზაციას შეუძლია პირდაპირ გამოყოს დახმარება ან გაანაწილოს ის სხვა ორგანიზაციების საშუალებით. თავის მხრივ, ამ ორგანიზაციებმაც შეიძლება სუბკონტრაქტორები დაიქირაონ. ამდენად, თანხების გამოყოფისა და ზედამხედველობის მექანიზმები თითოეული სუბიექტის შემთხვევაში განსხვავებული იქნება. გარდა ამისა, დროთა განმავლობაში შეიძლება დონორთა პოზიციაც შეიცვალოს. პოლონეთმა დონორთა კონფერენციაზე 4,35 მლნ. დოლარის გამოყოფის პირობა დადო, თუმცა სულ რაღაც ორი თვის შემდეგ ეს თანხა 7,5 მლნ. დოლარამდე გაზარდა.

გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში, შესაძლოა, დონორი ქვეყნების პარლამენტებმა უახლოეს წლებში მათი მთავრობების მიერ საგარეო დახმარების სფეროში აღებულ ყველა ვალდებულებას მხარი არ დაუჭირონ. ევროკომისიის მიერ წამოყენებული პოლიტიკური პირობები დამატებით კითხვის ნიშნებს ბადებს. ვიდრე ბრიუსელის პირობები საბოლოოდ არ განსაზღვრულა და არ გამოქვეყნებულია, ძნელია თქმა, შეძლებს თუ არა საქართველოს მთავრობა მათ შესრულებას. დონორთა მიერ გამოყოფილი თანხების სეგმენტირება წლების მიხედვით პრაქტიკულად შეუძლებელია. ბევრ დონორს 2008 წლისთვის დაპირებული დახმარების განაწილება ჯერაც არ დაუსრულებია, რომ აღარაფერი ვთქვათ მომდევნო წლებზე, რაც დახმარების მიმღები სექტორების მიხედვით თანხების აღნუსხვას ძალიან ართულებს. სავარაუდოდ, ბევრი დონორი 2008 წლის შესახებ უფრო სრულ მონაცემებს ამ თვეში გამოაქვეყნებს.

ხელით ნაქსოვი ტრადიციული ქართული ხალიჩა და ფარდაგი
ხელით დამზადებული სუვენირები ტრადიციული ორნამენტებით

მთიები

,,ქართული ხალხური კულტურის აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრი მთიები" აწარმოებს მსოფლიოში უანალოგო პროდუქციას – ხელით ნაქსოვ ტრადიციულ ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს. ისინი მცენარეული და მინერალური საღებავებით ნაფერი საუკეთესო ჯიშის ცხვრის მატყლისაგან დამზადებული შალის ძაფით იქსოვება.

ეროვნულ კომპოზიციებთან და კოლორიტულ სტილთან ზომიერად შერწყმული თანამედროვე დიზაინი ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს მეტ ორიგინალობას სძენს და ამშვენებს.

აირჩიეთ დიზაინი, ორნამენტები, სიუჟეტური კომპოზიციები, ზომა და მიიღეთ შეუფასებელი პროდუქცია: ხალიჩა
ფარდაგი და უამრავი
ხელით ნაქარგი სუვენირი

თქვენ ხდებით ქართული ხალხური
კულტურის აღორძინების თანამონაწილე

დუშეთი, ბესიკის ქ. №6
ტელ.: (995 32) 66 21 00, (995 32) 66 21 02

ეროვნული ბანკი: კავკასიაში კონფლიქტმა საქართველოს ეკონომიკაში დისპროპორციები გამოავლინა

საქართველოს ეკონომიკაში ე.წ სამხრეთ ოსეთის ომმა დისპროპორციები გამოავლინა, - განაცხადა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ კაკულიამ. მან ეს განცხადება მოსკოვი-თბილისის ვიდეოხიდის მიმდინარეობისას გააკეთა, რომელიც "რია ნოვოსტის" ორგანიზებული იყო. "საქართველოზე აგვისტოს კრიზისს დიდი გავლენა ჰქონდა, როცა რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებები ვითარდებოდა და ამ კონფლიქტმა ფაქტობრივად ყველა შიდა ეკონომიკური წინააღმდეგობები და დისპროპორციები გამოავლინა, რომელიც საქართველოში ამ დრომდე არსებობდა. ხოლო სექტემბერ-ოქტომბერში, როცა მსოფლიო ფინანსური კრიზისი გამწვავდა, ეს დისპროპორციები გაღრმავდა და საქართველოს ეკონომიკის საშუალო განვითარებას ძალიან ღრმა კვალი დაასვა," - განაცხადა მან. კაკულიას თქმით, ეს ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებებით გამოიხატა. "2007 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 12,4%-ით გაიზარდა, ხოლო 2008 წლის პროგნოზი 3,5% შეადგენს, ხოლო მომავალი წლის კი - 4%-ს. ეს საომარი მოქმედებების გამო საქართველოს მიერ საინვესტიციო მიმზიდველობის დაკარგვით არის განპირობებული, რადგან ბოლო წლების ზრდა მთავარი სახით უზრუნველყოფილი უცხოური კაპიტალის შემოდინებით, პირდაპირი ინვესტიციებისა და საბანკო კრეტიდების სახით იყო," - განაცხადა მან. ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, ქვეყანაში სამშენებლო და სამომხმარებლო ბუმი სწორედ უცხოური ინვესტიციების ხარჯზე იყო.

"შედეგად, ჩვენ მიმდინარე ანგრიშის დიდი დეფიციტი მივიღეთ, რომელმაც მთლიანი შიდა პროდუქტის 20%-ს გადააჭარბა და ჩვენ მივიღეთ ის, რომ საქართველოს ეკონომიკის მიმზიდველობის ვარდნის შემდეგ ეკონომიკური აქტიურობისა და ზრდის ტემპების ვარდნის მორიგი პროცესი გამოვლინდა. რაც იმას ნიშნავს, რომ საგარეო ფაქტორებს საქართველოს ეკონომიკაზე ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა და მათ ყველა ის ურთიერთწინააღმდეგობა გამოავლინეს, რომელსაც ადგილი ამ წლის აგვისტომდე ჰქონდა," - განაცხადა კაკულიამ. **ჯი-ეიჩ-ენი**

მექსიკაში ნავთობის ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდება

მექსიკის ენერგეტიკის დეპარტამენტის მიერ მომზადებული მოხსენების თანახმად, ენერგორესურსებზე მზარდი შიდა მოხმარების გამო ამ ქვეყნის ნავთობის ექსპორტი უახლოესი ათწლეულის განმავლობაში ყოველწლიურად შემცირდება 5,3%-ით. ეს იმ დროს, როცა მექსიკაში ნავთობის ყოველდღიური მოპოვება გაიზრდება 3 მლნ ბარელამდე /დღეში. დღეისათვის ნავთობის მოპოვების საშუალო ოდენობა შეადგენს დაახლოებით 2,8 მლნ ბარელს/დღეში. იგეგმება უახლოესი ათი წლის მოპოვების გაზრდა 2,9 მლნ ბარელამდე/დღეში, თუმცა გასულ წელს მან უკვე შეადგინა 3,1 მლნ ბარელი/დღეში. ინვესტიციების ყოველწლიური ოდენობა მექსიკური ნავთობის დაზვერვასა და მოპოვებაში 2007 და 2018 წლებს შორის ივარაუდება 15,5 მლრდ დოლარის ოდენობით. ცნობისათვის, ნავთობიდან შემოსული შემოსავალი აყალიბებს ქვეყნის ბიუჯეტის დაახლოებით 40%-ს. **ჯი-ეიჩ-ენი**

დონორთა მიერ გამოყოფილი თანხის განკარგვას სპეციალური ჯგუფი დააკვირდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გრიგოლ მგალობლიშვილმა მთავრობის კანცელარიაში დონორთა კოორდინაციის საბჭოს სხდომა ჩაატარა. როგორც გრიგოლ მგალობლიშვილმა განაცხადა, სამუშაო ჯგუფი ორი კვირის წინ შეიქმნა და იგი დონორთა მიერ გამოყოფილი თანხის შესაბამის სფეროებზე გადანაწილებასა და მის ღია განკარგვას დააკვირდება, იმისათვის, რომ სამოქალაქო საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია, თუ რა თანხებია მიღებული და რას აპირებს მთავრობა უახლოეს პერიოდში. "მნიშვნელოვანია, რომ დონორებსა და მთავრობას შორის, რომელიც პრაქტიკულად მუშაობს, როგორც ერთი გუნდი, ხდებოდეს ამ დახმარების ძალზე კოორდინირებული მიმართვა, ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის თანხები იქნა მოძიებული და მიღებული უკვე," - განაცხადა გრიგოლ მგალობლიშვილმა. **მედიანიუსი**

რუსეთის საერთაშორისო რეზერვები ნოემბერში 5,95%-ით შემცირდა

2008 წლის 5 დეკემბრის მონაცემებით, რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო რეზერვებმა 437,0 მლრდ დოლარი შეადგინა. ამის შესახებ ინფორმაცია რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა გაავრცელა. 28 ნოემბრის მონაცემებით რეზერვები 454,9 მლრდ დოლარი იყო.

1 დეკემბრის მონაცემებით კი, რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო რეზერვები 455 მლრდ 563 მლნ დოლარი იყო. ის თვის გათვლით 5,95%-ით შემცირდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდში რუსეთის სარეზერვო პოზიციამ 1 მლრდ 018 მლნ დოლარი შეადგინა, სესხების სპეციალურმა უფლებამ კი - 1 მლნ დოლარი.

Citigroup-ის ანალიტიკოსების შეფასებით, რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო რეზერვები შემცირებას მანამ გააგრძელებენ, სანამ რუბლი ზედმეტად შეფასებული იქნება. ასევე, სავარაუდოდ, რუსეთის მთავრობას ბიუჯეტის დეფიციტის ფინანსირება სარეზერვო ფონდიდან მოუწევს. ბიუჯეტის დეფიციტმა შეიძლება 35 მლრდ დოლარს მიაღწიოს. ნაციონალური კეთილდღეობის ფონდი შეიძლება ინვესტიციის ან საპენსიო სისტემის მხარდასაჭერად გამოიყენონ, მიაჩნიათ Citigroup-ში. **ჯი-ეიჩ-ენი**

უკრაინული პრომინვესტბანკის ნაციონალიზაცია მოხდება

უკრაინული პრომინვესტბანკის, რომელიც აქტივების სიდიდით ქვეყნის მეექვსე ბანკია, ნაციონალიზაცია მოხდება, რადგან ინვესტორებმა მისი ფინანსური გაჯანსაღებისთვის სახსრების მოძიება ვერ შეძლეს, წერს გაზეთი "კომერსანტი უკრაინა."

ადრე ინფორმაცია ვრცელდებოდა, რომ პიბი რეგიონების პარტიის დეპუტატებმა სერგეი და ანრეი კლიუევმა შეიძინეს. ახალ ინვესტორებს კრედიტორული ორგანიზაციის სანაცია უნდა ჩაეტარებინათ, მათ 900 მლნ გრივენის პინ-ის დამატებითი ემისიის აქციები უნდა გამოესყიდათ, მაგრამ ამის გაკეთება ვერ შეძლეს.

შეგახსენეთ, რომ ოქტომბრის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც ბანკის მეანაბრეებმა თავიანთი ანგარიშებიდან თანხების მასობრივი გატანა დაიწყეს, პიბ-ში უკრაინის ნაციონალური ბანკის ინიციატივით დროებითი ადმინისტრაცია შევიდა. ასევე ბანკში ნახევარი წლით კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე მორატორიუმი შემოიღეს.

23 ოქტომბერს უკრაინის საინფორმაციო საშუალებებმა ინფორმაცია გაავრცელეს, რომ პიბ-ის შეძენა "დელტა ბანკს" უნდოდა. ასევე მყიდველებს შორის რუსული "ალფა ჯგუფი" სახელდებოდა. თუმცა "დელტა ბანკთან" კონტრაქტი არ გაფორმდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ჩინეთი ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტით დაინტერესებულია

სარკინიგზო მაგისტრალი ბაქო-თბილისი-ყარსის მშენებლობის პროექტის მონაწილეები ჩინეთთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ, ქვეყანასთან, რომელიც აზიის მთავარი სატვირთო გადამზიდია. ამის შესახებ განცხადება თურქეთის ტრანსპორტისა და კომუნიკაციის მინისტრმა ბინელ ოლდრიმ გააკეთა.

ორი პროექტის, "ბაქო-თბილისი-ყარსისა" და "მარმარისის" გაერთიანება აზიიდან ევროპაში და პირიქით ტვირთის გადატანის საშუალებას მისცემს.

ბინელ ოლდირას თქმით, სამშენებლო სამუშაოები უპრობლემოდ მიმდინარეობს. სარკინიგზო მაგისტრალი ბაქო-თბილისი-ყარსი და მარმარისი ერთმანეთს გვირაბით დაუკავშირდებიან, რომელიც ბოსფორის სრუტეში გადის.

"მარმარისი" გვირაბის მშენებლობის დასრულებას 2010 წლისთვის გეგმავს. ექსპერტების შეფასებით, სარკინიგზო მაგისტრალზე, პირველ ეტაპზე, 1 მლნ მგზავრისა და 6,5 ტონა ტვირთის გადაზიდვა მოხდება.

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის ღირებულება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის გათვალისწინებით 600 მლნ დოლარს შეადგენს. სარკინიგზო მაგისტრალის დასრულებას 2009 წლისთვის ვარაუდობენ, ხოლო მისი ექსპლუატაცია 2010 წელს დაიწყება. **ჯი-ეიჩ-ენი**

ÀàÀÒÉÓ ÀáÀËÉ ÒÄÂÉÏ ÍÖËÉ Ï ×ÉÓÉ ÃÀ Í ÏÄÌÁÒÉÓ ÛÄÃÄÂÄÁÉ ÓÀØÀÒÈÅÄË ÏÓ ÁÀÍÊÉÓÂÀÍ

სალომე ძაძამია

საქართველოს ბანკმა აჭარაში ახალი რეგიონული ოფისის პრეზენტაცია მოაწყო. ახალი რეგიონული სათაო ოფისი ბათუმში, 1899 წელს აგებულ შენობაში დაიდებს ბინას, რომელიც ურბანული მემკვიდრეობის საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენს. იგი თავისი პროპორციით, ფასადების რენესანსულ-კლასიცისტური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ხუროთმოძღვრული დეტალების მორთულობით და მშენებლობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ნაგებობის არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულება მაღალია და ის განსაზღვრულია, როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლი. აღნიშნული შენობა კერძო საკუთრება იყო და მოქალაქე კარლო შუტცს ეკუთვნოდა. შემდგომში შენობაში განთავსდა მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის №2 სამუსიკო სკოლა. საქართველოს ბანკმა შენობა 2005 წელს შეისყიდა. ბანკის ოფისად გადაკეთებისას შენობის იერსახე შენარჩუნებულ იქნა. სამუსიკო სკოლა ბათუმის ხელოვნების სკოლაში გადავიდა, რომლის სარემონტო სამუშაოებიც საქართველოს ბანკმა უზრუნველყო.

საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორი ირაკლი გილაური: აჭარის რეგიონული ოფისი ისტორიულ შენობაში განთავსდა, რომელიც მე-19 საუკუნეშია აგებული. პატივი გვქონდა, ეს შენობა შეგვესყიდა და რესტავრაცია გაგვეკეთებინა, რათა არ დაკარგულყო მისი პირვანდელი სახე. შენობის რესტავრირებაზე დაახლოებით 1 მილიონი დოლარი დაიხარჯა. აჭარაში უკვე მე-15 ფილიალი გავხსენით.

ახალ ფილიალთან ერთად, ბანკის ხელმძღვანელობამ ნოემბრის თვის შედეგებიც გამოაქვეყნა. გასული თვე საქართველოს ბანკისთვის წარმატებული აღმოჩნდა.

აჭარის რეგიონული ფილიალის რეგიონული მენეჯერი დავით ბერიძე: საქართველოს ბანკს აჭარაში 15 სერვისცენტრი აქვს, მათ შორის მაღალმთიან რაიონებში, კერძოდ კი, ხულოსა და შუახევში. წელს აჭარაში საქართველოს ბანკს 6 ახალი სერვისცენტრი შეემატა. რაც შეეხება ახალ რეგიონულ ფილიალს, აქ 80 ადამიანია დასაქმებული, მთლიანად აჭარაში კი 250. ახალი ფილიალი მომხმარებელს ყველა იმ პროდუქტს და მომსახურებას შესთავაზებს, რაც საქართველოს ბანკის ჯგუფს გააჩნია.

დეკემბრის დასაწყისში საქართველოს ბანკმა ახალი პარტნიორის შესახებ განაცხადა, რომელიც ბანკის მომხმარებლისთვის კიდევ უფრო მეტი ღირებულების შექმნაზეა მიმართული. საქართველოს ბანკმა და American Express-მა გააფორმეს შეთანხმება, რომლის თანახმადაც საქართველოს ბანკი ადგილობრივად გამოუშვებს American Express-ის ბრენდირებულ ბარათებს და მათ მფლობელებს მომსახურებას გაუწევს სავაჭრო თუ მომსახურების ობიექტებში უნაღდო ანგარიშსწორებისას. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბანკის მიერ გამოშვებული America American Express-ის ბარათის მფლობელები ჩაერთვებიან American Express-ის კარგად ცნობილ საერთაშორისო საბონუსე სისტემაში - Membership Rewards პროგრამაში.

საქართველოს ბანკის ნოემბრის თვის მუშაობის შედეგებთან დაკავშირებით, საქართველოს ბანკმა შემდეგი მონაცემები გაავრცელა: 30 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს ბანკმა გასცა 104.3 მილიონი ლარის ოდენობის სესხი როგორც კორპორატიულ კლიენტებზე, ისე ფიზიკურ პირებზე. ოქტომბრის თვესთან შედარებით, ბანკის მთლიანი დეპოზიტები 61.4 მლნ ლარით გაიზარდა.

საინვესტიციო ანაბარი, რომელიც საქართველოს ბანკმა ბაზარზე ოქტომბრის თვეში გამოუშვა, მნიშვნელოვანი პოპულარობით სარგებლობს. ნოემბერში 5,1 მლნ აშშ დოლარის ოდენობით საინვესტიციო ანაბარი გაიხსნა. საინვესტიციო ანაბარი ერთდროულად ანაბარიც არის და საინვესტიციო პროდუქტიც. მასზე დამატებითი სარგებლის მიღება კი დაკავშირებულია ნავთობის ფასის ცვლილებასთან და მომხმარებელს საშუალებას აძლევს, მეტი ამონაგები მიიღოს.

ჩვენ შედეგების წარმოდგენას ყოველთვიურად ვახდენთ, რათა ფართო საზოგადოებამ იცოდეს საქართველოს ბანკის ყოველთვიური მუშაობის შესახებ. ნოემბრის თვე ჩვენთვის საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა: 7-წლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ American Express-თან და მათი ბარათების ექსკლუზიური გამომშვები საქართველოს ბანკი იქნება. ეს არის უნიკალური შემთხვევა ქართველი მომხმარებლისთვის, რადგან ისინი American Express-ის გლობალურ საბონუსე სისტემაში ჩაერთვებიან. American Express-მა ტენდერი 2008 წლის აპრილში ჩაატარა და ჩვენ მრავალი ეტაპის გადალახვის შემდეგ ამ ტენდერში გავიმარჯვეთ.

რაც შეეხება ჩვენს სასესხო მოცულობას, ნოებრის თვეში ჩვენ გავეცით 104.3 მილიონ ლარზე მეტი სესხი, როგორც ინდივიდუალურ, ისე კორპორატიულ კლიენტურაზე. ოქტომბრის თვესთან შედარებით, სესხების გაცემის კუთხით, დაახლოებით 4-5 მილიონიანი ზრდა გვაქვს. ჩვენი დეპოზიტებიც დაახლოებით 60 მილიონ ლარზე მეტად გაიზარდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ბანკს მოსახლეობაში დიდი ნდობა აქვს. ასევე ვხედავთ არარეზიდენტი პირებისგან ინვესტიციების შემოდინებას, რაც მისასალმებელი ფაქტია. ასევე დიდია მწვანე ანაბრის მოცულობა. მწვანე ანაბრის აქციის ფარგლებში უკვე 15 ათასი ნერგი დავრგეთ, გაზაფხულში კიდევ მინიმუმ 30 ათას ხეს დავრგავთ. საქართველოს ბანკი თავის მომხმარებელთან ერთად ხელს შეუწყობს საქართველოს გამწვანებას, - აღნიშნა საქართველოს ბანკის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა.

ÀÌÄÒÉÊÄËÉ ÀÅÔÏ ÌßÀÒÌÏÄÁËÄÁÉÓ ÁÄÃÉ ÓÄÍÀÔÉÓ áÄËÛÉÀ

მერაბ ლორთქიფანიძე

თეთრ სახლსა და აშშ-ს კონგრესს შორის მიღწეულია შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ორი ამერიკული კომპანია - ჯენერალ მოტორსი და კრაისლერი , შეღავათიანი სესხის სახით, მარტამდე 14 მილიარდ დოლარს მიიღებენ. მართალია, დახმარების ყველა დეტალი საბოლოოდ შეთანხმებული არაა, თუმცა კანონპროექტი უკვე გადაიგზავნა სენატში, სადაც ის საბოლოოდ ჩამოყალიბდება.

კონგრესში, ამ საკითხზე ჩატარებულ კენჭისყრაზე, 237-მა კონგრესმენმა ხმა ამერიკული კომპანიებისთვის დახმარებას მისცა, 170 კი წინააღმდეგ წავიდა. ჯერჯერობით, დახმარების მიღებას არ ითხოვს ფორდი , რომელსაც დიდ ამერიულ საავტომობილო სამეულში ყველაზე მყარი პოზიცია უკავია.

საავტომობილო კომპანიები დახმარებას იმ 25 მილიარდდოლარიანი ფონდიდან მიიღებენ, რომელიც აშშ-ს მთავრობამ ქვეყნის ენერგეტიკულ დეპარტამენტს გამოუყო. ეს თანხა მთლიანად დიდი სამეულისთვისაა განკუთვნილი, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, თუ ისინი ფულს ეკონომიური, ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების შესაქმნელად გამოიყენებენ.

აქვე უნდა ითქვას, რომ სამივე კომპანია ინტენსიურად მუშაობს ამ მოთხოვნების შესაბამისი ავტომობილების შექმნაზე. ასე რომ, შესაბამისი პროექტების წარმოდგენა მათ ახლავე შეუძლიათ. პრობლემა სხვა რამაა. კერძოდ, კრაისლერი აცხადებს, რომ ენერგეტიკის დეპარტამენტში მოთხოვნილი პროცედურების გავლას ვერ მოასწრებს, რადგან თუ დახმარება წლის ბოლომდე არ მიიღო, გაკოტრებას ვერ გადაურჩება. თითქმის მსგავსი პრობლემის წინაშე დგას ჯენერალ მოტორსი , რომელსაც სასუნთქი ფულადი სახსრები გაზაფხულამდე გამოელევა.

კონგრესსა და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას შორის მიღწეული შეთანხმებით, ჯენერალ მოტორსის და კრაისლერის მიერ შეღავათიანი სესხების განკარგვას ეგრეთ წოდებული საავტომობილო გამგებელი (საავტომობილო მეფე) გააკონტროლებს. მის ფუნქციაში შედის იმ პირობების შესრულების კონტროლი, რომლებიც ავტომწარმოებლებმა შეღავათიანი სესხის მისაღებად დადეს. ამ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, საავტომობილო მეფე სესხების გაცემას შეაჩერებს. ამავე პიროვნების კომპეტენციაში შევა ჯენერალ მოტორსისა და კრაისლერის გაკოტრების რესტრუქტურიზაციის რეჟიმში გადაყვანა. სხვათა შორის, მოვლენათა ასეთ განვითარებას რესპუბლიკელთა უმეტესობა მხარს ახლავე უჭერს.

მართალია, საავტომობილო მეფის პოსტზე ჯერ დანიშნული არავინაა, თუმცა ანალიტიკოსები მოელიან, რომ მას კენეტ ფაინბერგს ჩააბარებენ. ესაა იურისტი, რომელმაც 11 სექტემბრის დაზარალებულთათვის საკომპენსაციო ფონდი ჩამოაყალიბა. თეთრ სახლში ირწმუნებიან, რომ საავტომობილო მეფის პოსტზე ფაინბერგის დანიშვნა პრაქტიკულად გადაწყვეტილია.

ახლა საქმე სენატზეა, სადაც მის კანონპროექტს რესპუბლიკელებისგან სერიოზული წინააღმდეგობა ელის. დღეისათვის 100-დან 48 სენატორი დემოკრატია, 49 - რესპუბლიკელი. ორი დამოუკიდებელი სენატორი დემოკრატებს უჭერს მხარს, ერთი ადგილი კი ვაკანტურია. იმისათვის, რომ კანონპროექტი გავიდეს, მას ხმა 60-მა სენატორმა უნდა მისცეს.

ÀËÐÖÒÉ ÊÖÒ Ï ÒÔÄÁÉ ÀáÀË ßÄËÓ ÒÖÓÉ

ლიკა ჯობაძე

ტურისტული კლიმატი წელს საგრძნობლად გაუარესდა. მაგალითად, შვეიცარიის სამთო-სათხილამურო კურორტებზე წელს რუსი ტურისტების რიცხვმა მნიშვნელოვნად იკლო. მაღალმთიანი ალპური სოფლები, სადაც ევროპის ელიტა ყოველთვის უდიდესი სიამოვნებით ისვენებს, წლევანდელ ახალ წელს რუსული ელიტის გარეშე შეხვდებიან. ფინანსური კრიზისის გამო, ალპებში დასვენების მსურველთა რიცხვი ყოველდღიურად კლებულობს. ამ რეგიონში დასვენების ხალისი და შესაძლებლობა, რუსების მსგავსად, ბრიტანელებსა და ამერიკელებსაც დაეკარგათ.

ზამთარი სანკტ-მორიცეს სასტუმროებისთვის წლის საუკეთესო სეზონია. ამ რეგიონში ძირითადად 5 ათასევროიანი აპარტამენტების დაკავების მსურველთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. ეს ტიპური შემთხვევაა იმ ალპური ადგილებისთვის, სადაც ყოველი მეოთხე სასტუმრო 5-ვარსკვლავიანია. კრიზისმა კი ეს რეალობა წელს რადიკალურად შეცვალა.

სტატისტიკურად, სანკტ-მორიცეს სასტუმროების 80%-ს საშობაოდ რუსი ტურისტები იკავებდნენ. წელს კი, ფინანსური კრიზისი გამო, ახალი წლის დღესასწაულს ალპურ რეგიონში ბევრად უფრო მოკრძალებულად აღნიშნავენ. რუსების მხრიდან სასტუმროების დაჯავშნაზე შემოთავაზებები ყოველდღიურად იკლებს, რაც პირველ რიგში ფინანსური კრიზისით შეიძლება აიხსნას, - აღნიშნა სასტუმრო Carlton-ის დირექტორმა კრისტოფერ კოკსმა და თან დასძინა, რომ წელს პირველად, გაუქმებულ ჯავშანზე მოთხოვნაც მნიშვნელოვნად შემცირდა. გარდა ამისა, სასტუმროს მეპატრონე დარწმუნებულია, რომ დამსვენებლები წელს სასმელებსა და საკვებზე იმაზე ბევრად ნაკლებს დახარჯავენ, ვიდრე გასულ წელს. გერმანული ჟურნალ Manager-ის ინფორმაციით, სანკტ-მორიცის კურორტზე რუსი ტურისტები მუდმივად ჭარბობდნენ. უფრო მეტიც, ისინი ამ რეგიონში ყველაზე ხელგაშლილ სტუმრებად ითვლებოდნენ. სტატისტიკური მონაცემებით, ერთი რუსი დამსვენებელი დღეში საშუალოდ 247 ევროს ხარჯავდა, რაც ევროპელი დამსვენებლების დანახარჯს ორჯერ აღემატებოდა. კურორტ ცერმატზე კი რუს ტურისტებს ახალ მეფეებსაც კი უწოდებდნენ. გასულ წელს შვეიცარული პრესა ხალისით საუბრობდა მომსახურების ახალ სფეროზე, რომელსაც უწოდეს სპეციალურად რუსებისთვის . მაგალითად, რუს დამსვენებლებს თავისუფლად შეეძლოთ, 40 ათას ევროდ, ბრილიანტის თვლებით მორთულ-მოკაზმული თხილამურებით ესრიალათ.

ალპებში რუსული დესანტის შემცირებას ევროპული პრესა აქტიურად აშუქებს. რუს ტურისტულ ნაკადს დადებითთან ერთად უარყოფითი მხარეც აქვს, რომელზეც სასტუმროების მეპატრონეები მუდმივად საუბრობენ, - ამბობენ გერმანელი ჟურნალისტები. მათივე ინფორმაციით, ევროპელი არისტოკრატები და ბიზნესდინასტიების წარმომადგენლები ხშირად არ ჩადიოდნენ საკუთარ კურორტებზე იმ დროს, როცა იქ რუსები ისვენებდნენ. ამასთან დაკავშირებით გასულ წელს საერთაშორისო სკანდალიც კი ატყდა. შვეიცარიის ტურიზმის ადგილობრივმა ბიურომ სასტუმროების მფლობელებს არაოფიციალურად მიმართა, სადაც ნათქვამი იყო, რომ მათ რუსი ტურისტების რიცხვი რეგიონში 10%-მდე უნდა შეემცირებინათ. ამის მიზეზად ტურისტულმა ბიურომ რუსი დამსვენებლების არამოკრძალებული საქციელი დაასახელა. უნდა აღინიშნოს, რომ ალპურ სოფლებში წელს ამერიკელი და ბრიტანელი ტურისტების ნაკლებობასაც უჩივიან. მიზეზი იგივეა - კრიზისი და რეცესიის საფრთხე. ასე რომ, თოვლიან მთებში დასვენების მსურველი ევროპელები წელს შობის დღესასწაულს საკუთარ სახლებში, მოკრძალებულად აღნიშნავენ.

CMYK - 8

ანაბარი "ჩემი სეიფი"

- თანხის თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობა
- მაღალი საპროცენტო სარგებელი

27 27 27 | * 27 27 | www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

CMYK - 8

ÃÀÐÉÒÄÁÖËÉ 4,5 ÌËÒÃ. ÃÏËÀÒÉ

ÀÐÉÒÄÁÖËÉ 4,5 ÌËÒÃ. ÃÏËÀÒÉÓ